

ა დ ე ი ნ ი ს ტ რ ა ს ი უ ლ ი კ რ ო ხ ე ს ი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანიშნულებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2017, №7

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2017, №7

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2017, №7

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2017, №7

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. საკროცესო ხარჯები

სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება სოციალურ ღირებულებებზე

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-51-50(კ-14)

24 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სასამართლო ხარჯების განაწილების შეცვლა.

აღწერითი ნაწილი:

მ. გ-ემ 26.07.13წ. სარჩელი აღძრა მოპასუხის ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ და მოითხოვა ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 08.07.13წ. №1-87 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 27.07.13წ. ხარვეზის შესახებ განჩინების შესაბამისად მ. გ-ის მიერ 05.08.13წ. სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი იქნა 100 ლარი.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 30.09.13წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მ. გ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარი დარჩა სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-ემ, რასაც დაურთო მის მიერ 22.10.13წ. სახელმწიფო ბაჟის სახით 150 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.11.13წ. გადაწყვეტილებით მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 30.09.13წ. გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სასკის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 08.07.13წ. №1-87 ბრძანება და ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა საქმისათ-

ვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ხელახალი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ იმავე საკითხზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება.

გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ.

საკასაციო სასამართლოს 08.05.14წ. განჩინებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 30.09.13წ. გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 08.07.13წ. №1-87 ბრძანება და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ხელახალი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ იმავე საკითხზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი იმ ნაწილში, რომლითაც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს დაშვებულ ნაწილში, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება, ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება და მ. გ-ეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში ბაჟის სახით გადახდილი 250 ლარი, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს 21.11.13წ. გადაწყვეტილებით

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება, რაც არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლის თანახმად თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც, რაშიც იგულისხმება არა მხოლოდ პირველი ინსტანციის, არამედ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განეული ხარჯი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. სსკ-ის 53.3 მუხლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შეცვლის ან ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მას თავად ევალება შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც. ასეთ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟი, არამედ ის ხარჯები, რომლებიც მხარეებმა გაიღეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის, რომ გარდა სააპელაციო სასამართლოში გადახდილი ბაჟისა, მ. გ-ის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოშიც სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილ იქნა 100 ლარი. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს უნდა მოეხდინა მ. გ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხების (100 ლარი პირველი ინსტანციის სასამართლოში და 150 ლარი სააპელაციო სასამართლოში) შეჯამება და მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ გადახდილი ბაჟის სრულად დაკისრება, რაც 250 ლარს შეადგენს.

ზემოაღნიშნულთან ერთად სსკ-ის 9.1 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდევინება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე. მოცემულ საქმეში მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენდა განაცდურის ანაზღაურება და სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძა-

ნების ბათილობა, რაც თავისი ბუნებით სოციალურ საკითხთა რიგს განეკუთვნება. სსკ-ის 38-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან. მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას შეადგენდა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. შესაბამისად, განსახილველი დავა მიეკუთვნება საქმეთა იმ კატეგორიას, რომლებიც განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ამდენად, არ არსებობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს 27.07.13წ. განჩინებით მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო ხარვეზის განსაზღვრისა და 30.09.13წ. გადაწყვეტილებით მ. გ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად ჩათვლის საფუძველი. შესაბამისად, უმართებულოა აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მ. გ-ის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი 150 ლარის ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გადახდის დავალება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ უნდა დაკისრებოდა მ. გ-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბაჟის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას არ შეესაბამება, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის მ. გ-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების დავალების ნაწილში და მ. გ-ეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში ბაჟის სახით გადახდილი 250 ლარი, კერძოდ, მ. გ-ის (პ.ნ. ...) მიერ 05.08.13წ. №573625 საგადახდო დავალებით გადახდილი 100 ლარი და მ. გ-ის მიერ 22.10.13წ. №1376328 საგადახდო დავალებით გადახდილი 150 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.11.13წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. გ-ეს (პ.ნ. ...) დაუბრუნდეს მის მიერ 05.08.13წ. №573625 საგადახდო დავალებით გადახდილი 100 ლარი და მ. გ-ის მიერ 22.10.13წ. №1376328 საგადახდო დავალებით გადახდილი 150 ლარი;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების დაკისრების კანონიერება

გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

№ბს-510-497(კ-კს-14)

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2013 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 15 მარტის №43395 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დავალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ლ. ჯ-ის წარმომადგენლების ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით. დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს ამ ეტაპზე ეთქვა უარი. მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაეკისრა მოსარჩელე ლ. ჯ-ის სასარგებლოდ 100 (ასი) ლარის გადახდა. ლ. ჯ-ეს დაუბრუნდა ნ. მ-ის მიერ მის სარჩელთან დაკავშირებით 2013 წლის 18 მარტს, საგადახდო დავალა №1, გადახდელის ანგარიში ..., ბანკის კოდი ..., მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი ..., ბანკის კოდი ..., ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით. ლ. ჯ-ეს უარი ეთქვა საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებულ იქნა ლ. ჯ-ის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივნისის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისა და ლ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება.

2014 წლის 11 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იქნა ლ. ჯ-ის წარმომადგენლის ბ. მ-ის განცხადება, რომელმაც მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების მიღება და საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების დაკისრება მონინალმდევე მხარეებისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობა და განჩინების გამოტანის თარიღად „2014 წლის 13 ივნისის“ ნაცვლად მიეთითა 2014 წლის 17 ივნისი; ლ. ჯ-ის წარმომადგენლის ბ. მ-ის შუამდგომლობა დამატებითი გადანყვეტილების მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივნისის განჩინებაში ცალკე არ ყოფილა მსჯელობა მონინალმდეგე მხარისათვის ლ. ჯ-ის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების დაკისრებაზე, თუმცა, პალატამ მიღებული განჩინებით სრულად შეისწავლა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი, შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ აპელანტების მიერ ვერ იქნა გაბათილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, რისი გათვალისწინებითაც არ არსებობდა სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილების და გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, მათ შორის საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების ნაწილში.

სააპელაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის გაწეული ხარჯი წარმოდგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს. ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.2-ე, 47.2-ე, 102-ე მუხლებსა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ აპელანტ ლ. ჯ-ის მიერ ვერ იქნა დადასტურებული მოცემულ საქმეზე ადვოკატის ხარჯის განევა, ვინაიდან ადვოკატის ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი საქმეში.

განსახილველ შემთხვევაში, ლ. ჯ-ის მიერ სარჩელზე დართული შემოსავლის ორდერი №6064082 500 ლარის გადახდის თაობაზე, იგი წარდგენილია ასლის სახით, ასევე სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გაუგებარია რა ანგარიშზეა აღნიშნული თანხა გადახდილი, რის გამოც სააპელაციო პალატამ მიიჩნია,

რომ აღნიშნული მტკიცებულება ვერ ჩაითვლება იმის უტყუარ მტკიცებულებად, რომ ლ. ჯ-ემ აღნიშნული თანხა ნამდვილად გადაიხადა განუული იურიდიული მომსახურებისათვის.

მოცემულ საქმეზე, იმ პირობებში, როცა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე არ ყოფილა წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ლ. ჯ-ის მიერ საადვოკატო მომსახურების ხარჯის განევა, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან აპელანტს არ წარმოუდგენია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მოთხოვნათა დაცვით აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით ლ. ჯ-ემ გაასაჩივრა, რომლითაც მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ლ. ჯ-ის მიერ განუული ადვოკატის ხარჯების გადახდის დაკისრება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ფაქტიურად, №6064082 ქვითარში ცალსახადაა მითითებული გადამხდელიც (ლ. ჯ-ე), მისი მიმღებიც-ნ. მ-ი და მისი ანგარიშის ნომერიც ბანკ „...“. სწორედ ამ ანგარიშიდან აქვს ნ. მ-ს გადარიცხული სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით ლ. ჯ-ის ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით. №6064082 ქვითარის შემოსავლის ორდერის დანიშნულებაში, ასევე, მითითებულია, რომ თანხა გადახდილია ლ. ჯ-ის მიერ მისივე ადმინისტრაციული საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. ქვითარში გარკვევითაა მითითებული გადახდის დანიშნულებაში – „ლ. ჯ-ის ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით“.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ საქმეში არსებული ქვითარი №6064082 სავსებით უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, რომ ლ. ჯ-ემ გასწია ხარჯები სასამართლოში საქმის გარემოებების თავისი დარღვეული უფლებების აღსადგენად, რისთვისაც მან თავის ადვოკატს ჩაურიცხა იურიდიული მომსახურების საფასური 500 ლარი ადვოკატის მიმდინარე ანგარიშზე ბანკ „...“.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ჯ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გა-

რემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლზე დაყრდნობით, ასევე, განმარტავს, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატისათვის განეული ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც მხარის მიერ იქნა განეული კონკრეტული საქმის წარმოებისათვის მომსახურების მისაღებად, მოცემული ხარჯის განევისა და ოდენობის დადასტურება თავად მხარემ უნდა უზრუნველყოს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოსარჩელე ითხოვს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 31 აგვისტოს №132611 გადაწყვეტილებისა და რეგისტრაცი-

ციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 25 თებერვლის №... გადაწყვეტილების; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 15 მარტის №43395 წერილის ბათილად ცნობას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის შემდეგი შინაარსის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, რომლითაც ა) ბათილად იქნება ცნობილი ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 20 მარტის №ლეგ -426 ბრძანებით ლ. ჯ-ის სახელზე რეგისტრირებული 162,80 კვ.მ. ფართი სხვენიდან 70 კვ.მ. და ლ. ჯ-ის საკუთრებაში დარჩება 92.80 კვ.მ. ფართის მქონე უძრავი ნივთი, სხვენი მდებარე: ქ. თბილისი, ... ქ. №26, რომლის საკადასტრო კოდია: ... ბ) უცვლელად დარჩება ქ. თბილისი, ... ქ. 26, ბინა 7-ზე 2013 წლის 25 თებერვლამდე ლ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 212,27 კვ.მ. ფართით, რომლის საკადასტრო კოდია: ...

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 15 მარტის №43395 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ლ. ჯ-ის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა, დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს მოცემულ ეტაპზე ეთქვა უარი, აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ივნისის განჩინებით. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების სადავო სამართალურთიერთობაზე გავრცელების წინაპირობა, რომლის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. ამასთან, ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი ითვალისწინებს პროცესის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას ადმინისტრაციული ორგანოსათვის იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით (რწმუნებულება სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №121343497, რეგისტრაციის თარიღი 20.12.2012წ.), დადგენილია, რომ მოსარჩელის ინტერესებს სასამართლოში იცავს ნ. მ-ი, ლ. ჯ-ის მიერ სარჩელზე დართულია შემოსავლის ორდერი №6064082, რომლის მიხედვით ნ. მ-ისათვის გადახდილია თანხა-500 ლარის ოდენობით. საქმის მასალებში იგი წარდგენილია ასლის სახით, რის გამოც სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული მტკიცებულება ვერ ჩაითვლებოდა იმის უტყუარ მტკიცებულებად, რომ ლ. ჯ-ემ აღნიშნული თანხა ნამდვილად გადაიხადა განუხილელი იურიდიული მომსახურებისათვის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას სალაროს შემოსავლის ორდერის დედნის წარდგენის სამოქალაქო საპროცესო ვალდებულების არარსებობის შესახებ და მას განუმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლი მხარეს ავალდებულებს სწორედ წერილობითი მტკიცებულებების დედნის წარდგენის ვალდებულებას. მოცემული ნორმის თანახმად, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება განთავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ კერძო საჩივარს დაურთო 2013 წლის 6 მარტის №6064082 სალაროს შემოსავლის ორდერის დედანი, რომლითაც ნ. მ-ისათვის ლ. ჯ-ეს ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით გადახდილი აქვს 500 ლარი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში დედნის სახით წარმოდგენილი 2013 წლის 6 მარტის №6064082 შემოსავლის ორდერთან ერთობლიობაში უნ-

და გამოიკვლიოს და შეაფასოს საქმეზე წარმოდგენილი, ფაქტობრივად, განუხლები ადვოკატის ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები და ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების საკითხის გადასანწყვეტად მიიღოს დამატებითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ლ. ჯ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო პალატის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოპასუხისათვის ადვოკატის ხარჯების დაკისრების თაობაზე შუამდგომლობა და საქმე ლ. ჯ-ის სასარგებლოდ მის მიერ განუხლები ადვოკატის ხარჯების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის დაკისრების საკითხის ხელახლა გადასანწყვეტად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ჯ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ლ. ჯ-ის წარმომადგენლის ბ. მ-ის შუამდგომლობა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;
3. საქმე ლ. ჯ-ის სასარგებლოდ ადვოკატის ხარჯების დაკისრების საკითხის ხელახლა გადასანწყვეტად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლება

განჩინება

№ბს-847-839(კს-15)

18 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 14 ივნისს მ. ხ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისთვის სტრასბურგის სასამართლოს 2007 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების ქართული თარგმანის წარმოდგენის დავალება და იმ ფაქტის დადასტურება მოითხოვა, რომ მოპასუხემ სტრასბურგის სასამართლოს არასწორი ინფორმაცია მიანოდა და იგი პრესის მეშვეობით გაავრცელა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. ხ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მოპასუხისთვის სტრასბურგის სასამართლოს 2007 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების ქართული თარგმანის წარმოდგენის დავალება და იმ ფაქტის დადასტურება მოითხოვა, რომ სასამართლოს 2002 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს სოციალური დაზღვევის ფონდთან მ. ხ-ას სარჩელზე არ შესრულებულა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განჩინებით მ. ხ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება; ამავე განჩი-

ნებით მ. ხ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა – 150 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა. საკასაციო საჩივარს თანდართული არ ჰქონდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ამასთან, კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ „საქართველოს მოქალაქის რეპრესირებულად აღიარების შესახებ“ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ათავისუფლებს ამ კანონის შესრულებისას წარმოშობილ სასამართლო დავებს.

ხარვეზის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით მ. ხ-ას სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითრის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შესაბამისად შედგენილი საკასაციო საჩივრის წარმოდგენა დაევალა.

2008 წლის 27 ოქტომბერს მ. ხ-ამ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომლითაც ინგლისურიდან ტექსტის თარგმანის მოპასუხისათვის დავალდებულების ნაწილში საკასაციო საჩივარზე უარი განაცხადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით მ. ხ-ას საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა გაუხილველად.

2009 წლის 28 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2008 წლის 25 მარტის განჩინებაზე გაიცა საალსრულებო ფურცელი მოვალე მ. ხ-ას მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის 150 ლარის დაკისრების ნაწილში.

2015 წლის 8 ოქტომბერს მ. ხ-ამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განჩინებით დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ არის მე-2 ჯგუფის ინვალიდი. განმცხადებელმა წარადგინა საპენსიო მოწმობის ასლი, სადაც მითითებულია, რომ მ. ხ-ა არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უვადოდ (მე-2 ჯგუფის ინვალიდი), შესაძლებლობის შეზღუდვა დადგენილია 2008 წლის 27 მარტიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინებით მ. ხ-ას განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2015 წლის 16 ნოემბრის მიმართვის საფუძველზე ეცნობა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვარს გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე (საქმე №3ბ/1859-07), რომლითაც მ. ხ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა, მიმდინარეობს იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული და აღსასრულებლად მიქცეული სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებას ინვალიდობის საფუძველით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცესუალური საფუძველი, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე-50-ე მუხლების შესაბამისად სასამართლო უფლებამოსილია მხარეები სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლოს სასამართლოში საქმის წარმოების მიმდინარეობისას, ხოლო საქმის წარმოების დასრულების შემდეგ სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის გამო მხარეს არასწორად დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს, რაც დასრულდა 2008 წლის 25 მარტის განჩინების გამოტანით, მ. ხ-ა (აპელანტი) არ ითხოვდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებას ინვალიდობის საფუძველით და არც შესაბამისი დოკუმენტები ყოფილა სასამართლოში მის მიერ წარდგენილი. შესაბამისად, მიჩნეული ვერ იქნება, რომ სასამართლომ 2008 წლის 25 მარტის განჩინების მიღებისას დაუშვა შეცდომა, არ გაითვალისწინა მოსარჩელის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და არასწორად დააკისრა მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მ. ხ-ას მიერ მოცემულ განცხადებაზე თანდართული საპენსიო მონმობა, არ ადასტურებს 2008 წლის 25 მარტის განჩინების მიღები-

სას სახელმწიფო ბაჟის არასწორად დაკისრებას, რადგან აღნიშნული საპენსიო მოწმობის მიხედვით მ. ხ-ას დაუდგინდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი (მეორე ჯგუფი) უვადოდ, 2008 წლის 27 მარტიდან ანუ მას შემდეგ, რაც სააპელაციო პალატის მიერ განჩინება იქნა გამოტანილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ხ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდისაგან განთავისუფლება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდისგან განთავისუფლების შესახებ. საპენსიო მოწმობაში, რომელიც მან სასამართლოს წარუდგინა, ჩანერილია, რომ იგი 1987 წლიდან მე-2 ჯგუფის ინვალიდია მუდმივად. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იგი როგორც ინვალიდი განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯებისგან, რის საფუძველზეც უნდა დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდისაგან განთავისუფლების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 დეკემბრის განჩინებით წარმოებში იქნა მიღებული მ. ხ-ას კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ხ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008

წლის 25 მარტის განჩინებით მ. ხ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება; ამავე განჩინებით მ. ხ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა – 150 ლარის ოდენობით. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ასევე „საქართველოს მოქალაქის რეპრესირებულად აღიარების შესახებ“ კანონის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება მოითხოვა.

ხარვეზის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით მ. ხ-ას სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითრის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შესაბამისად შედგენილი საკასაციო საჩივრის წარმოდგენა დაევალა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით მ. ხ-ას საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა გაუხილველად.

2009 წლის 28 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2008 წლის 25 მარტის განჩინებაზე გასცა საალსრულებო ფურცელი მოვალე მ. ხ-ას მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის 150 ლარის დაკისრების ნაწილში.

2015 წლის 8 ოქტომბერს მ. ხ-ამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 მარტის განჩინებით დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლების მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ დაკისრებული ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებას მ. ხ-ა ინვალიდობის საფუძველზე ითხოვს, რომელმაც სააპელაციო სასამართლოში საპენსიო მოწმობის ასლი წარადგინა. საპენსიო მოწმობის თანახმად, მ. ხ-ა არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უვადოდ (მე-2 ჯგუფის ინვალიდი), შესაძლებლობის შეზღუდვა დადგენილია 2008 წლის 27 მარტიდან.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით უსაფუძვლოდ მიიჩნია მ. ხ-ას მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდისაგან განთავისუფლების თაობაზე, რის გამოც არ დაკმაყოფილდა მ. ხ-ას განცხადება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამარ-

თლოს შეფასებას სადავო საკითხის მიმართ და დამატებით განმარტავს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესსა და პირობებს განსაზღვრავს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. საპროცესო ხარჯების საკითხი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9-მე-11 მუხლებით არის მონესრიგებული. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, საპროცესო ხარჯების საკითხის გადანყვეტისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საერთო სასამართლოებში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან კანონისმიერი განთავისუფლების საფუძველს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი წარმოადგენს. აღნიშნული 46-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც მხარეები სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან; ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს კონკრეტული კატეგორიის დავების სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე განხილვას.

გარდა ამისა, სახელმწიფო ბაჟისგან განთავისუფლების საფუძველები განსაზღვრულია „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით.

ამდენად, კანონმდებლობა კონკრეტულად განსაზღვრავს პირობებს, რომლის არსებობის შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სასამართლოს უფლებამოსილება სახელმწიფო ბაჟის საკითხთან დაკავშირებით შეზღუდულია კანონით. ამასთან, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების საფუძველი უნდა დასტურდებოდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია მხარეები სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლოს სასამართლოში საქმის წარმოების მიმდინარეობისას.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი ითხოვს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით დაკისრებული და აღსასრულებლად მიქცეული სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებას ინვალიდობის საფუძველით.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მი-

ერ 2008 წლის 25 მარტის განჩინებით მ. ხ-ასთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის დაკისრებისას აპელანტი – მ. ხ-ა არ ითხოვდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებას ინვალიდობის საფუძველით და არც შესაბამისი დოკუმენტები ყოფილა სასამართლოში მის მიერ წარდგენილი. მ. ხ-ას არც საკასაციო საჩივრის წარდგენის დროს მოუთხოვია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება ინვალიდობის საფუძველით.

ამასთან, მ. ხ-ას მიერ წარმოდგენილი საპენსიო მოწმობის თანახმად, მ. ხ-ას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი (მე-2 ჯგუფი) დაუდგინდა 2008 წლის 27 მარტიდან ანუ სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანის შემდეგ. შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილი საპენსიო მოწმობა არ ადასტურებს 2008 წლის 25 მარტის განჩინების მიღებისას სახელმწიფო ბაჟის არასწორად დაკისრებას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 25 მარტის განჩინების მიღებისას საქმის გარემოებებისა და წარდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით აპელანტს მართებულად დააკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მ. ხ-ას მოთხოვნის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ მ. ხ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. მ. ხ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადვოკატის სარჯების ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელსახელმწიფო

№ბს-397-391(2კ-4კს-15)

26 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებით განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. რ-ემ 2014 წლის 22 სექტემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისა და მესამე პირის ე. თ-ის მიმართ. მოსარჩელემ ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 2014 წლის 15 სექტემბრის №60 ბრძანების ბათილად ცნობა, მ. რ-ის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის ... განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენა, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განაცდურის ანაზღაურება და სადავო აქტის ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის ნაწილში დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის 2014 წლის 15 სექტემბრის №60 ბრძანება, მ. რ-ის გათავისუფლების თაობაზე; მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას დაევა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. რ-ის დაუყოვნებლივ სამსახურში აღდგენის თაობაზე; დაევა მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას მოსარჩელე მ. რ-ის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, მაგრამ არაუმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; გადაწყვეტილების სარეზო-

ლუციო ნაწილის მესამე პუნქტი მიქცეულ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. რ-ემ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 20 აპრილის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა აპელანტის წარმომადგენლის ი. პ-ის შუამდგომლობა საქმის შეჩერების შესახებ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე №3ბ/429-15, აპელანტი (მოსარჩელე) – მ. რ-ე, აპელანტი (მოპასუხე) – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა, დავის საგანი – აქტის ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, განაცდურის ანაზღაურება, გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, შეჩერდა საქმის განხილვა, მ. რ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის იმ ნაწილში, რომლითაც მოთხოვნილია სარჩელის სრულად დაკმაყოფილება სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურების შესახებ, ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით მ. რ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე სასამართლოს მიერ აღდგენილ არ იქნა პირდაპირ სასამართლოს გადაწყვეტილებით და მისი აღდგენის საკითხი სასამართლომ მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალებით განახორციელა, არ დაკმაყოფილდა; მ. რ-ის მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინების (ჩანაწერი), რომლითაც დაკმაყოფილდა მოპასუხე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულების სახით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ამონარიდის ას-

ლის საქმეზე დართვის თაობაზე; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ამონარიდის ასლის, საქმეზე მტკიცებულებების სახით დართვის თაობაზე; არ დაკმაყოფილდა მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 სექტემბრის განჩინების იმ ნაწილში გაუქმების თაობაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. რ-ის შუამდგომლობა – სარჩელის დაჩქარებული წესით განხილვაზე; არ დაკმაყოფილდა მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 სექტემბრისა (დასაბუთებული) და 2014 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე იმ ნაწილში, რომლითაც აუცილებელი წესით მოსაწვევი მესამე პირის სახით (სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე) ჩაბმულ იქნა ე. თ-ი; დაკმაყოფილდა მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა, საქმეზე საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ოქტომბრის განჩინების გაუქმების შესახებ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას დაეკისრა ადვოკატის ხარჯები მ. რ-ის სასარგებლოდ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; არ დაკმაყოფილდა მ. რ-ის სააპელაციო მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისათვის სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, დანარჩენ ნაწილში: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. რ-ემ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი მ. რ-ის სასარგებლოდ ადვოკატის ხარჯების – 500

ლარის მისთვის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი მ. რ-ის სასარგებლოდ ადვოკატის ხარჯების – 500 ლარის მისთვის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი, სათაურის მიუხედავად, ითვალისწინებს პროცესის ხარჯების განაწილების წესს, რადგანაც ადვოკატის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების პრინციპი ამავე მუხლის პირველი ნაწილითაა განსაზღვრული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. ეს დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-

ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსიდან, რომლის მიხედვით, გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი შეიძლება დადგეს, ასევე, იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის წარმოება მთავრდება გადანყვეტილების გამოტანის გარეშე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). ასეთ დროს სასამართლო შესაბამისი განჩინებით გადანყვეტს პროცესის ხარჯების განაწილების საკითხს.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელის მიერ განუხლები ადვოკატის ხარჯების – 500 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ გადანყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის ადვოკატის დახმარების საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ ამ ხარჯის განევა არ დასტურდება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ისეთ პირობებში, როდესაც არ დასტურდება კონკრეტული ხარჯის განევა, მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ამავე კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, გადანყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადანყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის გადანყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისათვის მ. რ-ის სასარგებლოდ ადვოკატის ხარჯების – 500 ლარის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-

2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისათვის მ. რ-ის სასარგებლოდ ადვოკატის ხარჯების – 500 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. რ-ის წარმომადგენელ ი. პ-ის მოთხოვნა ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სახელმწიფო გაჟის გადახდის დაკისრება უზღუბამონაცვლე პირისათვის

ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

№ბს-240-236(კს-15)

28 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

აღწერილობითი ნაწილი:

22.11.2004წ. თ. მ-ემ სარჩელით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამმართველოს მიმართ მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მოთხოვნით.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 29.12.2004წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა თ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა, მო-

პასუხე ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 20 506 ლარის ანაზღაურება. ამავე გადაწყვეტილებით, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 512.50 ლარის ოდენობით, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 19.05.2005წ. განჩინებით სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაერთო შპს „...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.04.2006 წ. განჩინებით ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 19.12.2004 წ. გადაწყვეტილება. ამავე განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 615 ლარის გადახდა. აღნიშნული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 31.07.2006 წ. გაიცა №3ბ/295-06 სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც კრედიტორად მიეთითა საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო მოვალედ – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო. სააღსრულებო ფურცელი გაიცა მხოლოდ სააპელაციო პალატის მიერ სამმართველოსათვის სახელმწიფო ბაჟის – 615 ლარის დაკისრების ნაწილში.

29.12.2014 წ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს სპეციალურმა სამსახურმა, რომელმაც №3ბ/295-06 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით მოითხოვა სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მოვალის უფლებამონაცვლის მითითება. განმცხადებლის მოთხოვნა ეფუძნებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 11.09.2012 წ. №1-1/1742 ბრძანებას, რომლის საფუძველზეც სააღსრულებო ფურცელში დასახელებული მოვალე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამი-

ნისტროს ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების სამმართველო ლიკვიდირებულია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.02.2015 წ. განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადება დაკმაყოფილდა, დადგინდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.04.2006 წ. განჩინებაზე უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი დასახელებული მოვალის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფლებამონაცვლე პირის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.04.2006წ. განჩინებით, რომელზეც თბილისის სააპელაციო პალატის მიერ 31.07.2006წ. გაცემულ სააღსრულებო ფურცელში კრედიტორად დასახელებული საქართველოს ეროვნული ბანკი (სახელმწიფო ბიუჯეტი), ხოლო მოვალედ – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 11.09.2012 წ. №1-1/1742 ბრძანებაზე, რომლითაც ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტრიტორიული ორგანოები, მათ შორის ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო. სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის საფუძველზე დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, რომლის დებულება დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 17.09.2012 წ. №391 დადგენილებით. დებულების შესაბამისად, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ფუნქციებად განისაზღვრა სახელმწიფო ქონების მართვა, განკარგვა და სარგებლობაში გადაცემა (მე-2 და მე-3 მუხლები). აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტერიტორიული ორგანოების ლიკვიდაციის შემდეგ

მათი ფუნქციები გადაეცა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რაც ქმნის მატერიალურ და პროცესუალურ-სამართლებრივ წანამძღვრებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტერიტორიული ორგანოების უფლებამონაცვლედ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დადგენისათვის.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა სსკ-ის 92-ე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 24-ე მუხლებზე, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 11.09.2012წ. №1-1/742 ბრძანებაზე, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლზე და აღნიშნა, რომ კრედიტორი და არა სააღსრულებო ბიურო არის უფლებამოსილი მიმართოს გადაწყვეტილების გამოტანის სასამართლოს უფლებამონაცვლეობის დადგენისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო 2012 წლის 17 სექტემბრიდან, შესაბამისად, ის ვერ გახდება მის შექმნამდე განხორციელებული სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მხარე. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტერიტორიული ორგანოების უფლებამონაცვლედ მიჩნეულ უნდა იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 92.1 მუხლის მიხედვით, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთ-

ხოვნის დათმობა, ვალის გადაკისრება და სხვ.) სასამართლო უშვებს მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყველა სტადიაზე. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცესში უფლებამონაცვლეობის საფუძველია სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა. საპროცესო უფლებამონაცვლეობა გულისხმობს მხარეების შეცვლას იმ პირებით, რომლებზეც მათი მატერიალურ-სამართლებრივი უფლება-მოვალეობები გადავიდა. ამდენად, საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველს მატერიალურ სამართალში არსებული უფლებამონაცვლეობა ქმნის.

მატერიალური სამართალი ითვალისწინებს ორი სახის უფლებამონაცვლეობას: უნივერსალური (ზოგადი) უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მისი წინამორბედის ყველა უფლება-მოვალეობა (მაგ.: მემკვიდრეობა, იურიდიული პირის რეორგანიზაცია და სხვ.) და სინგულარული (კერძო) უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მხოლოდ ცალკეული უფლება-მოვალეობანი (მაგ.: მოთხოვნის დათმობა). უფლებამონაცვლეობა არსებობს მაშინ, როდესაც პირს წინამორბედისაგან რომელიმე სამართლებრივი, მათ შორის კანონისმიერი, საფუძველით შეძენილი აქვს უფლება-მოვალეობანი.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა დასაშვებია სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, როგორც ქვედა და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ასევე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მის აღსრულებამდე. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მხარის უფლებამონაცვლეზეც.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამონწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადო დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა, უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. ამასთანავე, უკეთუ სააღსრულებო ფურცელი გაცემულია და უფლებამონაცვლეობის განსაზღვრის პრობლემა წარმოიშვა აღსრულების სტადიაზე, ასეთ შემთხვევაში შესაძ-

ლებელია აღნიშნული საკითხის სასამართლო განმარტების წესით გადაწყვეტა, სსკ-ის 262-ე მუხლის საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 31.07.2006წ. გაცემულია №33/295-06 სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც კრედიტორად მითითებულია საქართველოს ეროვნული ბანკი (სახელმწიფო ხაზინა), ხოლო მოვალედ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო. სამმართველოს მოვალედ მითითება სადავოდ არ გამხდარა არც ერთი სუბიექტის მიერ. 29.12.2014წ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს სპეციალურმა სამსახურმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა №33/295-06 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით მოვალის უფლებამონაცვლის დადგენა იმ საფუძველზე, რომ სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოვალე ლიკვიდირებულია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლის სუბიექტის ლიკვიდაცია არის მისი არსებობის, საქმიანობის, ფუნქციონირების შეწყვეტის სამართლებრივი ფორმა, საშუალება. ვალდებულებაში პირთა შეცვლის დროს იცვლება სუბიექტური შემადგენლობა, ხოლო სისტემური კავშირი უფლებამოსილება-სა და ვალდებულებას შორის ნარჩუნდება. ადმინისტრაციული ორგანოები ახორციელებენ სახელმწიფო მმართველობას დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. ინოვაციის შედეგად ორგანოს გაუქმების მიუხედავად, სახელმწიფო ინარჩუნებს სახელმწიფო ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებლობას. სახელმწიფო ორგანოთა შექმნა, მათ შორის ფუნქციების განაწილება წარმოადგენს ხელისუფლების დისკრეციის სფეროს, ორგანოთა გაუქმება, ინოვაციური სიახლეები არ ინვევენ სახელმწიფო ფუნქციების და ამოცანების მთლიანად გაუქმებას, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ლიკვიდაცია არ ინვეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების გაუქმებას (სუს 30.05.2012წ., №ბს-1490-1472(კ-11)). მმართველობის სისტემის ერთიანობის გამო, სააგენტოს დაფუძნება სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემდეგ არ არის უფლებამონაცვლეობის გამომრიცხავი გარემოება, გადამწყვეტი მნიშვნელობა ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამონაცვლეობისათვის აქვს ორგანოს ფუნქციონალურ დატვირთვას, უფლებამოსილებას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღ-

რიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფლებამონაცვლეა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. ამის საპირისპიროდ, კერძო საჩივრის ავტორი – ქონების მართვის ეროვნული სააგენტო თვლის, რომ ვინაიდან ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოები ეკონომიკის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს წარმოადგენდნენ, მათი უფლებამონაცვლე ყველა დავის შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოების ლიკვიდაციის შემდგომ მათი უფლებამონაცვლე კანონმდებლობით არ დადგენილა, შესაბამისად, ყოველი კონკრეტული დავის ფაქტობრივი გარემოებებისა და დავის საგნის გათვალისწინების შედეგად არის შესაძლებელი კონკრეტულ საქმეში სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფლებამონაცვლე ორგანოს დადგენა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე თ. მ-ე ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამმართველოსგან სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 20 506 ლარის ანაზღაურებას. კანონიერ ძალაში შესული ახალციხის რაიონული სასამართლოს 29.12.2004წ. გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ქონების მართვის ახალციხის რაიონული სამმართველოს ყოფილი უფროსის რ. გ-ის 28.04.1999წ. №37 ბრძანებით თ. მ-ე დაინიშნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექს „...“ მატერიალურ პასუხისმგებელ პირად. ამავე ბრძანებით თ. მ-ეს დაევალა შენობის მოვლა-პატრონობა და კაპიტალური რემონტის ჩატარება, რაც მოსარჩელემ განახორციელა საკუთარი ხარჯით. სწორედ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, თ. მ-ის მიერ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექს „...“ მოვლა-პატრონობასა და რემონტზე განეული ხარჯის – 20 506 ლარის გადახდა დაეკისრა ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამმართველოს. ამდენად, განსახილველი არსებითი დავის საგანი იყო პირის მიერ სახაზინო საწარმოს მოვლა-პატრონობაზე განეული ხარჯისა და სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის №1-1/2 14.05.2004წ. ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტერიტორიული ორგანოების ტიპური დებულების“ მე-2, მე-3 მუხლებით განსაზღვრული იყო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტე-

რიტორიული ორგანოების ფუნქციები და უფლებამოსილებები, რომლის თანახმად სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველსაყოფად სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები ახორციელებდნენ შესაბამის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო მუნიციპალური დაქვემდებარებისა და სამინისტროსაგან დელეგირებული სახელმწიფო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას. მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით (სკ-ის 155.1 მუხ.), ქონების განკარგვა გულისხმობს როგორც ნივთის გასხვისებას – სხვა პირზე საკუთრების გადატანას, ასევე ნივთის უფლებრივ დატვირთვას (მაგ.: იპოთეკით, აღნაგობით და სხვ.), სარგებლობის უფლება ორგანოს აღჭურავს შესაძლებლობით ისარგებლოს სახელმწიფოს ქონებით, თუმცა ამავე დროს აკისრებს ვალდებულებას სათანადოდ მოუაროს ქონებას, თუკი ნივთის გამოუყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს (სკ-ის 170.3 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილია, რომ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „...“, რომლის მატერიალურ პასუხისმგებელ პირად ქონების მართვის ახალციხის რაიონული სამმართველოს უფროსის ბრძანებით დაინიშნა თ.მ-ე და დავალა შენობის მოვლა-პატრონობა (კაპიტალური რემონტის ჩატარება), იყო სახაზინო საწარმო, შესაბამისად, მისი მოვლა-პატრონობა შედიოდა სახელმწიფოს საზოგადო ინტერესებში. ამდენად, სწორედ ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამმართველოს ნორმატიული ვალდებულება იყო აღნიშნული ქონების მოვლა-პატრონობა და თანამდევნი ხარჯების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული ტიპური დებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 11.01.2007წ. №1-1/24 ბრძანების მე-2 მუხლით. ამავე ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს დებულება“, რომლის 1.2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში შედიოდა ახალციხე, ხოლო ამავე დებულების 1.5 მუხლის მიხედვით შესაბამის ტერიტორიაზე არსებული სამინისტროსაგან დელეგირებული სახელმწიფო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების შესაბამისი სამხარეო სამმარ-

ამჟამად მოქმედი საქართველოს მთავრობის 11.02.2016წ. №70 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების“ 2.2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

საქართველოს მთავრობის 11.02.2016წ. №70 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების“ მიხედვით სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ სფეროდ სახელმწიფო ქონების მართვის და განკარგვის განსაზღვრა (2.1 მუხ.), არ ადასტურებს ხსენებულ კონკრეტულ სამართალურთიერთობაში სამინისტროს უფლებამოსილებას. სამინისტრო უფლებამოსილებებს ახორციელებს მის სისტემაში შემავალი ერთეულების მეშვეობით, სამინისტროს სისტემაში შედის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები (მე-3 მუხ.), მათ შორის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). საქართველოს მთავრობის 17.09.2012წ. №391 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მიხედვით სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია.

საქართველოს მთავრობის 17.09.2012წ. №391 დადგენილებით დამტკიცდა „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ დებულება, რომლის მიხედვით სააგენტო დამოუკიდებლად გამოდის სასამართლოში (1.4 მუხ.), აქვს დამოუკიდებელი ბალანსი (1.6 მუხ.), დებს ხელშეკრულებებს ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ (5.2 მუხ.), მისი მიზანია სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა (მე-2 მუხ. „ა“ ქვეპუნქტი), თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით (6.1 მუხ.). დებულების მიხედვით სააგენტო უზრუნველყოფს სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ღონისძიებების შერჩევას, რეკომენდაციების მომზადებას და მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას (მე-8 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). ამდენად, სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული სამინისტროს სამხარეო სამმართველოების უფლება-მოვალეობები მიენიჭა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს. ამ უკანასკნელზე კანონმდებლობით დაკისრებული უფლება-მოვალეობების უკეთ განხორციელების მიზნით სააგენტოში შეიქმნა დეპარტამენტები (6.2 მუხ.), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 14.09.2012წ. №1-1/1810 ბრძანებით შეიქმნა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სა-

აგენტოს“ პრივატიზების დეპარტამენტის მომსახურების ცენტრები, ასევე დამტკიცდა მათი ტიპური დებულებები. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ პრივატიზების დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრის დებულების“ 1.4 მუხლის მიხედვით ცენტრი ახორციელებდა შესაბამის ტერიტორიაზე არსებული სააგენტოსგან დელეგირებული სახელმწიფო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას. აღნიშნული ბრძანება ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მომსახურების ცენტრების შექმნისა და ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 01.05.2013წ. №1-1/107 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მომსახურების ცენტრის დებულების 1-ლი მუხლი ადგენს, რომ ცენტრი არის სააგენტოს სტრუქტურული ერთეული, ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას სააგენტოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს მოვალის – ახალციხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამმართველოს უფლებამონაცვლედ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიჩნევის მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი წინამძღვრები. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.02.2015 წ. განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 399-ე, 419-ე, 420-ე, 410-ე, 423-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.02.2015 წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო გაჟინ გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლები

განჩინება

№ბს-557-550(კს-15)

28 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

02.07.13 წ. ნ. ბ. კ-იმ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის მიმართ, ქ. თბილისის მერიის 27.05.2013წ. №1012 განკარგულებისა და თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 06.02.2013წ. №000013 დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.2013წ. განჩინებით, სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაერთო ი. წ-ი.

05.07.13წ. ი. წ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის მიმართ, ქ. თბილისის მერიის 27.05.2013წ. №1012 განკარგულებისა და თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 06.02.2013წ. №000013 დადგენილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის მოთხოვნით. ი. წ-მა, ასევე, მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის

საქალაქო სამსახურისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც მოხდება ნ. ბ. კ-ის მიერ ლოჯიაზე განხორციელებული მიშენების დემონტაჟი და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.02.2014წ. განჩინებით, სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ნ. ბ. კ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.10.2014წ. განჩინებით ადმინისტრაციული საქმე №3/2362-13 ნ. ბ. კ-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების ქ.თბილისის მერიის, ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის, მესამე პირის – ი.წ-ის მიმართ და ადმინისტრაციული საქმე №3/2411-13 ი. წ-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების ქ.თბილისის მერიის, ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, მესამე პირის – ნ. ბ. კ-ის მიმართ გაერთიანდა ერთ წარმოებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.11.2014 წ. გადაწყვეტილებით ი.წ-ისა და ნ. ბ. კ-ის სარჩელები არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ. კ-იმ, რომელმაც იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების შესახებ და აღნიშნა, რომ არის სოციალურად დაუცველი, განუკურნებელი სენით დაავადებული, შრომისუუნარო, საჭიროებს მუდმივ მკურნალობას, რაც სსკ-ის 47-ე მუხლის საფუძველზე ქმნის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველს. აპელანტმა წარმოადგინა ჯანმრთელობის ცნობები და 02.02.2015წ. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, რომლის მიხედვით ნ. ბ. კ-ის სარეიტინგო ქულაა 64 410.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.03.2015 წ. განჩინებით ნ. ბ. კ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა შვიდდღიანი ვადა სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარსადგენად. აღნიშნული განჩინება 19.06.2015წ. პირადად ჩაბარდა ნ. ბ. კ-ის წარმომადგენელ – ი. ხ-ს.

სააპელაციო პალატამ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებაში მიუთითა სსკ-ის 47-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ აპელანტს არ წარუდგენია გადახდისუუნარობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ

აპელანტის მიერ წარმოდგენილი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან №010319500185 ამონაწერის თანახმად ნ. ბ. კ-ის სარეიტინგო ქულაა – 64410, რაც საქართველოს მთავრობის 28.07.2006 წ. №145 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური დახმარების შესახებ“ წესის 5.1 და მე-7 მუხლებიდან გამომდინარე, გამორიცხავს საარსებო შემწეობის მიღების უფლებას, რადგან სარეიტინგო ქულა ნაკლები არ არის ამ წესით დადგენილ საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე – 57001-ზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერ უზრუნველყო მისი გადახდისუუნარობისა და სოციალურად დაუცველობის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებების წარდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.07.2015 წ. განჩინებით ნ. ბ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.07.2015 წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ბ. კ-იმ, რომელმაც აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარში დააყენა შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების თაობაზე და წარადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რაც მოსამართლემ დაუსაბუთებლად არ გაითვალისწინა. კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის განხილვის დავალბა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ბ. კ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 თავი აწესრიგებს პროცესის ხარჯებთან დაკავშირებულ საკითხებს. პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები, სასამართლო ხარჯებს შეად-

გენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები (სსკ-ის 37-ე მუხ.). „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის. ამდენად, სახელმწიფო ბაჟი სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შენატანია, თუმცა კანონმდებლობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონი) ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან მხარეთა განთავისუფლების სხვადასხვა შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა განთავისუფლება შესაძლებელია ერთი მხრივ – კანონის იმპერატიული ნების საფუძველზე, როდესაც სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან პირის გათავისუფლება სასამართლოს ერთმნიშვნელოვანი, კანონისმიერი ვალდებულებაა (სსკ-ის 46-ე მუხ.) და მეორე მხრივ, სასამართლოს ნების საფუძველზე მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, უკეთუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს (სსკ-ის 47-ე მუხ.).

განსახილველ შემთხვევაში, ნ. ბ. კ-ი უთითებს, რომ არის სოციალურად დაუცველი, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა 02.02.2015წ. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, რომლის მიხედვით ნ. ბ. კ-ის სარეიტინგო ქულაა 64 410.

სსკ-ის 46.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას. განსახილველ შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 02.02.2015წ. ამონაწერით დასტურდება, რომ, მართალია, ნ. ბ. კ-ი რეგისტრირებულია აღნიშნულ ბაზაში, თუმცა მისი სარეიტინგო ქულა 64410 შეადგენს. საქართველოს მთავრობის 28.07.2006 წ. №145 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური დახმარების შესახებ“ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით

სითრეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილ საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე. ამავე წესის მე-7 მუხლის თანახმად, საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულაა 57001. ამდენად, ნ. ბ. კ-ი ვერ იქნება მიჩნეული სოციალურად დაუცველ პირად სსკ-ის 46-ე მუხლის მიზნებისათვის და აღნიშნული საფუძვლით ვერ განთავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

კერძო საჩივრის ავტორი, აგრეთვე, უთითებს, რომ არის განუკურნებელი სენით დაავადებული, შრომისუუნარო, საჭიროებს მუდმივ მკურნალობას, რაც სსკ-ის 47-ე მუხლის საფუძველზე ქმნის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 47-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია გაათავისუფლოს მოქალაქე სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, თუ პირი წარდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დაადასტურებს ხარჯების გადახდის შეუძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში, ნ. ბ-მ კ-ის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა ჯანმრთელობის ცნობები, რომლებიც იძლევიან ინფორმაციას კერძო საჩივრის ავტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მკურნალობის ხარჯების და არა მისი გადახდისუუნარობის შესახებ. პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა, უკეთეს მხარეს სათანადო წესით არ აქვს მინიჭებული ინვალიდის სტატუსი, არ ათავისუფლებს მას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან („სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი).

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის 20.03.2015წ. განჩინებით მართებულად არ დაკმაყოფილდა ნ. ბ. კ-ის შუამომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ და აპელანტს საფუძვლიანად დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის კანონით განსაზღვრული ოდენობის გადახდა.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ 20.03.2015წ. განჩინება 13.06.2015წ. პირადად ჩაბარდა ნ. ბ. კ-ის წარმომადგენელ – ი. ხ-ს, რომლის უფლებამოსილება დასტურდება საქმეში დაცული 31.10.2013წ. №131145604 მინდობილობით.

სსკ-ის 70.1 მუხლის თანახმად, გზავნილი ეგზავნება მხარეს ან მის წარმომადგენელს, გზავნილი მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს. განსახილველ შემთხვევაში გზავნილი

ჩაიბარა წარმომადგენელმა – ი. ხ-მა 13.06.2015წ. სსკ-ის 59.2 მუხლის თანახმად, თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის მიერ, დადგენილი ხარვეზის შევსების საპროცესო ვადად განისაზღვრა 7 დღე, შესაბამისად აპელანტი – ნ. ბ. კ-ი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მისაღებად ვალდებული იყო გზავნილის უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებიდან – 2015 წლის 13 ივნისიდან 7 დღის ვადაში წარედგინა სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი ან შუამდგომლობა დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ, რაც აპელანტის (კერძო საჩივრის ავტორის) ან მისი წარმომადგენლის მიერ არ განხორციელებულა.

სსკ-ის 61-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაათხუთსაათამდე. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შემთხვევაში საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ნ. ბ. კ-ის სააპელაციო საჩივარი, ხარვეზის შეუვსებლობის საფუძველით, მართებულად იქნა განუხილველად დატოვებული, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 410-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და:

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ბ. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.07.2015 წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება

გადანყვეტილება საქართველოს სასწრაფო სამედიცინო დახმების სახელმწიფო სასწრაფო სამედიცინო დახმების

№ბს-135-134(კ-კს-15)

12 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოსგარეშე ხარჯის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ყვარლის მაგისტრეტი სასამართლოს 13.02.15წ. გადანყვეტილებით დაკმაყოფილდა ქ. გ-ის განცხადება, დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ უფლების დამდგენი საბუთი – 14.05.14წ. საარქივო ცნობა №AA2014025704-03, სადაც კომლის წევრად მითითებულია ქ. ხ-ი, ეკუთვნის კომლის წევრს პირადობის მოწმობის მიხედვით 07.07.1981წ. დაბადებულს ქ. გ-ს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურის 30.03.15წ. №... გადანყვეტილებით მიღებულ იქნა გადანყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4242 კვ.მ. ნაკვეთი ქ. გ-ის საკუთრებაში აღირიცხა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 06.04.15წ. განჩინებით დაკმაყოფილდა ი. ხ-ის განცხადება, სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო საჯარო რეესტრში ქ. გ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას, მდებარე ყვარლის რაიონი, სოფ. ..., საკადასტრო კოდი №..., დაზუსტებული ფართობი 4242 კვ.მ..

ი. ხ-მა სარჩელით მიმართა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურის და ქ. გ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურის 30.03.2015წ. №... გადანყვეტილების გამოცემის დღიდან ბათილად ცნობა და ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება სადავო უძრავი ქონების ი.ხ-ის სახელზე რეგისტრაციის შესახებ, ასევე სარჩელის დაკმაყოფილების შემ-

თხვევაში მოსარჩელის მიერ განეული საადვოკატო ხარჯის მო-
პასუხისა და მესამე პირისათვის დაკისრება.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 27.05.15წ. განჩინებით
ქ. გ-ი ჩაება საქმეში მესამე პირად სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძ-
ველზე.

გურჯაანის რაიონულ სასამართლოს 05.06.2015წ. გადაწყვე-
ტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გაუქმდა გურჯაანის რა-
იონული სასამართლოს 06.04.15წ. განჩინებით გამოყენებული
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა
საჯარო რეესტრში ქ. გ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქო-
ნებას.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ხ-მა, რო-
მელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების გზით
სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ახალი გადაწყვეტილების
მიღება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ყვარლის
სარეგისტრაციო სამსახურის 30.03.2015წ. №... გადაწყვეტილე-
ბის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში შეწყდა საქმის წარ-
მოება, სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 30.03.2015წ. №... გა-
დაწყვეტილების გაუქმების გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 19.11.2015წ. განჩინებით სააპელაციო საჩი-
ვარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გურჯაანის რაიო-
ნული სასამართლოს 05.06.2015წ. გადაწყვეტილება.

განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ხ-მა.

ი. ხ-მა კერძო საჩივარი შემოიტანა საკასაციო სასამართლო-
ში, რომლითაც მოითხოვა 600 ლარის ოდენობით მის მიერ საად-
ვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურე-
ბაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.11.2015წ. განჩი-
ნების გაუქმება და მითითებული ხარჯების მოპასუხისა და მე-
სამე პირისათვის დაკისრება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მის მოთხოვნას
სააპელაციო სასამართლოში, ასევე, შეადგენდა მონინააღმდე-
გე მხარისა და მესამე პირისთვის მოსარჩელის მიერ განეული
საადვოკატო ხარჯების ანაზღაურება 600 ლარის ოდენობით.
სააპელაციო პალატამ არ დაასაბუთა, თუ რატომ არ დააკმაყო-
ფილა მითითებული მოთხოვნა. საადვოკატო ხარჯების განევის
დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილია საქმეში.

კერძო საჩივარი საკასაციო პალატის 14.09.2016წ. განჩინე-
ბით მიჩნეულ იქნა საკასაციო საჩივრის ნაწილად და დასაშვე-

ბად იქნა ცნობილი საადვოკატო ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინების და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ მოითხოვა ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურის 30.03.2015წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რეგისტრაციის გაუქმება, ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება სადავო უძრავი ქონების ი.ხ-ის სახელზე რეგისტრაციის შესახებ, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელის მიერ განეული საადვოკატო ხარჯის მოპასუხისა და მესამე პირისათვის დაკისრება. ი. ხ-ს იგივე მოთხოვნა გააჩნდა სააპელაციო საჩივარში. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აქტის ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება, პალატის საბოლოო გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მათ შორის არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა მხარის მიერ განეული საადვოკატო ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

სასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა-

უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა.

მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის განეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (სსკ-ის 37.3 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრების) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესების ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. ამასთან, მხარეებს არ ეზღუდებათ პროცესის ხარჯების მოთხოვნის უფლება საქმის მომზადების დასრულების შემდგომ ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუკი ხარჯების საკითხი სწორედ საქმის განხილვის ამ სტადიაზე წარმოიშვა. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მომსახურების ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების საკითხი სასარჩელო განცხადებაში და სააპელაციო საჩივარში დაისვა. ი. ხ-ი სარჩელით მოითხოვდა ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურის 30.03.15 წ. №... გადანყვეტილების და მის საფუძველზე ქ. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის (ყვარლის რაიონის სოფელ ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4242 კვ.მ. ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი №...) გაუქმებას, ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურისათვის მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, განეული საადვოკატო ხარჯის ანაზღაურებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს 06.04.15წ. №... შემოსავლის ორდერის მიხედვით რ. ჭ-ის მიმდინარე ანგარიშზე გადახდილი აქვს 300 ლარი. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 05.06.15წ. გადანყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან, არ დაკმაყოფილდა პირველი ორი მოთხოვნა, არ უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის მესამე სასარჩელო მოთხოვნა საადვოკატო ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ. სააპელაციო საჩივრით აპელანტი ი. ხ-ი სსკ-ის 53-ე მუხლზე მითითებით მოითხოვდა მის მიერ საადვოკატო მომსახურებაზე განეული ხარჯის, სულ 600 ლარის (300+300) დაკისრებას მოწინააღმდეგე მხარისათვის. ამასთანავე, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს წარედგინა 08.07.15წ. №5099620504 შემოსავლის ორდერი, რომლის მიხედვით რ. ჭ-ის მიმდინარე ანგარიშზე ი. ხ-მა გადაიხადა 300 ლარი.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხე ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაუქმდა სადავო აქტი – ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურის 30.03.2015წ. გადაწყვეტილება, რის გამოც სააპელაციო პალატის მიერ შეწყდა საქმის წარმოება მოსარჩელის ამ მოთხოვნის ნაწილში. მითითებული გარემოება იძლეოდა წარმომადგენლობაზე განეული ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურების საფუძველს, სააპელაციო პალატის განჩინებით ი. ხ-ს უმართებულად ეთქვა უარი ადვოკატის ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურებაზე. პროცესის ხარჯების განაწილების წესის (სსკ-ის 53-ე მუხ.) თანახმად პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი შეიძლება დადგეს, ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის წარმოება მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე (სსკ-ის 272-ე და 275-ე მუხლები). ასეთ დროს, სასამართლო შესაბამისი განჩინებით გადაწყვეტს პროცესის ხარჯების განაწილების საკითხს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, დავის საგნიდან ერთ ნაწილზე საქმის წარმოება შეწყდა, არსებობდა მხარის მიერ განეული ხარჯის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი. ესა თუ ის მხარე შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ სასამართლო ხარჯებისგან, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა იქნეს შეტანილი, რაც არ ნიშნავს მხარის გათავისუფლებას იმ ხარჯებისგან, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ უნდა იქნეს გადახდილი. სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს. სსკ-ის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ, მოსარჩელის თხოვნით, სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ განეული ხარჯების და ადვოკატის დახმარების გამო განეული ყველა ხარჯის ანაზღაურებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სარეგისტრაციო სამსახურის სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და სადავო რეგისტრაციის გაუქმების ნაწილში მოპასუხემ თავად გააუქმა, ამასთანავე, მოსარ-

ჩელე სარჩელშიც და სააპელაციო საჩივარშიც მოითხოვდა მოპასუხისათვის სასამართლო ხარჯების დაკისრებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ი. ხ-ი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ქვედა ინსტანციების სასამართლოების მიერ გათავისუფლდა სსკ-ის 46-ე მუხლისა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ¹“ ქვეპუნქტის (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი) საფუძველზე. ამასთანავე, საქმის მასალებით დასტურდება მოსარჩელის მიერ საადვოკატო მომსახურებაზე განუთლი ხარჯები.

საპროცესო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის ხდება თითოეული ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე, ზემდგომ ინსტანციაში დამდგარი შედეგის მიხედვით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ყვარლის მაგისტრატი სასამართლოს 19.02.15წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ქ. გ-ის განცხადება, დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ უფლების დამდგენი საბუთი – საარქივო ცნობა №..., გაცემული 2014 წლის 14 მაისს, სადაც კომლის წევრად მითითებულია ქ. ხ-ი, ეკუთვნის კომლის წევრს ქ. გ-ს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურის 30.03.15წ. №... გადაწყვეტილებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4242 კვ.მ. ნაკვეთი ქ. გ-ის საკუთრებაში აღირიცხა. 02.04.15წ. და 22.07.15წ. გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს განცხადებით მიმართა ი. ხ-მა და მისმა წარმომადგენელმა რ. ჭ-მა, რომლებმაც მოითხოვეს ყვარლის მაგისტრატი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, საქმეზე წარმოების განახლება. გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის 30.07.15წ. განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა, გაუქმდა ყვარლის მაგისტრატი სასამართლოს 19.02.15წ. გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა, ამავე განჩინებით ქ. გ-ის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად და დაინტერესებულ პირებს განემართათ, რომ მათ უფლება აქვთ წარადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე. ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურის 10.08.15წ. №..., №..., №... გადაწყვეტილებით, გურჯაანის რაიონული სასამართლოს 30.07.15წ. №2/18-5 განჩინების საფუძველზე, განცხადება რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 19.11.15წ. განჩინებით, სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-

რივი აქტს და მის საფუძველზე ქ. გ-ის სახელზე რეგისტრაციის გაუქმების შედეგად, დავის საგნის არარსებობის გამო, ი. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნის პირველ ნაწილში, კერძოდ, ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურის 30.03.15წ. №... გადაწყვეტილების და მის საფუძველზე ქ. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობის ნაწილში საქმის წარმოება, სსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეწყდა. სააპელაციო სასამართლოს მიერ იმავე დღეს მიღებული მეორე განჩინებით ი. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მხედველობაშია მისაღები, რომ საქმის წარმოება სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის ნაწილში მოხდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე ი. ხ-ის და მისი წარმომადგენლის განაცხადის დაკმაყოფილების საფუძველზე, რამაც შემდგომში გამოიწვია სარეგისტრაციო სამსახურის მიერ თავისი სადავო აქტის და რეგისტრაციის გაუქმება. საკასაციო პალატა თვლის, რომ ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სადავო აქტის და რეგისტრაციის გაუქმების გამო მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაკისრებოდა ი. ხ-ის სასარგებლოდ მის მიერ განეული საადვოკატო ხარჯის ნაწილობრივ – 300 ლარის ოდენობით, ანაზღაურება. კანონმდებლობას არ ესადაგება სააპელაციო პალატის განჩინება სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, რაც ამ ნაწილში განჩინების გაუქმების და საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს ქმნის (სსკ-ის 411-ე მუხ.).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე, 408.3 მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ი. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.11.2015წ. განჩინება ი. ხ-ისათვის ადვოკატის ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქ-

ნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყვარლის სარეგისტრაციო სამსახურს ი. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ი. ხ-ის მიერ განეული საადვოკატო მომსახურების ხარჯი 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელების საფუძვლება

განჩინება

№ბს-296-293(უს-14)

11 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა შპს „...“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის განჩინებაზე

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 16 ივლისს შპს „...“ (წარმომადგენელი ი. დ-ე) სა-სარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სა-ქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინის-ტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართვე-ლოს 2010 წლის 31 დეკემბრის №990 ბრძანებისა და საქართვე-ლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 6 ივლისის №1-1/1219 ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამი-

ნისტროსათვის შპს „...“ განცხადების განხილვისა და კანონით დადგენილი წესით, მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკითხის გადაწყვეტის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 ივლისის განჩინებით შპს „...“ სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეცა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 29 ივლისის განჩინებით საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმულ იქნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე შპს „...“ მიერ წარმოდგენილ იქნა დაზუსტებული სასარჩელო განცხადება და მოითხოვა: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2010 წლის 31 დეკემბრის №990 ბრძანებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 6 ივლისის №1-1/1219 ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის შპს „...“ განცხადების განხილვისა და კანონით დადგენილი წესით, მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკითხის გადაწყვეტის დავალება.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“. ამასთან, აპელანტმა იშუამდგომლა საქმეზე წარმოების დასრულებამდე და საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერებაში შესვლამდე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს აეკრძალოს შემდეგი საიჯარო ხელშეკრულებების შეწყვეტა და იჯარის უფლებით შემდეგი მიწის ნაკვეთების გაცემა: 1. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის 18.08.2005 წლის №924 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 6 მიწის ნაკვეთზე, რომელთა საკადასტრო კოდებია: ..., ..., ..., ..., ..., ...; 2. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის 21.12.2005 წლის №2206 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე, რომელთა საკადასტრო კოდებია: ..., ...; 3. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის 03.01.2006 წლის №2332 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 2 მიწის ნაკვეთზე, რომელთა საკადასტრო კოდებია: ..., ...; 4. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის 15.06.2005 წლის №615 ხელშეკრულებით

გათვალისწინებულ 2 მიწის ნაკვეთზე, რომელთა საკადასტრო კოდებია: ..., ...; 5. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის 15.06.2005 წლის №617 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 1 მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: ...; 6. №616 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 1 მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია

განმცხადებელმა განმარტა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-25-ე მუხლების გათვალისწინებით, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უნდა დაევალოს განიხილოს შპს „...“ განცხადება და მოახდინოს აღნიშნული მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკითხის გადაწყვეტა, ანუ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელეს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს მის მიერ სათანადო წესით წარდგენილი განაცხადის საფუძველზე მისთვის იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე პირდაპირი მიყიდვის წესით გამოსყიდვის უფლებით. საქმის განხილვის დასრულებამდე კი, საიჯარო ხელშეკრულებების მოშლა და მათი სხვა სუბიექტებზე გაცემა, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელს გახდის ან გაართულებს გადაწყვეტილების აღსრულებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 14 აპრილის განჩინებით შპს „...“ წარმომადგენლის ი. დ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობაში აღნიშნული გარემოებები არ შეესაბამება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის კანონით განსაზღვრულ მიზნებს. ასევე, სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს დროებით ღონისძიებას, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს სასამართლო დავის დასრულებამდე გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების საფრთხის თავიდან აცილების საფუძველით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი სახის საფრთხის არსებობა მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორის მიერ დასაბუთებული არ არის. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობაში მითითებული არ არის იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულებას. სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ მო-

ცემულ საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა ვერ გააძნელებს და შეუძლებელს ვერ გახდის გადანყვეტილების აღსრულებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის განჩინებაზე იმავე სასამართლოში საჩივარი წარადგინა შპს „...“ წარმომადგენელმა ი. დ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ გაურკვეველია ვითარება, რაც სადავო მიწის ნაკვეთებზე დღემდე არსებობს, დაუდგენელია, აღუდგება თუ არა შპს „...“ მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით გამოსყიდვის კანონით დადგენილი და უსაფუძვლოდ, უკანონოდ შეზღუდული უფლება. საჩივრის ავტორი, ასევე, მიუთითებს, რომ აპელანტს ამ მიწის ნაკვეთების კულტივაციისათვის დახარჯული აქვს სოლიდური თანხები, ხოლო გაურკვეველი ვითარების გამო იგი შემდგომი და აუცილებელი ინვესტიციების განხორციელებისაგან იკავებს თავს. არ ხდება მიწის ნაკვეთების სათანადო დამუშავება და მათი შესაბამისი გამოყენება. აღნიშნული ვითარება განაპირობებს საწარმოს მნიშვნელოვან ზარალს.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით სწორედაც რომ გართულდება ან სულაც შეუძლებელი გახდება სავარაუდოდ შპს „...“ სასარგებლოდ გამოტანილი გადანყვეტილების აღსრულება. შესაძლოა მოხდეს ისეც, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ შეწყვიტოს საიჯარო ხელშეკრულებები, რაც უცილობლად გამოიწვევს ახალ სასამართლო დავას სააგენტოს წინააღმდეგ, აღნიშნული კი დაკავშირებულია დავის დასრულების გადადებასთან და აპელანტის ზარალთან. ასევე, შემდგომ სასამართლო დავებთანაა დაკავშირებული სააგენტოს მიერ იჯარის ხელშეკრულებების სავარაუდო შეწყვეტის შემდეგ მისი შესამე პირებზე იჯარის უფლებით გაცემის საკითხიც. სააგენტომ შესაძლოა მიიჩნიოს, რომ სადავო მიწის ნაკვეთები არ ყოფილა იჯარით გაცემული და განახორციელოს სადავო მიწის ნაკვეთების აუქციონის ფორმით პრივატიზება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის განჩინება დაუსაბუთებელია და არსებობს მისი გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 აპრილის განჩინებით შპს „...“ წარმომადგენლის ი. დ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 მაისის განჩინებით შპს „...“ საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და დადგინდა საქმის განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადამწყვეტილების გამოტანაზე. იმავე კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

განსახილველ შემთხვევაში, შპს „...“ მიერ აღძრულ სარჩელზე დავის საგანია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2010 წლის 31 დეკემბრის №990 ბრძანებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 6 ივლისის №1-1/1219 ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის შპს „...“ განცხადების განხილვისა და კანონით დადგენილი წესით, მინის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკითხის გადაწყვეტის დავალება.

შპს „...“ განცხადების განხილვისა და კანონით დადგენილი წესით, მინის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკითხის გადაწყვეტის დავალება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის საგანს, საჩივრის მოთხოვნიდან გამომდინარე, წარმოადგენს საქმეზე წარმოების დასრულებამდე და საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს აეკრძალოს შემდეგი საიჯარო ხელშეკრულებების შეწყვეტა და იჯარის უფლებით შემდეგი მინის ნაკვეთების გაცემა: 1. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის 18.08.2005 წლის №924 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 6 მიწის ნაკვეთზე, რომელთა საკადასტრო კოდებია: ..., ..., ..., ..., ..., ...; 2. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის 21.12.2005 წლის №2206 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე, რომელთა საკადასტრო კოდებია: ..., ...; 3. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის 03.01.2006 წლის №2332 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 2 მიწის ნაკვეთზე, რომელთა საკადასტრო კოდებია: ..., ...; 4. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის 15.06.2005 წლის №615 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 2 მიწის ნაკვეთზე, რომელთა საკადასტრო კოდებია: ..., ...; 5. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის 15.06.2005 წლის №617 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 1 მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: ...; 6. №616 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 1 მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია ... შპს „...“ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ მის მიერ აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოხდება მოსარჩელის უფლების აღდგენა და მის მიერ სათანადო წესით წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, მას ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს მისთვის იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე პირდაპირი მიყიდვის წესით გამოსყიდვით. საქმის განხილვის დასრულებამდე კი, საი-

ჯარო ხელშეკრულების მოშლა და მათი სხვა სუბიექტებზე გაცემა, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლებელს გახდის და გაართულებს გადაწყვეტილების აღსრულებას. გამომდინარე აქედან კი, დავა აზრს დაკარგავს და გადაწყვეტილება იქცევა აღსრულებელ გადაწყვეტილებად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა, თავისი არსით, წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების ისეთ სახეს, რომლის გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა. შესაბამისად, მისი გამოყენება მიმართული უნდა იყოს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების და/ან მისი შეუძლებლობის თავიდან აცილებისკენ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით განსაზღვრულია სასამართლოსათვის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართვის შესაძლებლობა, დასახელებული მუხლის ნორმიდან გამომდინარე განცხადება, რომლითაც მხარე ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას, უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, ანუ ცალსახაა, რომ განცხადების (შუამდგომლობის) წარდგენისას თავად მხარე არის ვალდებული წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულება, რაც დაასაბუთებს მისი მოთხოვნის საფუძვლიანობას და რაც, საბოლოო ჯამში, სასამართლოს შეუქმნის დასაბუთებულ ვარაუდს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით მიუთითებს, რომ მხარის შუამდგომლობა, რომელშიც მითითებული იქნება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში შეუძლებელი გახდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, უპირობოდ არ წარმოადგენს შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველს, ვინაიდან მხარე, ასევე, ვალდებულია მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებითა და ფაქტებით დაამტკიცოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გამოიწვევს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელებას და/ან შეუძლებელს გახდის მას. აღნიშნული კი ვერც სააპელაციო სასამართლოში დაყენებული შუამდგომლობითა და ვერც საჩივრით იქნა უზრუნველყოფილი, რამეთუ საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია რაიმე საფუძვლიანი არგუმენტი, რომლითაც დადასტურებოდა გასაჩივრებული განჩინების საპროცესო ნორმების დარღვევით მიღება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყო-

ფის თაობაზე შპს „...“ შუამდგომლობის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა და მიიღო იურიდიულად სწორი განჩინება, ვინაიდან შუამდგომლობა და საჩივარი არ შეიცავს დამაჯერებელ დასაბუთებას იმ გარემოებებზე მითითებით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით არ არის დადასტურებული გამგეობის მიერ მათ შორის არსებული საიჯარო სამართალურთიერთობიდან გასვლის ინიციატივის არსებობა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება სადავო მინის ნაკვეთებზე საიჯარო ხელშეკრულებების შეწყვეტა და იჯარის უფლებით მათი სხვა პირებზე გასხვისება, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა წარმოშობს სხვა სარჩელის ფარგლებში დავის დაწყების საფუძველს. ამდენად, შუამდგომლობაში მითითებული გარემოებები, მოცემულ ეტაპზე, საკასაციო სასამართლოს არ უქმნის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებისათვის საფრთხის შექმნის დასაბუთებულ ვარაუდს (გამგეობის მიერ მომავალში იჯარის ხელშეკრულებების მოშლის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა ვერ დაასაბუთებს ამ დავაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გადაუდებელ აუცილებლობას).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „...“ საჩივარი არის დაუსაბუთებელი, საჩივარში არ არის მითითებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გაუქმების საფუძვლიანი მოტივები, შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნული საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილისა და 30 აპრილის განჩინებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილისა და 30 აპრილის განჩინებები;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უზღუბის დროებითი დაცვის ორგვარი შესაქმებლობა

განჩინება

№ბს-370-365(კს-16)

12 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. პ-ამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. მოსარჩელემ მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2015 წლის 20 ივლისის №500 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც განუხილველად დარჩა მისი ადმინისტრაციული საჩივარი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №000902 დადგენილებაზე, აგრეთვე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მ. პ-ას ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დავალეზა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. პ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 20 ივლისის №500 ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №000902 დადგე-

ნიღების ბათილად ცნობის თაობაზე 2015 წლის 5 ივნისს წარმოდგენილი №12/15156291-17 ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა კანონით დადგენილი წესით.

გადაწყვეტილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

2016 წლის 25 მარტის მ. პ-ამ თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №000902 დადგენილების მოქმედების შეჩერება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 მარტის დროებითი განჩინებით მ. პ-ას შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შეჩერდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №000902 დადგენილების მე-2 პუნქტის (კაპიტალური ღობის დემონტაჟის დავალება) მოქმედება; შეჩერდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2015 წლის 18 აგვისტოს გაცემული №4-5/ სააღსრულებო ფურცლის მოქმედება და აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულების ეროვნულ ბიუროში დაწყებული აღსრულება, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულებამდე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ საუბარია სწორედ გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერების საკითხზე, თუმცა ეს ცალსახად გამომდინარეობს ამ მუხლის შინაარსიდან და მიზნიდან. ამ მუხლის პირველ ნაწილში არსებული ჩანაწერის შინაარსი აქტთან მიმართებით, რომ ჩერდება სწორედ გასაჩივრებული აქტის მოქმედება, საერთოა მითითებული მუხლის დანარჩენი ნაწილებისთვისაც და, ამდენად, ცალსახაა, რომ ამ მუხლში საუბარია მხოლოდ გასაჩივრებულ აქტზე და არა აქტზე ჰიპოთეტურად. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან განმცხადებლის მოთხოვნა მოტივირებულია სწორედ სასკ-ის 29-ე მუხლით და სასამართლოში უშუალო დავის საგანი არ არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №000902 დადგე-

ნილება (დაჯარიმებისა და დემონტაჟის შესახებ), რომლის შეჩერებასაც ითხოვს განმცხადებელი, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სადავო საკითხის გადასაწყვეტად არ უნდა იქნეს გამოყენებული სასკ-ის 29-ე მუხლი და ამ სამართლებრივი საფუძვლით არ უნდა მოხდეს მოთხოვნილი აქტის შეჩერება. თუმცა, ამ შემთხვევაში, სასამართლო შეზღუდული არ არის განმცხადებლის მოთხოვნის ვინრო ფორმულირებით, ცალსახაა რა მისი მიზანი მოცემულ საკითხთან მიმართებით, სააპელაციო პალატამ შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიიჩნია უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტა სასკ-ის 31-ე მუხლის საფუძველზე (დროებითი განჩინება).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აქტის ბათილად ცნობასთან ერთად, განმცხადებლის მეორე სასარჩელო მოთხოვნაა – დაევალოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №000902 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე 2015 წლის 5 ივნისს ნარდგენილი №12/15156291-17 ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა კანონით დადგენილი წესით, ანუ, მოთხოვნილია ქმედების განხორციელების დაავალება, შესაბამისად, მოცემული საკითხის გადასაწყვეტად რელევანტურია სასკ-ის 31-ე მუხლის გამოყენება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმგვარ ვითარებაში, როდესაც სააპელაციო ინსტანციაში მიმდინარეობს დავა იმ აქტის კანონიერების თაობაზე, რომლითაც განუხილველი დარჩა მ. პ-ას ადმინისტრაციული საჩივარი ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №000902 დადგენილებაზე, მ. პ-ას სასარგებლოდ დავის შესაძლო დასრულების შემთხვევაში, რაც გულისხმობს მერიისათვის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დავალებას და რაც თეორიულად, ბუნებრივია, არ გამოორიცხავს მერიის მიერ მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას, მიზანშეწონილია დროებითი განჩინების გამოტანის გზით არსებული მდგომარეობის შენარჩუნება; კერძოდ, თუკი არ მოხდება დემონტაჟის ნაწილში აქტის მოქმედების შეჩერება, არსებული მდგომარეობის შეცვლით (დემონტაჟის განხორციელებით) ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულებება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მხარის მტკიცებით, დროებითი განჩინების გამოტანა დაუსაბუთებელია, ვინაიდან დავის საგანია 2015 წლის 20 ივლისის №500 ბრძანების ბათილად ცნობა. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი,

გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი გამართლებული არ არის. მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მიმართულია უშუალოდ გასაჩივრებული აქტების მიმართ, შესაბამისად, დაუსაბუთებელია ამ დავის ფარგლებში აქტის მოქმედების შეჩერება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №000902 დადგენილებით მ. პ-ა დაჯარიმდა 10 000 ლარით, თბილისში, ... ჩიხი №9-ის მიმდებარედ კაპიტალური ღობის უნებართვოდ მშენებლობისათვის და დაევალა უნებართვოდ აშენებული ღობის დემონტაჟი. აღნიშნულ დადგენილებაზე შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2015 წლის 20 ივლისის №500 ბრძანებით განუხილველად დარჩა. მ. პ-ამ სარჩელი აღძრა აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დავალდებულების მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით შეჩერდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №000902 დადგენილების მოქმედება დემონტაჟის ნაწილში.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ვინაიდან უშუალო დავის საგანი არ არის ქალაქ თბი-

ლისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №000902 დადგენილების მართლზომიერება, სასკ-ის 29-ე მუხლი გამოყენებული ვერ იქნება.

საკასაციო სასამართლო, ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს უფლების დროებითი დაცვის ორგვარ შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მოითხოვს აქტის ბათილად ცნობას ან ძალადაკარგულად გამოცხადებას, უფლების დროებითი დაცვა ხორციელდება სასკ-ის 29-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო ყველა სხვა სახის სარჩელისათვის გათვალისწინებულია სასკ-ის 31-ე მუხლში მოცემული მექანიზმი.

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლო დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მონესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძველების გამო. მე-2 ნაწილის შესაბამისად, დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლო.

მართალია, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი უთითებს, რომ დროებითი განჩინების მიღება შესაძლებელია სარჩელის აღძვრამდე, თუმცა აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი ცხადყოფს, რომ დროებითი განჩინების მიღება შესაძლებელია სარჩელის აღძვრის შემდგომაც, მაგ. სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მონესრიგებისათვის.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი გამართლებული არ არის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარის საბოლოო იურიდიული ინტერესი არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-

რიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №000902 დადგენილების ბათილად ცნობა, რისი მიღწევაც მხარეს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის გზით სურს. ვინაიდან მ. პ-ას ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველად დარჩა, შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის გარეშე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის დადგენილების კანონიერება ვერ შეფასდება.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ იმგვარ ვითარებაში, როდესაც მიმდინარეობს დავა იმ აქტის კანონიერების თაობაზე, რომლითაც განუხილველი დარჩა მ. პ-ას ადმინისტრაციული საჩივარი ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №000902 დადგენილებაზე, მ. პ-ას სასარგებლოდ დავის შესაძლო დასრულების შემთხვევაში (რაც გულისხმობს მერიისათვის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დავალებას და რაც თეორიულად, ბუნებრივია, არ გამოირიცხავს მერიის მიერ მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას), მიზანშეწონილია დროებითი განჩინების გამოტანის გზით არსებული მდგომარეობის შენარჩუნება; კერძოდ, თუკი არ მოხდება დემონტაჟის ნაწილში აქტის მოქმედების შეჩერება, არსებული მდგომარეობის შეცვლით (დემონტაჟის განხორციელებით) ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 მარტის დროებითი განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. საქმის წარმოების შეჩერება

საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების წინაპირობები

განმარტება

№ბს-435-424(კს-13)

19 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ნკებლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: საქმის წარმოების შეჩერების კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 18 იანვარს ნ. მ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 10 ნოემბრის №1825 ბრძანების საფუძველზე შექმნილი დისციპლინური კომისიის 2012 წლის 28 ნოემბრის სხდომის ოქმისა და ამავე კომისიის 2012 წლის 28 ნოემბრის დასკვნის ბათილად ცნობის თაობაზე. მოსარჩელემ, ასევე მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 12 დეკემბრის №417 ბრძანება მოსარჩელის ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, აღდგენილი იქნეს მოსარჩელე ნოტარიუსის თანამდებობიდან და აღუდგეს ნოტარიუსის უფლებამოსილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 მარტის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა ნ. მ-ის წარმომადგენლის ქ. უ-ს შუამდგომლობა ადმინისტრაციული საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ნ. მ-ის

სარჩელის დაკმაყოფილება. აპელანტმა, ასევე მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 მარტის საოქმო განჩინების გაუქმება და ადმინისტრაციული საქმის წარმოების შეჩერება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განსახილველი საქმის დასრულებამდე, სადაც იხილება დავა 2011 წლის 13 აპრილის იპოთეკის ხელშეკრულების, 2012 წლის 22 მაისის იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილებების და/ან დამატების შეტანის ხელშეკრულებისა და ნოტარიუსი ნ. მ-ის მიერ გაცემული №120707494 სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის თაობაზე.

თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ივლისის განჩინებით ნ. მ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეჩერდა ადმინისტრაციული საქმის (აპელანტი – ნ. მ-ი, მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, დავის საგანი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა) წარმოება, სხვა საქმის, კერძოდ, მოსარჩელების – ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“-ის წევრების – თ. ც-ის, რ. მ-ის და შ. მ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხეების – გ. ტ-ის, ქ. კ-ის, ნოტარიუს ნ. მ-ის, ნ. დ-ას, მ. ხ-ის და შპს „...“ მიმართ, 13.04.2011 წლის იპოთეკის ხელშეკრულების, 22.05.2012 წლის შეთანხმების და 05.07.2012 წლის სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნით აღძრული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტამდე, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 12 დეკემბრის №417 ბრძანებით ნოტარიუსი ნ. მ-ი 2012 წლის 13 დეკემბრიდან განთავისუფლდა ნოტარიუსის თანამდებობიდან, შეუწყდა ნოტარიუსის უფლებამოსილება და ამოირიცხა საქართველოს ნოტარიუსთა რეესტრიდან; ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძველია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, ასევე მე-3 პუნქტი.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო ნოტარიუსის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებასა და დისციპლინური სახდელის გამოყენებას: 2007 წლის 30 ნოემბერს შეიქმნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“. „ამხანაგობის“ დამფუძნებელ წევრთა შორის ურთიერთობებს არეგულირებდა ნოტარიუს – ნ. მ-ის მიერ დამონმებული სადამფუძნებლო ხელ-

შეკრულება, დადებული და დამონმებული ნოტარიულად 2007 წლის 30 ნოემბერს, სანოტარო მოქმედებების რეესტრში (რეგისტრაციის №1-17325). ამავე ხელშეკრულებაში 2010 წლის 11 ივნისს ამხანაგობის წევრებს შორის დადებული შეთანხმებით შეტანილ იქნა მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები, რომელთა შესაბამისად, სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-6 თავის 6.5 პუნქტში მიეთითა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე ერთობლივად წყვეტენ „ამხანაგობის“ ძირითად ორგანიზაციულ-ფინანსურ საკითხებს, ასევე უფლებამოსილნი არიან აიღონ კრედიტი და იპოთეკით დატვირთონ „ამხანაგობის“ კუთვნილი უძრავი ქონება, მხოლოდ „ამხანაგობის“ დამფუძნებელ წევრთა წერილობითი თანხმობით. 11.06.2010 წლის შეთანხმება, ასევე დაამონმა ნოტარიუსმა ნ. მ-მა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 13 აპრილს შპს „...“ და ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მხარეთა შორის 2011 წლის 25 აპრილს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ამხანაგობის მიერ შპს „...“ მიმართ შესასრულებელი ვალდებულების ოდენობა შეადგენდა 436800 აშშ დოლარს. ამასთან, შპს „...“ მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ კუთვნილი უძრავი ნივთი მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა ... №22, ... ქუჩა №81ა, (ნაკვეთი/24/161) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი №024/161 – 1582.00 კვ.მ. (დაზუსტებული) და შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1, №2, №3 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...). ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ამხანაგობის თანათავმჯდომარემ – ქ. კ-მა, როგორც თავისი, ისე – ამხანაგობის თავმჯდომარის სახელით; 13.04.2011 წლის იპოთეკის ხელშეკრულება დაამონმა ასევე ნოტარიუსმა ნ. მ-მა.

სააპელაციო პალატამ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ 22.05.2012 წელს იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილებების და/ან დამატების შეტანის შესახებ ხელშეკრულებით შეტანილი იქნა ცვლილება იპოთეკის ხელშეკრულებაში, კერძოდ, ნასყიდობის ფასი – ნაცვლად 436800 აშშ დოლარისა განისაზღვრა – 516916 აშშ დოლარით. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 15 ივნისამდე. ხოლო თუ მესაკუთრე არ შეასრულებდა, ან არაჯეროვნად შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ან თუ მოვალე გააჭიანურებდა იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას იპოთეკარი უფლებამო-

სილი იყო, მოთხოვნის დაკმაყოფილება უზრუნველყო ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. 22.05.2012 წლის შეთანხმება დაამონმა ასევე ნოტარიუსმა ნ. მ-მა შპს „...“ და ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ შორის იპოთეკის ხელშეკრულება და იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილებების და/ან დამატების შეტანის შესახებ ხელშეკრულება დაიდო ისე, რომ ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ დამფუძნებელ წევრებს აღნიშნულის თაობაზე წერილობითი ფორმით თანხმობა არ გაუციათ. 2012 წლის 05 ივლისს ნოტარიუსმა ნ. მ-მა გასცა №120707494 სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვით ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ შპს „...“ სასარგებლოდ დაეკისრა 497234.70 ლარის გადახდა. ამასთან, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა ... №22, ... ქუჩა №81ა, (ნაკვეთი/24/161) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი №024/161- 1582.00 კვ.მ. (დაზუსტებული) და შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1, №2, №3 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) სარეალიზაციოდ მიქცევა. 05.07.2012 წლის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ რეალიზებულ იქნა ქ. თბილისი, ქუჩა ... №22, ... ქუჩა №81ა, (ნაკვეთი/24/161) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი №024/161-1582.00 კვ.მ. (დაზუსტებული) და შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1, №2, №3 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...), რომელიც შეიძინა ლ. ა-ემ.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ნოტარიუს ნ. მ-ის საქმეზე შექმნილმა დისციპლინურმა კომისიამ მიიჩნია (და შემდეგ, 2012 წლის 12 დეკემბრის №417 ბრძანების გამოცემისას, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომაც გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება), რომ ნოტარიუსმა 2011 წლის 13 აპრილს შპს „...“ და ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულების დამონმებისას ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დისციპლინური გადაცდომა, რაც გამოიხატა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის“ 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ პუნქტებით დადგენილი წესების დაუცველობაში, კერძოდ, ნოტარიუსი ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“-ის წევრთა 11.06.2010 წლის შეთანხმების შინაარსი და 13.04.2011 წლის იპოთეკის ხელშეკრულების დამონმე-

ბამდე, წინასწარ გამოეთხოვა ამხანაგობის ყველა წევრის წერილობითი თანხმობა მასზედ, რომ ისინი (წევრები) თანახმანი იყვნენ, მომხდარიყო ამხანაგობის ქონების იპოთეკით დატვირთვა.

სააპელაციო პალატამ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“-ის წევრებმა – თ. ც-ემ, რ. მ-მა და შ. მ-მა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს 13.04.2011 წლის იპოთეკის ხელშეკრულების, 22.05.2012 წლის შეთანხმების და 05.07.2012 წლის სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა; სარჩელში მოპასუხეებად მითითებულ იქნენ გ. ტ-ე, ქ. კ-ი, ნოტარიუსი ნ. მ-ი, ნ. დ-ა, მ. ხ-ე, შპს „...“. მოსარჩელები ზემოხსენებული აქტების ბათილობის საფუძველად იმ გარემოებას უთითებენ, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“-ის წევრთა 11.06.2010 წლის შეთანხმებიდან გამომდინარე, 13.04.2011 წლის იპოთეკის ხელშეკრულებისა და 22.05.2012 წლის შეთანხმების დადებისას აუცილებელი იყო ამხანაგობის ყველა წევრის წერილობითი თანხმობა მასზედ, რომ ისინი (წევრები) თანახმანი იყვნენ, მომხდარიყო ამხანაგობის ქონების იპოთეკით დატვირთვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 დეკემბრის №2/12439-12 გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის კანონიერ ძალაში შესული.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული ადმინისტრაციული საქმის განხილვა-გადაწყვეტა შეუძლებელია №2/12439-12 სამოქალაქო საქმის გადაწყვეტამდე იმ მოტივით, რომ მოსარჩელის – ნ. მ-ის სარჩელის გამო აღძრული ადმინისტრაციული დავის საგანია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (დისციპლინური კომისიის 2012 წლის 28 ნოემბრის სხდომის ოქმის და ამავე კომისიის 2012 წლის 28 ნოემბრის დასკვნის, ასევე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 12 დეკემბრის №417 ბრძანების) კანონთან შესაბამისობა; კერძოდ, უნდა დადგინდეს, შეესაბამება თუ არა სადავო აქტები საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.03.2010 წლის №69 ბრძანებით დამტკიცებული „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების“ მე-2 მუხლს, მე-7 მუხლის „ა“ პუნქტს, მე-11 მუხლს, მე-13 მუხლს. ასევე უნდა დადგინდეს დავასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოება მასზედ, იყო თუ არა ვალდებული ნოტარიუსი, გაეთვალისწინებია ამხანაგობა „...“-ის წევრთა 11.06.2010 წლის შეთან-

ხმების შინაარსი და 13.04.2011 წლის იპოთეკის ხელშეკრულების დამოწმებამდე, წინასწარ გამოეთხოვა ამხანაგობის ყველა წევრის ნების გამომხატველი წერილობითი თანახმობა მასზედ, რომ ისინი (წევრები) თანახმანი იყვნენ, მომხდარიყო ამხანაგობის ქონების იპოთეკით დატვირთვა. თუ დადგინდება, რომ ნოტარიუსს ნამდვილად ეკისრებოდა ეს მოვალეობა, ჩაითვლება, რომ ნოტარიუსმა დაარღვია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის“ 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ პუნქტების მოთხოვნები და ამით მან ჩაიდინა „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების“ მე-7 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებით მძიმე გადაცდომა.

რაც შეეხება №2/12439-12 სამოქალაქო საქმეს, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემული დავის ფარგლებში უნდა შემოწმდეს ხელშეკრულებების – 13.04.2011 წლის იპოთეკის ხელშეკრულების და 22.05.2012 წლის შეთანხმების, მათგან გამომდინარე, ასევე – 05.07.2012 წლის სააღსრულებო ფურცლის კანონთან შესაბამისობის საკითხი; თუ დადგინდება, რომ 13.04.2011 წლის იპოთეკის ხელშეკრულება არღვევს ამხანაგობა „...“-ის 30.11.2007 წლის სადამფუძნებლო ხელშეკრულებითა (6.5. პუნქტით) და იმავე ამხანაგობის 11.06.2010 წლის შეთანხმებით დადგენილ სამართლებრივ წესრიგს, ანუ თუ დადგინდება, რომ ხელშეკრულების დასადებად საჭირო იყო ამხანაგობის ყველა წევრის ნების გამომხატველი წინასწარი წერილობითი თანახმობა მასზედ, რომ ისინი (წევრები) თანახმანი იყვნენ, მომხდარიყო ამხანაგობის ქონების იპოთეკით დატვირთვა, ჩაითვლება, რომ 13.04.2011 წლის იპოთეკის ხელშეკრულება და 22.05.2012 წლის შეთანხმება, თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 59-ე მუხლებისა, ბათილი ხელშეკრულებებია.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელე ნ. მ-ის სარჩელისა გამო აღძრული ადმინისტრაციული დავა ემსახურება ნოტარიუსის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ ადმინისტრაციული აქტის კანონიერების დადგენის (საჯარო ინტერესი), ხოლო №2/12439-12 სამოქალაქო საქმე – 13.04.2011 წლის იპოთეკის ხელშეკრულების და 22.05.2012 წლის შეთანხმების, მათგან გამომდინარე, ასევე – 05.07.2012 წლის სააღსრულებო ფურცლის კანონიერების დადგენის (კერძო ინტერესი) მიზანს; ამასთან, თუმცა მიზნები და

ინტერესები განსხვავებულია, ორივე სასამართლომ, ასევე განსხვავებული სამართალწარმოების წესებით, მაგრამ მაინც უნდა გაიროს ერთი და იგივე ფაქტობრივ-სამართლებრივი გზა ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეებიდან გამომდინარე მიზნების მისაღწევად, კერძოდ, ორივე საქმის ფარგლებში უნდა დადგინდეს ხელშეკრულების დასადებად საჭირო იყო თუ არა ამხანაგობის ყველა წევრის ნების გამომხატველი წინასწარი წერილობითი თანხმობა მასზედ, რომ ისინი (წევრები) თანახმანი იყვნენ, მომხდარიყო ამხანაგობის ქონების იპოთეკით დატვირთვა, რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც საჯარო, ისე – კერძო ინტერესებიდან გამომდინარე ერთგვაროვნად უნდა განიმარტოს ამხანაგობა „...“-ის 30.11.2007 წლის სადამფუძვებლო ხელშეკრულების 6.5. პუნქტის (11.06.2010 წლის შეთანხმების საფუძველზე შეცვლილი რედაქციის) შინაარსი;

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 12 დეკემბრის №417 ბრძანების თანახმად, ნოტარიუს ნ. მ-ს იმიტომ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, რომ მან ამხანაგობის წევრთა ნების გაუთვალისწინებლად, მათი თანხმობების გარეშე დაამოწმა რა იპოთეკის ხელშეკრულება, ამით მან დაამოწმა ბათილი, უკანონო გარიგება; პირველი ინსტანციის სასამართლომ (სამოქალაქო სასამართლომ) დავის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ 13.04.2011 წლის იპოთეკის ხელშეკრულება არ წარმოადგენდა ბათილ, უკანონო გარიგებას, რადგან ხელშეკრულების დასადებად (ხელშეკრულების ნამდვილობისთვის) არ იყო საჭირო ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობა. პალატა მიიჩნევს, რომ ერთი და იგივე საკითხთან მიმართებაში პოზიციების ამგვარი დაპირისპირება, ერთი და იგივე საკითხის განსხვავებულად შეფასება პირდაპირ მიუთითებს მოცემული საქმის წარმოების შეჩერების აუცილებლობაზე.

სააპელაციო პალატამ, ასევე, აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქცია“, მათ შორის – ინსტრუქციის 45-ე მუხლი არსებობს იმისთვის, რომ ყველა იმ გარიგების ფარგლებში, რომლებთანაც კი ნოტარიუსებს გააჩნიათ პროფესიული, საჯარო-სამართლებრივი კავშირები, ნოტარიუსების მხრიდან დაცულ იქნეს ხელშეკრულებების (გარიგებების) მხარეთათვის და ამ ხელშეკრულებებთან კანონიერი ინტერესებით დაკავშირებულ სხვა, მესამე პირთათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დეკლარირებული, გარანტირებული კერძო-სამართლებრი-

ვი უფლებები, კერძო ინტერესები. შესაბამისად, ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტული დასკვნის თანახმად, ნოტარიუს ნ. მ-ის მიმართ საჯარო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენების/არგამოყენების საფუძვლები აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს გარეგნის ბათილობის/ნამდვილობის საფუძვლებს.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, საქმის შეჩერების საფუძველს წარმოადგენს ამ საქმეზე სამართალწარმოების გაგრძელების შეუძლებლობა, რომელიც თავის მხრივ, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, უკავშირდება სრულიად სხვა საქმეზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან, შეუძლებლობასთან დაკავშირებით სასამართლო ვალდებული იყო დაესაბუთებინა იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა მომავალში სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენა გავლენას მოახდენდა და შესაბამისად, შესაძლებელს გახდიდა შეჩერებულ საქმეზე სამართალწარმოების სრულფასოვან განხორციელებას, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ არ განხორციელდა.

საქმის წარმოების შეჩერების მიზეზად მითითებულია სამოქალაქო საქმე, რომლის დავის საგანი იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობა, მაშინ როცა წინამდებარე საქმის წარმოების დავის საგანს წარმოადგენს ნოტარიუსის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის თაობაზე მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება. სამოქალაქო სამართალწარმოება შეეხება იპოთეკის ხელშეკრულებას, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლო სამოქალაქო საქმეში არსად არ მსჯელობს ნოტარიუსის მიერ სანოტარო საქმიანობიდან გამომდინარე დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხზე, ვინაიდან, აღნიშნული არ არის სამოქალაქო სამართალწარმოების დავის საგანი.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ განჩინებაში გატარებული ლოგიკის შესაბამისად, გამოვა, რომ ყოველთვის, როცა აღიძვრება დისციპლინური საქმის წარმოება ნოტარიუსის წინააღმდეგ, ან უფრო მეტიც, აღნიშნული წარმოების შედეგად მიღებული გადაწ-

ყვეტილების ძალაში არსებობა დამოკიდებული იქნება ცალკე, თავად სამართალურთიერთობის მატერიალურ-სამართლებრივი ფორმით გასაჩივრების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებაზე და დისციპლინური წარმოების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას ყოველთვის დაემუქრება საფრთხე ეს უკანასკნელი შეიცვალოს ან გაუქმდეს სხვა საქმის შედეგების შესაბამისად. მაშინ, როცა „ნოტარიუსის შესახებ“ კანონში კანონმდებელი არსად არ უთითებს დისციპლინური საქმის წარმოების დაწყების, გაგრძელებისა ან დასრულების რაიმე სახით ცალკე სამართალურთიერთობებზე მიღებულ სხვა გადაწყვეტილებასთან რაიმე სახის ბმასა და დამოკიდებულებაზე.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, ნოტარიუსის პასუხისმგებლობის საფუძველი არ შეიძლება იყოს მხოლოდ იმ გარემოების დადგენა, რომ მან სამოქალაქო სასამართლოსაგან განსხვავებულად განმარტა ხელშეკრულების ესა თუ ის ნორმა, რომელმაც მომავალში გამოიწვია ხელშეკრულების ბათილობა, არამედ მისი პასუხისმგებლობის საფუძველია ამ პროცესში განხორციელებული მოქმედებანი და საკითხის შეფასებისას გამოჩენილი ყურადღება. ამდენად, სამოქალაქო სასამართლოს მიერ იმის დადგენა, იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს იყო თუ არა აუცილებელი ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობა, ავტომატურად არ გამოიწვევს ნოტარიუსის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სასამართლომ არასწორად დაუკავშირა ნოტარიუსის პასუხისმგებლობის საკითხი მის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების ბათილობა/ნამდვილობის საკითხს და საერთოდ არ განიხილა ამ პროცესში ნოტარიუსის მიერ განხორციელებული ქმედებების კანონიერება/უკანონობა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის“ 45-ე მუხლის თანახმად, ნოტარიუსის ვალდებულებას წარმოადგენს გარიგების მხარეთა კერძო ინტერესების დაცვა და არა ერთი მხარის ინტერესების დაცვა მეორე მხარის ინტერესების უგულვებელყოფის ხარჯზე. ამასთან, ამავე ბრძანების მე-3 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას უწევს პირებს.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ნოტარიუსს იმიტომ დაეკისრა პასუხისმგებლობა, რომ მან ამხანაგობის ნების გა-

უთვალისწინებლად მათი თანხმობის გარეშე დაამოწმა იპოთეკის ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ მან დაამოწმა ბათილი უკანონო გარიგება. მაშინ, როცა სამოქალაქო საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო საჭირო ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობა. გასაჩივრებული განჩინების ამ მსჯელობასთან დაკავშირებით, კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს ექსპლიციტურად არ დაუდგენია იპოთეკის ხელშეკრულების კანონიერების საკითხი, მან ხელშეკრულების „ბუნდოვანი ჩანაწერი“ ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ განმარტა და მხოლოდ ამ გზით მივიდა შესაბამის დასკვნამდე. რაც შეეხება ადმინისტრაციული აქტით დაკისრებულ ნოტარიუსის პასუხისმგებლობის საფუძველს, კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მსჯელობის და შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველი გახდა არა ბათილი გარიგების დამოწმების დადგენა, არამედ ნოტარიუსის მიერ ხელშეკრულების კონკრეტული ნორმის არასწორი ინტერპრეტაცია და შესაბამისად, იმ საჯარო ინტერესის უგულებელყოფა, რომელიც მას კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ჭრილში გააჩნდა. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ადმინისტრაციულ წარმოებაში, ისევე როგორც ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში შეფასების საგანია ნოტარიუსის სტატუსიდან გამომდინარე მისი მოქმედების კანონიერება-უკანონობის საკითხი, რომელიც გარიგების ბათილობა-კანონიერების საკითხისაგან სრულიად განსხვავებულია, იმ შემთხვევაშიც თუ კი ეს მოქმედება მიემართება გარიგებას. სამოქალაქო დავის ფარგლებში იპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილობა არ ნიშნავს ცალსახად იმას, რომ ნოტარიუსმა სადავო ხელშეკრულების მიმართ თავისი მოვალეობები კანონის სრული დაცვით შეასრულა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2013 წლის 11 ივლისის განჩინება და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, კერძო საჩივარი შეიცავს სამართლებრივ დასაბუთებას სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, რის გამოც არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე „ე“ მუხლის მოთხოვნები, სასამართლოს განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებისას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, ისეთ მნიშვნელოვან საპროცესო-სამართლებრივ ინსტიტუტთან დაკავშირებით, როგორიცაა საქმის წარმოების შეჩერება, კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელა ცალმხრივად, ამ ინსტიტუტის არსის გააზრების გარეშე, რამდენადაც სრულფასოვანი მსჯელობა განჩინებაში გადმოცემული არ არის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე გარემოებათა გამო, შესაძლებელია შეიქმნას იმგვარი ფაქტობრივი ვითარება, რომელთა არსებობის პირობებში შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი მოცემული სამართლის დავის განხილვა და გადაწყვეტა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დიფერენცირებას ახდენს შემთხვევებისა, როცა სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, საპროცესო კოდექსით პირდაპირ განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას, და, როცა სასამართლო არ არის ვალდებული, მაგრამ უფლებამოსილია შეაჩეროს საქმის წარმოება. საქმის წარმოების შეჩერების ფაქულტატური შემთხვევებისას, სასამართლოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, რა დროსაც ობიექტური შეფასების საფუძველზე მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლია კანონით გათვალისწინებული საპროცესო ინსტიტუტის გამოყენება.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 279-ე მუხლით დადგენილი საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების საფუძვლების განალიზების შედეგად განმარტავს, რომ ჩამოთვლილი, მაგ: ა), ბ) და გ) პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას საქმის წარმოების შეჩერება ემსახურება პროცესუა-

ლური მონაწილის უფლების – სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველყოფას, რათა მან სრულფასოვნად მოახდინოს თავისი პროცესუალური უფლებების რეალიზება და მისი მეშვეობის შედეგად სადავო მატერიალურ-სამართლებრივი უფლების დაცვა.

ე) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი – სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის უფლების რეალიზება გამოორიცხავს საქმის განხილვის შესაძლებლობას, რამდენადაც სასამართლო ამ უფლებამოსილებას იყენებს მართლმსაჯულების მიზნიდან გამომდინარე, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტუროს ან უარყოს მოსამართლის ვარაუდი, დავის გადაწყვეტისათვის საჭირო სამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე.

განსახილველ საქმეში საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების ინსტიტუტი გამოყენებულია დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით: „თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.“

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული საფუძველით საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო ხასიათი მდგომარეობს შემდეგში:

სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე შესაძლებელია პარალელურად მიმდინარეობდეს სხვა საქმის განხილვა, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წესით, რომლის გადაწყვეტამდე, შეუძლებელია მოცემული საქმის განხილვა.

ნორმატიული დათქმა – საქმის განხილვის შეუძლებლობა სხვა საქმის გადაწყვეტამდე, გამომდინარეობს სასამართლო დავის განხილვის სამართლებრივი ბუნების ლოგიკიდან, კერძოდ, ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

მითითებული საფუძველით საქმის წარმოების შეჩერების ვალდებულება პირდაპირ კავშირშია ისეთ საპროცესო ინსტიტუტთან, როგორცაა მტკიცების ტვირთი და ემსახურება ფაქტე-

ბის დამტკიცების ვალდებულებისაგან მხარეთა გათავისუფლების მიზანს. სამართალწარმოების ერთ-ერთი პრინციპის – პროცესის ეკონომიის პრინციპის რეალიზაციის უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობაა.

სხვა სამართალწარმოებით საქმის განხილვისას სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა რიგ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის კონკრეტული საქმის განხილვას, რამდენადაც ფაქტები, რომლებიც უნდა დადგინდეს სამოქალაქო, სისხლის ან სხვა ადმინისტრაციული წესით განხილვისას, ვერ იქნება გამორკვეული, შეფასებული და დადგენილი კონკრეტული საქმის წარმოებისას, ამავდროულად, ამ ფაქტების დადგენამდე შეუძლებელი უნდა იყოს მოცემული საქმის განხილვა.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების წინაპირობად მიჩნეულ იქნა სხვა სამოქალაქო საქმის განხილვა, იმ მოტივით, რომ სამოქალაქო წესით იხილება სამოქალაქო ხელშეკრულების (ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა) კანონიერების საკითხი, ხოლო წინამდებარე საქმეში ნ. მ-ის სარჩელის საგანს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 12 დეკემბრის №417 ბრძანების კანონიერება, რომლის მიხედვით ნოტარიუსს იმიტომ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, რომ მან, ამხანაგობის წევრთა ნების გაუთვალისწინებლად, მათი თანხმობის გარეშე დაამონმა რა იპოთეკის ხელშეკრულება, ამით მან დაამონმა ბათილი, უკანონო გარიგება. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებულ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 45-ე მუხლის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნოტარიუს ნ. მ-ის მიმართ საჯარო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენების/არგამოყენების საფუძვლები აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს გარიგების ბათილობის/ნამდვილობის საფუძვლებს.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე გამოარკვია:

წინამდებარე სარჩელის საგანს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 12 დეკემბრის №417 ბრძანება, რომლის მიხედვით ნოტარიუსი ნ. მ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, შეუწყდა ნოტარიუსის უფლებამოსილება;

სადავო ბრძანების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხ-

ლის პირველი პუნქტი, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, მე-3 პუნქტისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის №541 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, ხოლო ფაქტობრივ საფუძველს დისციპლინური კომისიის სხდომის ოქმი და დასკვნა. დისციპლინური კომისიის დასკვნის მიხედვით დადასტურებულად იქნა მიჩნეული ნოტარიუსის მიერ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) და გ) ქვეპუნქტების დარღვევა, ნოტარიუსის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის ხარისხი განისაზღვრა როგორც განსაკუთრებით მძიმე.

სამოქალაქო წესით გასაჩივრებულია ის ხელშეკრულებები, რომელთა სანოტარო წესით გაფორმებისას, სამინისტროს შეფასებით, ნოტარიუსის მიერ ჩადენილ იქნა განსაკუთრებით მძიმე დისციპლინური გადაცდომა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის მოტივაციას იმ ნაწილში, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ არის შეუძლებელი მოცემული საქმის განხილვა სამოქალაქო საქმის განხილვამდე, ხოლო გადმოცემული დასაბუთება არამართებულია, შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ნოტარიუსისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების კანონიერების გარკვევა დამოკიდებულია ნოტარიუსის მიერ სანოტარო წესით დადებული ხელშეკრულების გაფორმებისას, მისი მოვალეობის, კერძოდ: „იყო თუ არა ვალდებული ნოტარიუსი, იპოთეკის ხელშეკრულების დამონმებად, წინასწარ გამოეთხოვა ამხანაგობის ყველა წევრის ნების გამომხატველი წერილობითი თანხმობა მასზე, რომ ისინი თანახმა იყვნენ, მომხდარიყო ამხანაგობის ქონების იპოთეკით დატვირთვა, და რომ ნოტარიუსის მიმართ საჯარო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენების/არგამოყენების საფუძვლები აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს გარიგების ბათილობის/ნამდვილობის საფუძვლებს, არ შეიძლება სავალდებულო საფუძვლად დაედოს წინამდებარე საქმის წარმოების შეჩერებას, მისი ფაქტობრივი და იურიდიული შეუსაბამობისა და დაუსაბუთებულობის გამო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ნოტარიუსის, როგორც საჯარო ნდობის პროფესიის ინსტიტუტს, ასევე მისი პროფესიული მოვალეობის სამართლებრივ ბუნებას, შესაბამისად, არასწორად დაუკავშირა ნოტარიუსის მოვალეობის შესრულების კანონშესაბამისობის შე-

ფასების საკითხი მის მიერვე სანოტარო წესით დამონმბულ გარეგებათა კანონიერების შეფასების თემას, რამაც საბოლოო ჯამში, განაპირობა საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების ინსტიტუტის იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელი გამოყენება, კერძოდ, სასამართლომ საქმის წარმოების შეჩერების აუცილებლობა დაასაბუთა პროცესუალურ-სამართლებრივ კონტექსტში და სრულებით არ უმსჯელია ამ საპროცესო ინსტიტუტის მატერიალურ-სამართლებრივ კონტექსტზე, მაშინ, როცა სამართალწარმოებაში მისი გამოყენება სწორედ მატერიალურ-სამართლებრივი საჭიროებიდან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების საფუძვლის მისადაგების კანონიერება განხილულ უნდა იქნეს უშუალოდ ნოტარიუსის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის იურიდიული ბუნების და ამავდროულად, ნოტარიუსის კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობის სახეების და ბუნების ადეკვატური გაგების კონტექსტში.

საკასაციო სასამართლომ 2008 წლის 17 ივნისის განჩინებაში საქმეზე №ბს-588-564(გ-08) ლ. ს-ძის სარჩელისა გამო მოპასუხის ნოტარიუს ნ. ხ-ის მიმართ, ნოტარიუსის დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე, სასამართლოთა შორის საქმის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისას განმარტა, რომ „ნოტარიუსი წარმოადგენს საჯარო ნდობის პროფესიას; „ნოტარიუსის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მიხედვით ნოტარიუსი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს მიერ ნოტარიუსისათვის საჯარო უფლებამოსილების დელეგირების თანმდევ თვისებას წარმოადგენს სახელმწიფოს ზედამხედველობითი როლის შენარჩუნება მისი საქმიანობის კანონიერებაზე, ასევე, ნოტარიუსის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფლება და დამოუკიდებლობა განაპირობებს მის პირად პასუხისმგებლობას თავისი სამსახურებრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის. ამით ნოტარიუსი განსხვავდება იმ პირებისაგან, რომელთაც დაეკისრათ კლასიკური მმართველობითი ფუნქციის განხორციელება.

სახელმწიფოს ზედამხედველობა ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობაზე იუსტიციის სამინისტროს სახით, განეკუთვნება შეზღუდული სამართლებრივი ზედამხედველობის კატე-

გორიას, რომელიც მინიჭებული აქვს „ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლით და ამავე კანონის საფუძველზე დეტალურად განერილია იუსტიციის მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ /საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №69 ბრძანება/.

მითითებული ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი იმპერატიულად ადგენს ნოტარიუსისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების გამომრიცხავ გარემოებებს, კერძოდ, ისეთი ქმედება, რომელიც კანონმდებლობასთან წინააღმდეგობას არ შეიცავს არ მიიჩნევა გადაცდომად ამ დებულების შესაბამისად;

თუ გადაცდომის ფაქტი არ არის დადასტურებული ამ დებულებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნული კანონისმიერი დათქმა ბოჭავს დისციპლინური სახდელის გამოყენების უფლებამოსილებით აღჭურვილ სახელმწიფო თანამდებობის პირს კონკრეტული ნოტარიუსის დისციპლინური გადაცდომის გამოკვლევის, შეფასებისა და დადგენის სტადიაზე.

ამავე ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ნოტარიუსის დისციპლინური გადაცდომის 14 სახეა დადგენილი, და ყველა მათგანის შეფარდების საფუძველები ცალსახად არის განერილი.

განსახილველ შემთხვევაში, ნოტარიუს ნ. მ-ის ქმედება იუსტიციის მინისტრის სადავო გადანყვეტილებით დაკვალიფიცირებულ იქნა, როგორც განსაკუთრებით მძიმე დისციპლინური გადაცდომა /მუხლი 7/.

დისციპლინური გადაცდომის ამ სახის გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ 14 საფუძველიდან გამოვლინდა და დადასტურდა ერთ-ერთი მათგანი მაინც.

საკასაციო სასამართლო მითითებული საფუძველების გაანალიზებისას ცალსახად მიიჩნევს, რომ არცერთი მათგანი არ გულისხმობს იუსტიციის მინისტრის, როგორც ზედამხედველი პირის, კომპეტენციას – შეაფასოს ნოტარიუსის მიერ განხორციელებული სანოტარო საქმიანობის მატერიალურ-სამართლებრივი კანონიერება. (ასე, მაგ, მის მიერ დადასტურებული იურიდიული ფაქტების სამოქალაქო კოდექსთან შესაბამისობა), პირიქით, დისციპლინური გადაცდომის ამ სახის შეფარდება უშუალოდ არის დამოკიდებული ნოტარიუსის საქმიანობაში იმგვარი ქმედების გამოვლენასთან, რომელიც ან საპროცესო-სამართლებრივ, ან ნოტარიუსის ეთიკის სტანდარტებს ან ამ საჯაროსამართლებრივი ფუნქციის შესრულების ორგანიზების წე-

სებს არ შეესაბამება. დისციპლინური გადაცდომის საფუძველზე შინაარსი სწორედ ზემოთმიითებული ნორმატიული სტანდარტებიდან გამომდინარეობს. სხვაგვარი შეფასებისა და დასკვნის შემთხვევაში ნოტარიუსი იქნება არა დამოუკიდებელი და თავისუფალი პროფესიის სუბიექტი, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს იერარქიაში მყოფი სტრუქტურული ერთეული, რაც სრულ წინააღმდეგობაში მოდის ნოტარიატის სისტემასა და ნოტარიუსის, როგორც სამართლებრივი ფიგურის როლისა და დანიშნულების ნამდვილი არსის გაგებასთან, რამდენადაც ნოტარიუსისთვის კანონით მინიჭებული სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება არ განეკუთვნება მმართველობით სფეროში განხორციელებულ ღონისძიებას, არ გააჩნია ადმინისტრაციული ორგანოსათვის დამახასიათებელი ელემენტები, რაც მას, როგორც ინსტიტუტს, მოაქცევდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დეფინიციაში.

ამასთან, პრინციპულია ის საკითხი, რომ იუსტიციის მინისტრის ზედამხედველობის ფუნქციის მეშვეობით სამართლებრივი ზემოქმედება ხორციელდება არა ნოტარიუსის საქმიანობის შედეგზე (სანოტარო აქტის გაუქმება, შეცვლა, შეჩერება), არამედ თავად ნოტარიუსზე, მონაშენდება მისი მოქმედებების შესაბამისობა ნორმატიულ სტანდარტებთან, ფასდება მისი თანამდებობასთან შესაბამისობა, ხოლო, დამდგარი იურიდიული შედეგის (სანოტარო აქტის) კანონიერების შეფასება, შესაბამისად ამ შედეგის სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრა მხოლოდ დაინტერესებული პირის დარღვეული უფლების შესახებ სარჩელის აღძვრის საფუძველზე სასამართლოს მეშვეობით არის შესაძლებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ფუნქცია – განახორციელოს ზედამხედველობა ნოტარიუსის საქმიანობაზე გაიგივებული ვერ იქნება ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის სამართლებრივი კონტროლის მექანიზმთან ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებებსა თუ მოქმედებებზე. ნოტარიუსის საქმიანობის სპეციფიკა გამორიცხავს ამგვარი ტოტალური სამართლებრივი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზე არ არის საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების ინსტიტუტის გამოყენების წინაპირობა, ვინაიდან: სამოქალაქო საქმეზე, რომლის დავის საგანს წარმოადგენს სამოქალაქო ხელშეკრულებათა კანონიერება, დასადგენი ფაქტები ვერ შეიძენენ პრეიუდიციული ძალის ხასიათს განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეში,

რამდენადაც წინამდებარე სარჩელის საგნის – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასება საჭიროებს არა სამოქალაქო ხელშეკრულებათა კანონიერების/უკანონობის ირგვლივ ფაქტების გამოკვლევას, არამედ, გასაჩივრებული აქტის მატერიალური და პროცესუალურ-სამართლებრივი შესაბამისობის დადგენას მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის ნორმებთან, VI თავის ნორმებთან, „ნოტარიუსის შესახებ“ კანონისა და „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №69 ბრძანების ნორმებთან შესაბამისობას, რამდენად არის მიღებული გადაწყვეტილება საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე, გასაჩივრებული აქტით დადგენილი მოწესრიგების დასაბუთებულობის შეფასებას.

ამდენად, მოცემულ საქმეზე მხარეებს არ აკისრიათ მტკიცების ტვირთი ისეთი ფაქტებისა, რომლებიც სხვა სამოქალაქო საქმეზე დადგინდება და წინამდებარე საქმეში მათი მტკიცების საჭიროება აღარ იქნება. სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების ამ საფუძვლის გამოყენება პირდაპირ გამომდინარეობს საქმეზე დასადგენი მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტების წრის განსაზღვრის სიზუსტიდან.

სამართალწარმოების პროცესში სასამართლოთა საპროცესო მოვალეობას წარმოადგენს განსაზღვრონ საქმეზე დასადგენი ფაქტების წრე, გამოავლინონ უდავო და სადავო ფაქტები (სსსკ-ის 244-ე მუხლი), სწორედ ეს საკითხები უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, რომლის კვალიფიციურმა შესრულებამ უნდა განაპირობოს დავის გადაწყვეტის სამართლებრივი შედეგი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადად, დისციპლინური საქმისწარმოების ფუნქცია არ მდგომარეობს დისციპლინური წარმოების სუბიექტის (იმისდა მიუხედავად, ნოტარიუსი, მოსამართლე, პროკურორი თუ საჯარო მოხელეა იგი) მიერ მიღებული გადაწყვეტილების თუ ქმედების/უმოქმედობის სამართლებრივ შედეგზე ზემოქმედების მიზანში. დისციპლინური წარმოების მიზანს სუბიექტის ქმედების შეფასება და ადეკვატური რეაგირება წარმოადგენს, სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების მიზნიდან გამომდინარე. საწინააღმდეგო დასკვნის პირობებში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ამ თანამდებობის პირების მიერ მი-

ღებულ გადაწყვეტილებათა, მოქმედებათა უკანონოდ მიჩნევის თაობაზე, უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის საფუძველი. ამგვარ მიდგომას არ ვხვდებით არცერთ დისციპლინური წარმოების დამდგენ ნორმატიულ აქტში და სავსებით ლოგიკურად, რამდენადაც, დისციპლინური წარმოების საფუძვლად შეუძლებელია დადგინდეს სამართლის ნორმის განსხვავებული ინტერპრეტაცია ან ფაქტობრივი გარემოებების განსხვავებული სამართლებრივი კვალიფიკაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისციპლინური პროცედურის მიზანი და ფუნქცია მდგომარეობს კონკრეტული ინსტიტუტის ავტორიტეტის, კონკრეტული სუბიექტის სანდოობის, ეთიკის სტანდარტების მიღწევასა და განმტკიცებაში და არა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ან მოქმედებათა სამართლებრივი კვალიფიკაციის მოხდენაში, იურიდიული შედეგის შეცვლაში. დისციპლინური წარმოების პროცედურის საფუძველზე მოწმდება პირის პასუხისმგებლობის ხარისხი დაკისრებული მოვალეობებისადმი.

საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს, შესაბამისად იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში გატარებული ლოგიკის შესაბამისად, დისციპლინური საქმისწარმოების შედეგის არსებობა დამოკიდებული იქნება თავად სამართალურთიერთობის მატერიალურ-სამართლებრივი ფორმით გასაჩივრების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებაზე, და დასძენს, რომ ანალოგიური მიდგომა ეწინააღმდეგება დისციპლინური საქმისწარმოების მიზანს.

აღნიშნული მიზანი ნორმატიული თვალსაზრისით გაცხადებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №69 ბრძანებით დამტკიცებული „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის I ნაწილში. დისციპლინური სახდელი შეეფარდება ნოტარიუსს, თუ იგი სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებისას არღვევს საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე, საქართველოს ნოტარიატის აქტებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ლახავს ნოტარიუსის პროფესიის პატივსა და ღირსებას, არღვევს ნოტარიატისადმი ნდობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისციპლინური წარმოების ამოცანა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ სახელმწიფოს ზედამხედველობის ეგიდით სამართლებრივი შეფასების მიღმა არ დარჩეს საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტის ავტორიტეტისთვის საზიანო ქმედება.

გასაჩივრებულ განჩინებაში ჩამოყალიბებულ მსჯელობათა ლოგიკა ცვლის განსახილველ საქმეზე დასადგენ ფაქტობრივ გარემოებათა ობიექტურ ლოგიკას და ვექტორი, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებისთვის საჭირო ფაქტების გამოკვლევა-დადგენის ნაცვლად გადატანილია სამოქალაქო საქმის საგნის – სამოქალაქო ხელშეკრულებათა კანონიერების შემოწმებისთვის საჭირო ფაქტების დადგენისაკენ, რაც არ შეესაბამება ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მიზანსა და ამოცანას.

საკასაციო სასამართლო სრულიად დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საქმის წარმოების შეჩერების აუცილებლობის თაობაზე და განმარტავს: სსსკ-ის 279-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის გამოყენება დამოკიდებულია ამ საქმის განხილვის შეუძლებლობაზე სხვა საქმის გადანყვეტამდე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იდენტურ სამართლებრივ მსჯელობებსა და სასამართლო დასკვნებს აყალიბებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა თავის განჩინებებში სსსკ-ის 279-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით, ასე, მაგალითად:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის განჩინება, №ას-808-1172-06 საქმეზე – ა. ტ-ის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 6 ოქტომბრის განჩინებაზე, საქმის წარმოების შეჩერების კანონიერებასთან დაკავშირებით; აგრეთვე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-415-731-09 მ. ჩ-იანის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განჩინებაზე, საქმის წარმოების შეჩერების კანონიერებასთან დაკავშირებით, სამოქალაქო სასამართლომ განმარტა: „კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს „შეუძლებლობის“ ცნებას ანუ რა შემთხვევა შეიძლება ქმნიდეს ისეთ ობიექტურ სირთულეს, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ საქმის გამოკვლევას. „შეუძლებლობა“ წარმოადგენს ისეთ ობიექტურ სირთულეს ან დაბრკოლებას, რომელიც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ისეთი გარემოებებს, რომლის დადგომა არის განპირობებული მართლმსაჯულების განხორციელების დამატარებელი ფაქტორებით. კონკრეტულ შემთხვევაში, ასეთ ობიექ-

ტურ სირთულედ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულია სისხლის სამართლის საქმის განხილვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განჩინებაში მოყვანილი გარემოება არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევას, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნეს მოცემული საქმის გამოკვლევის შეუძლებლობის განმაპირობებელ ობიექტურ სირთულედ ან დაბრკოლებად, რამდენადაც მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, კანონმდებელი ასეთ სირთულედ მოიაზრებს მოცემული საქმის განხილვისათვის აუცილებელ ისეთ არსებით ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც წარმოადგენს სხვა სასამართლოს განხილვის საგანს და, ამდენად, პროცესუალურად შეუძლებელს ხდის კონკრეტული საქმის განხილვას. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ობიექტური გარემოებების საფუძველზე სხვა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით მას შემდეგში შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისას.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. ამ შემთხვევაში არ არსებობს განსახილველი ნორმით გათვალისწინებული საქმის განხილვის შეუძლებლობის მიზეზები“.

ამდენად, სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების წინაპირობების განმარტებისას იდენტიურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების სამართლებრივი შეხედულებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური საფუძვლები, შესაბამისად, საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 419-420-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო საჩივარი

დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ივლისის განჩინება;

3. საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო შემთხვევაში

განჩინება

№ბს-799-785(3კს-14)

12 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: საქმის წარმოების შეჩერების კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 6 სექტემბერს ვ. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 4 ივნისის №001656 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 13 აგვისტოს №2321 განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება ზ. კ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბი-

ლისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 4 ივნისის №001656 დადგენილება და ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 13 აგვისტოს №2321 განკარგულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თებერვლის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა: უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 თებერვლის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეზე შეჩერდა საქმის წარმოება, ადმინისტრაციული საქმის (ზ. კ-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების: ქ. თბილისის მერიისა და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიმართ, მესამე პირები: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“, დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა) განხილვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შეს-

ვლამდე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება შეჩერდება 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეზე გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 4 ივნისის №001656 დადგენილება, რომლითაც ვ. კ-ე ქ. თბილისში, ... ქ. №29-ში უნებართვოდ განხორციელებული დაშენებისთვის დაჯარიმდა 8000 ლარით. საქმის მასალების მიხედვით სააპელაციო სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ზ. კ-ის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა ადმინისტრაციული საქმე ზ. კ-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების: ქ. თბილისის მერიისა და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიმართ, მესამე პირები: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“, დავის საგანი: ქ. თბილისში, ... ქ. №29-ში მდებარე უკანონო დაშენების ლეგალიზაცია. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ზ. კ-ის საჩივარი, ქ. თბილისში, ... ქ. №29-ში მდებარე უძრავი ქონების უნებართვოდ აშენებული ფართის ლეგალიზების თაობაზე, არ არის შესული კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლზე, რომლის მე-8 პუნქტის თანახმად, მითითებით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება უნებართვოდ ან/და პროექ-

ტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ წარმოების დაწყებიდან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო ამავე მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ პროექტის შემთანხმებელმა და მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო დაშენების ლეგალიზების საკითხის გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია უნებართვო მშენებლობისთვის პირის დაჯარიმების საკითხის გადაწყვეტისას. ე.ი. ვ. კ-ის დაჯარიმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შეფასება დამოკიდებულია უნებართვო დაშენების ლეგალიზებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების კანონიერების დადასტურებაზე ან მის უარყოფაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ ადმინისტრაციულ დავაზე (მოსარჩელე – ვ. კ-ე) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივრებზე უნდა შეჩერდეს საქმის წარმოება, ვინაიდან, ზ. კ-ის (სადავო ფართის ამჟამინდელი მესაკუთრე) მიერ აღძრულ სარჩელზე დავის საბოლოო გადაწყვეტამდე შეუძლებელია მოცემული საქმის განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ვ. კ-ემ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვეს.

კერძო საჩივრის ავტორის – ვ. კ-ის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის წარმოება უსაფუძვლოდ შეაჩერა დაშენების ლეგალიზებაზე გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით დაშენების მესაკუთრის – ზ. კ-ის ადმინისტრაციული საქმის არსებობის გამო, მაშინ, როდესაც ზედამხედველობის სამსახურის აქტის შესაფასებლად მნიშვნელოვანია არა აღნიშნული ფაქტი, არამედ ის გარემოება, რომ ზედამხედველობის სამსახურმა ვ. კ-ის დაჯარიმების შესახებ აქტი გამოსცა წინსწრებით, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება დაშენების ლეგალიზების თაობაზე.

კერძო საჩივრის ავტორის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაჩერა საქმის წარმოება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს სამშენებლო სამართალდარღვევებზე საქმის წარმოების შეჩერების წესს. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 25.8 მუხლი განსაზღვრავს სამშენებლო სამართალდარღვევაზე გაცემული მითითების ვადის შეჩერებას და არა სასამართლოში საქმის წარმოების შეჩერებას. სასამართლო აღნიშნულით ამკვიდრებს სამშენებლო სამართალდარღვევის უსასრულოდ გაჭიანურების პრაქტიკას.

კერძო საჩივრის ავტორის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს სრული შესაძლებლობა ჰქონდა განეხილა მოცემული საქმე. ერთადერთი გარემოება, როდესაც ლეგალიზების შესახებ განცხადების წარდგენამ შესაძლებელია იმოქმედოს დაჯარიმების შესახებ საქმის წარმოებასა და შედეგზე, არის შემთხვევა, როცა სამართალდამრღვევი მითითების მოქმედების ვადაში მიმართავს არქიტექტურის სამსახურს ლეგალიზების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაშიც კი ზედამხედველობის სამსახურს გააჩნია კანონისმიერი ვალდებულება საქმის წარმოება შეაჩეროს მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე. ზ. კ-ეს ლეგალიზების შესახებ განცხადებით არქიტექტურის სამსახურისთვის მიმართული აქვს არა მითითების მოქმედების ვადაში, არამედ, მითითების გაცემამდე, რაზეც არქიტექტურის სამსახურმა უარი უთხრა 2012 წლის 15 თებერვლის ადმინისტრაციული აქტით. შესაბამისად, ზედამხედველობის სამსახური არ იყო ვალდებული შეეჩერებინა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება ზ. კ-ის განცხადების გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით კი არ არსებობს არც სასამართლოს მხრიდან საქმის განხილვის შეჩერების სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საკითხის ამგვარი განმარტება საფრთხეს უქმნის სამშენებლო სამართალდარღვევის სფეროში კონტროლის ეფექტურ განხორციელებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებებით წარმოებაში იქნა მიღებული ვ. კ-ის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კერძო საჩივრები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ვ. კ-ის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კერძო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო შემთხვევებს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ განსახილველი საქმის წარმოება აღნიშნული მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეაჩერა, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. ხოლო ამავე კოდექსის 281-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება შეჩერდება 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული ადმინისტრაციული საქმის განხილვა შეუძლებლად მიიჩნია ადმინისტრაციული საქმის – ზ. კ-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების: ქ. თბილისის მერიისა და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიმართ, მესამე პირები: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“, დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, განხილვისა და აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს გა-

დანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 იანვრის განჩინებით ზ. კ-ის საკასაციო საჩივარი (მონინალმდეგე მხარე – ქ. თბილისის მერია და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური, მესამე პირები – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“, დავის საგანი – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა) მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განჩინება. ამდენად, აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე განხილულია და სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში აღარ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დადგენილი განსახილველი საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს ვ. კ-ის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კერძო საჩივრების ნაწილობრივ დაკმაყოფილების, გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 ოქტომბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ვ. კ-ის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კერძო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 ოქტომბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერების კანონიერება

განჩინება

№ბს-ბს-245-242(კს-14)

5 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: საქმის წარმოების შეჩერების კანონიერება.

აღწერილობითი ნაწილი:

26.09.13წ. შპს „ს...“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 26.08.2013წ. №529/10 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მისი მიღების დღიდან (რომლითაც საეთერო ლიცენზიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „...“), საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის შესაბამისი მაუწყებლობის ლიცენზიის შპს „ს...“ გაცემის დავალდებულება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 15.01.14წ. გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ამავე კომისიის 26.08.13წ. №529/10 გადაწყვეტილება, რითაც გაუქმდა შპს „...“ მიმართ გაცემული მაუწყებლობის ლიცენზია. კომისიის გადაწყვეტილება ემყარებოდა შემდეგ საფუძველს: შპს „...“ დირექტორი და პარტნიორი კ. ბ-ი არის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი, პალატა არის ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო მისი პრეზიდენტი არის ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37.2 მუხლის შესაბამისად, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრე არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი. აღნიშნული გარემოება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიჩნეულ იქნა ახლად აღმოჩენილ გარემოებად, ვინაიდან 26.08.13 №529/10 გადაწყვეტილების მიღების დროს კომისიისათვის აღნიშნული გარემოების შესახებ ცნობილი არ იყო, რაც გახდა საქართველოს კომუნიკაცი-

ების ეროვნული კომისიის 26.08.13წ. №529/10 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.01.14წ. გადაწყვეტილებით შპს „ს...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 26.08.2013წ. №529/10 გადაწყვეტილება ქ. თბილისში კერძო საერთო რადიო მაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ, მოპასუხე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას დაევალა ამავე კომისიის 21.06.13წ. №403/10 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში კერძო საერთო რადიო მაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე ლიცენზიის მაძიებლის შპს „ს...“ მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის ხელახალი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული აქტის მიღებისას მოპასუხის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი კომისიის სხდომის საჯაროობის პრინციპის დაცვა. ასევე, არ იქნა გაზიარებული მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კომისიის 3 ნევრის მიერ, რომელთაგანაც ორი არაუფლებამოსილი პირი იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო მოსარჩელის მიერ აქტის ბათილად ცნობის საფუძველად მითითებული კიდევ ერთი გარემოება – შპს „ს...“ პროგრამული მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებისა, სახეზე იყო სზაკის 60¹-ე მუხლით გათვალისწინებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადოდ არ იყო გამოკვლეული საქმის გარემოებები. კერძოდ, გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობას საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოკვლეული არ ყოფილა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 37¹.1 მუხლით გათვალისწინებული დანაწესი. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ს...“ ბენეფიციარი მესაკუთრე კ. ბ-ი ამავდროულად იყო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი – ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი. აღნიშნული გარემოება გამოკვლეული რომ ყოფილიყო წარმოების დროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადან-

ყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.01.2014წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.03.2014 წ. განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული სააპელაციო საჩივარი.

13.05.2014წ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვის შეჩერების შესახებ. შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია შპს „...“ სარჩელი 26.08.13წ., №529/10 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ კომისიის 15.01.2014წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. შპს „...“ სადავოდ ხდის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ადმინისტრაციულ ორგანოდ აღიარების ფაქტს. აღნიშნულის გამო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვა შეუძლებელია შპს „...“ სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, რის გამოც სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.07.2014წ. განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შუამდგომლობა და სააპელაციო საჩივარზე შეჩერდა საქმის წარმოება. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სახეზე იყო სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო პირობა, ვინაიდან მითითებულ საქმეებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ შპს „...“ სარჩელზე სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა არ არის ადმინისტრაციული ორგანო, მაშინ აღარ იარსებებს ის საფუძველი, რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა შპს „...“ სარჩელი და ბათილად ცნო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 26.08.2013წ. №529/10 გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.07.2014წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ს...“, რომელმაც განჩინე-

ბის გაუქმება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ მოცემული საქმისთვის არა აქვს მნიშვნელობა შპს „ს...“ სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ვინაიდან განსხვავებულია შპს „ს...“ სარჩელისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლები, შპს „ს...“ სარჩელში სადავოდ არის გამხდარი მხოლოდ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ადმინისტრაციულ ორგანოდ აღიარების ფაქტი. ამასთან, შპს „ს...“ და შპს „ს...“ მიერ სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია გასაჩივრებული. შპს „ს...“ სარჩელზე განსახილველ საქმეზე შპს „ს...“ არ არის მხარე. შესაბამისად, რა გადაწყვეტილებაც არ უნდა იქნეს გამოტანილი შპს „ს...“ სარჩელზე, ის გავლენას ვერ მოახდენს განსახილველი დავის შედეგზე. განსახილველ საქმეზე საქმის წარმოების შეჩერება იწვევს დავის განხილვის გაჭიანურებას, რითაც შპს „ს...“ უსაფუძვლოდ ეზღუდება სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თელის, რომ შპს „ს...“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 21.07.2014წ. განჩინება და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია სასამართლოს ვალდებულება შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. განსახილველ შემთხვევაში საქმის წარმოების შეჩერების ვალდებულო წინაპირობად სააპელაციო სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა სხვა საქმის განხილვა. მოცემულ შემთხვევაში შპს „ს...“ მიერ სადავოდ არის გამხდარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 26.08.13წ. №529/10 გადაწყვეტილება, მოსარჩელე ითხოვს აქტის ბათილად ცნობას შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული აქტის მიღებისას მოპასუხის მი-

ერ არ იქნა უზრუნველყოფილი კომისიის სხდომის საჯაროობა, გადანყვეტილება მიღებულ იქნა კომისიის 3 წევრის მიერ, რომელთაგანაც ორი არაუფლებამოსილი პირი იყო, გადანყვეტილების მიღებისას უგულებელყოფილი იქნა შპს „ს...“ პროგრამული მრავალფეროვნება. საქმის განხილვის მსვლელობისას მოსარჩელის წარმომადგენელმა კონკურსში გამარჯვებული შპს „...“ მაუწყებლის ლიცენზიის მაძიებლის სტატუსთან შეუსაბამობის, კომისიის მიერ სადავო აქტის საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე გამოცემის, სადავო აქტით „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 37-ე და 37¹ მუხლების, სზაკ-ის 96-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევის დასადასტურებლად წარადგინა მტკიცებულებები. შპს „...“ მიერ სადავოდ არის გამხდარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 15.01.2014წ. გადანყვეტილება, რომლის გამოცემის საფუძველი გახდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ადმინისტრაციულ ორგანოდ მიჩნევა, შპს „...“ დამფუძნებლის და დირექტორის მიერ სავაჭრო სამრეწველო პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნა. კომისიამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევა, რაც გახდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 26.08.13წ. №529/10 გადანყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შპს „...“ მიერ აღძრულ სარჩელზე საბოლოო გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შპს „ს...“ სარჩელზე მიმდინარე საქმისწარმოების შეჩერების სავალდებულო წინაპირობაა. შპს „ს...“ და შპს „...“ მოითხოვენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სხვადასხვა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას (26.08.13წ. და 15.01.14წ.), ამასთანავე, შპს „ს...“ დამატებით მოითხოვენ კომისიისათვის აქტის გამოცემის დავალებას. შესაბამისად, სახეზეა სხვადასხვა სახეობის სარჩელი, ერთ შემთხვევაში (შპს „ს...“ სარჩელი) სახეზეა მავალდებელი (სასკ-ის 23-ე მუხ.), ხოლო შპს „...“ სარჩელის შემთხვევაში შეცილებითი (სასკ-ის 22-ე მუხ.) სარჩელი. საკასაციო პალატა თვლის, რომ მითითებული სარჩელების განსხვავებული საფუძველების არსებობის გამო სახეზე არ არის საქმის წარმოების შეჩერების წინაპირობა. შპს „...“ სარჩელზე დავის საგანია კომუნიკაციის ეროვნული კომისიის 15.01.14წ. გადანყვეტილება, მისი მიღების საფუძველია 26.08.2013წ. გადანყვეტილება. შპს „ს...“ სარჩელზე დავის საგანს შეადგენს კომისიის 26.08.13წ. გადანყვეტილება, რომელთან და-

კავშირებითაც მიღებულია კომისიის 15.01.14წ. გადაწყვეტილება. ამდენად, არ არის დასაბუთებული თუ რატომ უნდა შეჩერდეს საქმის წარმოება სახელდობრ შპს „ს...“ სარჩელზე. კომისიის 26.08.13წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი აღძრულია კომისიის 15.01.14წ. გადაწყვეტილების მიღებამდე და შესაბამისად 15.01..14წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის შპს „...“ მიერ აღძვრამდე. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ერთი სარჩელის გადაწყვეტამდე მეორე სარჩელის განხილვის შეუძლებლობას, შემთხვევას, როდესაც საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე. საქმის წარმოების შეჩერება თავისი არსით არის სასამართლოს მიერ სასამართლო განხილვის სტადიაში პროცესუალური მოქმედებების დროებითი შეჩერება, გამონკვეული ობიექტური, სასამართლოსგან დამოუკიდებელი, პროცესის დამაბრკოლებელი გარემოებებით. სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქმის წარმოება შეჩერდება 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამდენად, საქმის წარმოების შეჩერებას განაპირობებს საქმის განხილვის შეუძლებლობა და არა განსახილველი საქმისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, მით უფრო, რომ არ არის დადასტურებული შპს „...“ სარჩელზე შპს „ს...“ საქმეში ჩაბმა მაშინ, როდესაც სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს თუ სხვა საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კომისიის 15.01.14წ. გადაწყვეტილებით 26.08.13წ. გადაწყვეტილება ცნობილი იქნა არა ბათილად მისი გამოცხადების დღიდან, როგორც ამას მოითხოვს შპს „ს...“, არამედ ძალადაკარგულად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება მოიცავს როგორც აქტის ბათილად ცნობას, ისე ძალადაკარგულად გამოცხადებას. ბათილად ცნობის ობიექტია უკანონო

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ძალადაკარგულად ცხადდება კანონიერი აქტი. ორივე შემთხვევაში აქტი წყვეტს მოქმედებას, მათ შორის განსხვავება გაუქმებული აქტის სამართლებრივ ბუნებაში მდგომარეობს. მოცემულ შემთხვევაში კომისიის 15.01.14წ. გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ამავე კომისიის 26.08.13წ. №529/10 გადაწყვეტილება, აქტის გაუქმების საფუძვლად მითითებულია ახლად აღმოჩენილი გარემოება (სზაკ-ის 61.2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). აღნიშნული თავის მხრივ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კომისიის მიერ 26.08.13წ. №529/10 გადაწყვეტილება ძალადაკარგულად გამოცხადდა ამ გადაწყვეტილების მოქმედების ძალის დაკარგვის ასპექტის გათვალისწინებით ანუ იმის გათვალისწინებით, რომ 26.08.13წ. №529/10 გადაწყვეტილებამ ძალა დაკარგა მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ ინვესტს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმებას. ძალადაკარგულობა სამართლებრივ შედეგს ინვესტს მომავალში, სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-7 ნაწილი ხაზს უსვამს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას ახალი აქტის გამოცემიდან, სამომავლოდ (ეს ნუნც) და არა მანამდე (ეს ტუნც). კომისიის მიერ თავისი 26.08.13წ. გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება, სზაკ-ის 61-ე მუხლის საფუძველზე ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო აღმჭურველი აქტის გაუქმება გამოინვესტს არა ჩატარებული კონკურსის შედეგების ხელახალ შეფასებას, არამედ ახალი კონკურსის ჩატარებას მაშინ, როდესაც მოსარჩელე – შპს „ს...“ ითხოვს დარღვევების გამო კონკურსის შედეგების გაუქმებას ანუ 28.08.13წ. გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან ბათილად ცნობას აქტის უკანონობის გამო, კონკურსანტების მონაცემების შეფასებას და ახალი აქტის გამოცემით ჩატარებული კონკურსის გამარჯვებულად მის გამოცხადებას, შესაბამისი მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემას. კონკურსის შედეგის ძალადაკარგულად გამოცხადებით კონკურსი დაიწყება საერთო საფუძვლით, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 43.1 მუხლის შესაბამისად. მოსარჩელე „ს...“ სასარჩელო მოთხოვნის მიზანია არა ახალი კონკურსის ჩატარება, არამედ უკვე ჩატარებული კონკურსის ფარგლებში ახალი აქტის გამოცემა, ახალი კონკურსის ჩატარება „ს...“ უცვლის სასტარტო პირობებს. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – კომისიის 26.08.2013წ. გა-

დანყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნას საფუძვლად უდევს ჩატარებულ კონკურსში მოსარჩელის გამარჯვებულად გამოცხადების ინტერესი, რაც სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ვერ მიიღწევა. შესაბამისად, არ არსებობს საქმის წარმოების შეჩერებისათვის სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის განხილვის შეუძლებლობა სხვა საქმის გადანყვეტამდე.

შპს „...“ სარჩელის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი, შპს „ს...“ განსხვავებით, არის ერთადერთი – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ადმინისტრაციულ ორგანოდ მიჩნევის უარყოფა. შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 15.01.14წ. გადანყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველების შემთხვევაშიც კი, დადასტურდება კომისიის 26.08.13წ. გადანყვეტილების მიღება „მაუნყებლობის შესახებ“ კანონის 37.2 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, მაშინ როდესაც შპს „ს...“ სარჩელზე გადანყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს აქტის ბათილად ცნობის საფუძვლად მითითებული სხვა გარემოებანი და ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალეების შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობა.

საქმის მასალებით არ დასტურდება წარმოების შეჩერების შეუამდგომლობის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქალაქო სასამართლოს 27.01.14წ. გადანყვეტილებით შპს „ს...“ სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების, კომისიის 26.08.13წ. გადანყვეტილების გაუქმებისა და დავის გადანყვეტის გარეშე ახალი აქტის გამოცემის დავალების ერთადერთი საფუძველი იყო შპს „...“ ბენეფიციარი მესაკუთრის სტატუსის – ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის დაკავების საკითხის გარკვევის საჭიროება. პირველი ინსტანციის სასამართლოს 27.01.14წ. გადანყვეტილება მაუნყებლის ლიცენზიის მფლობელის მიერ თანამდებობის პირის დაკავების გარკვევის გარდა კომისიის გადანყვეტილების გაუქმების საფუძვლად უთითებს აგრეთვე პროგრამული მრავალფეროვნების კრიტერიუმზე და აღნიშნავს ახალი გადანყვეტილების ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით გამოცემის სავალდებულობას. სააპელაციო სასამართლო სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეჩერების პირობად ის გარემოება მიუთითა, რომ თუ შპს „...“ სარჩელზე სასამართლო დაადგენს, რომ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა არ არის ადმინისტრაციული ორგანო, შესაბამისად არ იარსებებს ის საფუძველი, როს გამოც პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა შპს „ს...“ სარჩელი და

ბათილად ცნო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 26.08.13წ. №529/10 გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატის ეს მოსაზრება არ არის დასაბუთებული, ვინაიდან სააპელაციო წესით გასაჩივრებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ემყარება მხოლოდ ამ ერთ არგუმენტს. გადაწყვეტილებაში სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძვლად მითითებულია, აგრეთვე, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების სავალდებულობა პროგრამული მრავალფეროვნების კრიტერიუმით. ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.01.14წ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ცალკე პუნქტად სასამართლო მიუთითებს ორ გარემოებას: კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების სავალდებულობა პროგრამული მრავალფეროვნების კრიტერიუმით და მაუწყებლობის ლიცენზიის ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის მიერ მფლობელობის დაუშვებლობას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის შპს „ს...“ თავდაპირველი სარჩელის ძირითადი საფუძველი არის ის, რომ მისი განცხადება პასუხობდა კონკურსის ძირითად კრიტერიუმს – პროგრამულ მრავალფეროვნებას. დაზუსტებულ სარჩელში მოსარჩელე დამატებით ყურადღებას ამახვილებს მისი და შპს „...“ სამაუწყებლო კონცეფციებში სამაუწყებლო პროგრამების თემატიკაზე და ამ თემატიკის ფარგლებში კონკრეტული პროგრამების რაოდენობაზე, კონკურსის მაუწყებლობის დეპარტამენტის დასკვნაზე, კომისიის ვალდებულებაზე ემსჯელა ლიცენზიის მაძიებელთა სამაუწყებლო კონცეფციის შეთავაზებული პროგრამული მრავალფეროვნების ასპექტზე, ზოგადი პროგრამული მრავალფეროვნების გამოცხადებული კრიტერიუმის შესაბამისად გამარჯვებულის გამოვლენის ვალდებულებაზე და სხვ.. მოსარჩელის ამ მოსაზრებებთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლოს 27.01.14წ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღინიშნა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 43-ე მუხლის მე-7, მე-8, მე-9 პუნქტების დებულებები (კომისიის მიერ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას დოკუმენტაციის პროგრამირების ასპექტის მიხედვით კონკურსში მრავალფეროვნების, აუდიტორიის ინტერესებთან შესაბამისობის, ადრე გაცემული ლიცენზიის საფუძველზე მაუწყებლობის განხორციელების მხედველობაში მიღების შესახებ), კონკურსის გამოცხადების შესახებ კომისიის 21.06.13წ., №403/10 გადაწყვეტილება (რომელშიც გამარჯვებულად გამოვლენის იგივე კრიტერიუმია დადგენილი), აგრეთვე კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის 22.08.13წ. დასკვნა (დასკვნაში მითითებულია, რომ ვინაიდან საზოგადოებრივი აზრის შესწავლის

საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტები ამ ეტაპისათვის განსაზღვრული არ იყო, დეპარტამენტმა საძიებელი ლიცენზიის სახეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნია წარდგენილი კონცეფციების შეფასება/ანალიზი განცხორციელებინა პროგრამული მრავალფეროვნების გათვალისწინებით. დეპარტამენტის აზრით, თემათა მრავალფეროვნება მეტწილად უზრუნველყოფილი იყო შპს „ს...“ მიერ წარდგენილ სამაუწყებლო კონცეფციაში. დეპარტამენტმა გაითვალისწინა აგრეთვე, რომ „ს...“ რადიომაუწყებლობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია). საქალაქო სასამართლოს 27.01.14წ. გადაწყვეტილების ტექსტი არ იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ კონკურსის ძირითადი კრიტერიუმის – პროგრამულ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები უარყოფილ იქნა, რის გამო საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიის სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი არ ყოფილა მხოლოდ ლიცენზიის მძიებლის სტატუსი. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საფუძვლიანია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობის შესახებ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საპროცესო კანონმდებლობას არ ემყარება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა საქმის წარმოების შეჩერების აუცილებლობის თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველები, რის გამოც საქმე არსებითად განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 419-420-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ს...“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.07.2014წ. განჩინება და საქმე არსებითი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინების
გაუქმების საფუძველზე**

განჩინება

№ბს-15-15(2კ-კს-15)

18 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: საქმის წარმოების შეჩერების კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 4 მარტს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმის“, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ შპს „...“ 368 894,36 ლარის დაკისრების თაობაზე სსიპ შემოსავლების სამსახურის გაფორმების დეპარტამენტის 2013 წლის 20 თებერვლის №EL010526, №EL010530, №EL010531, №EL010532 საგადასახადო სამართალდარღვევათა ოქმების, სსიპ შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმის“ 2013 წლის 20 თებერვლის №11112/001 და №11112/002 საგადასახადო მოთხოვნების, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 10 აპრილის №14442 ბრძანებისა და შპს „...“ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოებისას მოსარჩელემ იშუამდგომლა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე იმ მოტივით, რომ შპს „...“ ადმინისტრაციული სარჩელი ჰქონდა აღძრული თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, პირდაპირი გამოხდის ბენზინის (ნაფტას) ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ ნორმატიული აქტის გამოცემის თაობაზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ივლისის

საოქმო განჩინებით შპს „...“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა აღნიშნულიადმინისტრაციული სარჩელის წარმოებაში მიღება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში დავის მიმდინარეობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „...“ საჩივარი №EL010526 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმისა და №1112/002 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობის თაობაზე; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი შემოსავლების სამსახურის №14442 ბრძანება (№1112/002 საგადასახადო მოთხოვნისა და №EL010526 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ნაწილში); სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 20 თებერვლის №1112/002 საგადასახადო მოთხოვნა და №EL010526 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და ადმინისტრაციულ ორგანოს გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა დაევალა; შპს „...“ სარჩელი №EL010530, №EL010531, №EL010532 ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმების, №1112/001 საგადასახადო მოთხოვნისა და ამ ნაწილში დავების განხილვის საბჭოს 2013 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების, შემოსავლების სამსახურის №14442 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ამასთან, შპს „...“ სააპელაციო სასამართლოში საქმის გან-

ხილვისას მოცემული საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ – №3/2576-14წ. ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს „...“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ და წინამდებარე ადმინისტრაციულ საქმეზე საქმის წარმოება შეჩერდა №EL010530, №EL010531, №EL010532 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების, №11112/001 საგადასახადო მოთხოვნის, ამ ნაწილში დავების განხილვის საბჭოს 2013 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებისა და შემოსავლების სამსახურის №14442 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ შპს „...“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილების კანონიერების გადასინჯვის ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 11 ნოემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება შპს „...“ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირდაპირი გამოხდის ბენზინის (ნაფტას) ბუნებრივ დანაკარგებს, შესაბამისად შემოსავლების სამსახურის მიერ სავსებით კანონიერად მოხდა საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-19 ნაწილისა და 290-ე მუხლის გამოყენება შპს „...“ მიმართ. ამასთანავე, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო წინაპირობა არ არსებობს, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული დავა კი ეხება პირდაპირი გამოხდის ბენზინის (ნაფტას) ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობის განსაზღვრისა და ნედლი ნავთობის დანაკარგის

ნორმების დამტკიცების შესახებ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულებას, რაც გავლენას ვერ მოახდენს სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 23 აპრილის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს „...“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე იმ მოტივით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ კავშირშია განსახილველ საქმესთან და გავლენას იქონიებს საქმეზე მისაღებ გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან წინამდებარე სარჩელით განსახილველი ვალდებულება მოცემული დროისათვის არ წარმოადგენს აღიარებულ საგადასახადო ვალდებულებას საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 52-ე ნაწილის შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოს მიერ დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობის დადგენამდე არსებული საგადასახადო პერიოდის/პერიოდების საგადასახადო შემონმებისას: ა) უფლე-

ბამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი დანაკარგის ნორმა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი აღნიშნულ საგადასახადო პერიოდის/პერიოდებში დანაკარგის ნორმას იყენებდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილზე მეტი ოდენობით; ბ) თუ გადასახადის გადამხდელი აღნიშნულ საგადასახადო პერიოდში დანაკარგის ნორმას იყენებდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი ან დადგენილზე ნაკლები ოდენობით, გამოყენებული დანაკარგის ნორმის ფარგლებში არსებული ნაკლებობა დანაკლისად არ ჩაითვლება; გ) არ გაითვალისწინება უფლებამოსილი ორგანოს მიერ დანაკარგის ნორმის დადგენის შემდეგ გადასახადის გადამხდელის მიერ დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობის გამოყენებასთან დაკავშირებით საგადასახადო ვალდებულების დაზუსტება, თუ გადასახადის გადამხდელი დანაკარგის ნორმად იყენებდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დანაკარგის დადგენილზე ნაკლებ ოდენობას ან საერთოდ არ იყენებდა მას. იმავე მუხლის 53-ე პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის 52-ე ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება იმავე ნაწილის ამოქმედებამდე დასრულებული საგადასახადო შემონმების მიხედვით დარიცხულ და აღიარებულ საგადასახადო ვალდებულებაზე.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის მოტივებს საქმის წარმოების შეჩერების შესახებ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების თაობაზე.

ამასთანავე, უნდა განიმარტოს, რომ თუ საქმის წარმოება არ შეჩერდება და შპს „...“ ჩამოენერება დავალიანება და ამ დროს ადმინისტრაციული ორგანო მიიღებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც დადგინდება ტექნიკური სტანდარტი ნაფტასთან მიმართებით, რა თქმა უნდა, ეს აქტი ვეღარ გავრცელდება ამ ურთიერთობაზე, მას არ ექნება უკუძალა. ამიტომ მხარე უფლების უზრუნველსაყოფად ითხოვს საქმის წარმოების შეჩერებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ამასთანავე, თუ აქტი აუმჯობესებს პირის მდგომარეობას მასზე აუცილებლად გავრცელდება ახალი აქტის მოქმედება. პირდაპირი გამოხდის ბენზინის (ნაფტას) ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობის განსაზღვრას პირდაპირი კავშირი აქვს წინამდებარე საქმესთან, რამდენადაც სამართალდარღვევის ოქმები შედგენილია პირდაპირი გამოხდის ბენზინის (ნაფტას) და-

ნაკლისზე, რომელიც ითვლება ბუნებრივ დანაკარგად. შესაბამისად, შეუძლებელია საქმის გადაწყვეტა სანამ საქალაქო სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების შეჩერების მოთხოვნის
კანონიერება**

განჩინება

№ბს-111-109(2კ-კს-15)

24 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 დეკემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 25 აპრილს შპს „ბ. ნ-მა“ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტის – „ბ. პ-ის“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა; შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 20 ივნისის №27860 ბრძანების ბათილად ცნობა; საგადასახადო სამართლადარღვევის №EL011938, №EL011939, №EL011943, №EL011945, №EL011947, №EL011949, №EL011955, №EL011959 ოქმების ბათილად ცნობა; შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკური ზონა ბ. 2013 წლის აპრილის №69604/001, №69604/002, №69604/003, №69604/004, №69604/005, №69604/006, №69604/009, №69604/011 საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს „ბ. ნ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „ბ. ნ-ის“ ადმინისტრაციული საჩივარი №69604/003, №69604/004, №69604/005, №69604/006, №69604/

009, №69604/011 საგადასახადო მოთხოვნების და 2013 წლის 16 აპრილის №EL011943, №EL011945, №EL011947, №EL011949, №EL011955, №EL011959 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობის და ამავე ნაწილში შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 20 ივნისის №27860 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე; ბათილად იქნა ცნობილი შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 20 ივნისის №27860 ბრძანება; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები №EL011943, №EL011945, №EL011947, №EL011949, №EL011955, №EL011959 და შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკური ზონა ბ. 2013 წლის აპრილის №69604/003, №69604/004, №69604/005, №69604/006, №69604/009, №69604/011 საგადასახადო მოთხოვნები და დაევალა ადმინისტრაციულ ორგანოს გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო შპს „ბ. ნ-ის“ სარჩელი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმების №EL011938, №EL011939 და საგადასახადო მოთხოვნების №69604/001, №69604/002, ასევე ამავე ნაწილში შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 20 ივნისის №27860 ბრძანებისა და დავეების განხილვის საბჭოს 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „ბ. ნ-მა“ (მოსარჩელემ), სსიპ შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მოპასუხეებმა).

2014 წლის 1 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე შპს „ბ. ნ-ის“ წარმომადგენლებმა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე მითითებით, იშუამდგომლეს საქმის წარმოების შეჩერების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ №3/2576-146 ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მოსარჩელის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმე შპს „ბ. ნ-ის“ სარჩელისა გამო მოპასუხეების სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდეზულების თაობაზე. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოხდება პირდაპირი გამოხდის ბენზინის (ნაფტას) და მავუთის ბუნებრივი დანაკარგის ზღვრული ოდენობის განსაზღვრა და შესაბამისი ნორმების დამტკიცება. წინამდებარე საქმეში კი საგადასახადო სამართალდარღვევად მიჩნეუ-

ლია ნაფტასა და მაზუთის ბუნებრივი დანაკარგების შედეგად დამდგარი დანაკლისი, რაზეც შედგენილია საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები და გამოყენებულია სანქცია საერთო ჯამში 1 302 748 ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ კავშირშია განსახილველ საქმესთან და ითხოვეს საქმის წარმოების შეჩერება.

მოწინააღმდეგე მხარეები (მოპასუხეები) – სსიპ შემოსავლების სამსახური და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ შუამდგომლობას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 დეკემბრის განჩინებით შპს „ბ. ნ-ის“ წარმომადგენლების შუამდგომლობა მათ სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეჩერების შესახებ დაკმაყოფილდა. შეჩერდა საქმის წარმოება შპს „ბ. ნ-ის“ სააპელაციო საჩივარზე, რომლითაც მოთხოვნილია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკური ზონა ბ. 2013 წლის 16 აპრილის საგადასახადო სამართალდარღვევის №EL011938 და №EL011939 ოქმების, 2013 წლის 19 აპრილის №69604/001 და №69604/002 საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებისა და სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 20 ივნისის №27860 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირდაპირი გამოხდის ბენზინის (ნაფტას) ბუნებრივ დანაკარგებს, შესაბამისად შემოსავლების სამსახურის მიერ სავსებით კანონიერად მოხდა საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-19 ნაწილისა და 290-ე მუხლის გამოყენება შპს „ბ. ნ-ის“ მიმართ. ამასთანავე, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო წინაპირობა არ არსებობს, რამდენადაც,

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული დავა კი ეხება პირდაპირი გამოხდის ბენზინის (ნაფტას) ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობის განსაზღვრისა და ნედლი ნავთობის დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულებას, რაც გავლენას ვერ მოახდენს სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მარტის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს „ბ. ნ-ის“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე იმ მოტივით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ კავშირშია განსახილველ საქმესთან და გავლენას იქონიებს საქმეზე მისაღებ გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან წინამდებარე სარჩელით განსახილველი ვალდებულება მოცემული დროისათვის არ წარმოადგენს აღიარებულ საგადასახადო ვალდებულებას საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 52-ე ნაწილის შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოს მიერ დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობის დადგენამდე არსებული საგადასახადო პერიოდის/პერიოდების საგადასახადო შემონმებისას: ა) უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი დანაკარგის ნორმა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი აღნიშნულ საგადასახადო პერიოდის/პერიოდებში დანაკარგის ნორმას იყენებდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილზე მეტი ოდენობით; ბ) თუ გადასახადის გადამხდელი აღნიშნულ საგადასახადო პერიოდში დანაკარგის ნორმას იყენებდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი ან დადგენილზე ნაკლები ოდენობით, გამოყენებული დანაკარგის ნორმის ფარგლებში არსებული ნაკლებობა დანაკლისად არ ჩაითვლება; გ) არ გაითვალისწინება უფლებამოსილი ორგანოს მიერ დანაკარგის ნორმის დადგენის შემდეგ გადასახადის გადამხდელის მიერ დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობის გამოყენებასთან დაკავშირებით საგადასახადო ვალდებულების დაზუსტება, თუ გადასახადის გადამხდელი დანაკარგის ნორმად იყენებდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დანაკარგის დადგენილზე ნაკლებ ოდენობას ან საერთოდ არ იყენებდა მას. იმავე მუხლის 53-ე პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის 52-ე ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება იმავე ნაწილის ამოქმედებამდე დასრულებული საგადასახადო შემონმების მიხედვით დარიცხულ და აღიარებულ საგადასახადო ვალდებულებაზე.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის მოტივებს საქმის წარმოების შეჩერების შესახებ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების თაობაზე.

ამასთანავე უნდა განიმარტოს, რომ თუ საქმის წარმოება არ შეჩერდება და შპს „ნ-ს“ ჩამოენერება დავალიანება და ამ დროს ადმინისტრაციული ორგანო მიიღებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც დადგინდება ტექნიკური სტანდარტი ბენზინის (ნაფტა) და მავთუთთან მიმართებით, რა თქმა უნდა, ეს აქტი ვეღარ გავრცელდება ამ ურთიერთობაზე, მას არ ექნება უკუძალა. ამიტომ მხარე უფლების უზრუნველსაყოფად ითხოვს საქმის წარმოების შეჩერებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ამასთანავე, თუ აქტი აუმჯობესებს პირის მდგომარეობას მასზე აუ-

ცილებლად გავრცელდება ახალი აქტის მოქმედება. პირდაპირი გამოხდის ბენზინის (ნაფტას) ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობის განსაზღვრას პირდაპირი კავშირი აქვს წინამდებარე საქმესთან, რამდენადაც სამართალდარღვევის ოქმები შედგენილია პირდაპირი გამოხდის ბენზინის (ნაფტას) დანაკლისზე, რომელიც ითვლება ბუნებრივ დანაკარგად. შესაბამისად, შეუძლებელია საქმის გადაწყვეტა სანამ საქალაქო სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 დეკემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერების საკითხი

ბანრინება

№ბს-215-211(კს-15)

15 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: საქმის წარმოების შეჩერების კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 13 მაისს ს. ი-ის წარმომადგენელმა მ. ჩ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს მიმართ და მოითხოვა „საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ“ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს 2013 წლის 7 ნოემბრის აქტისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 14 აპრილის №20/12-498 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 მაისის განჩინებით საქმე ტერიტორიული განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ს. ი-ის სარჩელი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ი-ის წარმომადგენელმა მ. ჩ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის განჩინებით შეჩერდა №3/ბ-502-14წ ადმინისტრაციული საქმის (ს. ი-ის სარჩელისა გამო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და იმავე დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს მიმართ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს 2013 წლის 7 ნოემბრის აქტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 14 აპრილის №20/12-498 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ) წარმოება – სხვა საქმის (ს. ი-ის სარჩელისა გამო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და იმავე დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს 2013 წლის 24 ივლისის აქტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2013 წლის 14 ნოემბრის №20/12-3648 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ) გადაწყვეტამდე (კანონიერ ძალაში შესვლამდე).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა – „საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით“. აღნიშნული წარმოადგენს საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების საფუძველს.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ს. ი-ი ცალკე სასარჩელო წარმოებით დავობდა იმავე მოპასუხეების მიმართ სხვა ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით. საუბარია 2013 წლის 13 დეკემბრის სარჩელზე. აღნიშნული სარჩელით ს. ი-ის წარმომადგენელი მ. ჩ-ი ითხოვდა საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს 2013 წლის 24 ივლისის აქტისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2013 წლის 14 ნოემბრის №20/12-3648 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას იმ მოტივით, რომ ს. ი-ს უსაფუძვლოდ ეთქვა უარი სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით საქართველოში შემოსვლაზე, რის

საფუძვლადაც მიეთითა საქართველოს საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა რომ ს. ი-ის 2013 წლის 13 დეკემბრის სარჩელთან დაკავშირებით ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 19 მაისს მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რაც გასაჩივრდა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. ხოლო ამჟამად, საკასაციო საჩივრის საფუძველზე, ხსენებული საქმე გადაგზავნილია საქართველოს უზენაეს სასამართლოში და განხილვის პროცესშია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2013 წლის 13 დეკემბრის სარჩელის გამო წარმოებული საქმის საბოლოო ინსტანციაში გადაწყვეტამდე და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე უნდა შეჩერდეს 2014 წლის 13 მაისს აღძრული სარჩელის განხილვა, რადგან გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტებს ერთი და იმავე საფუძველები აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ საქმეზე სხვადასხვა ადმინისტრაციული აქტებია გასაჩივრებული, რაც ს. ი-ისათვის, სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას ზღუდავს, არსებობს უარის თქმის ერთი და იგივე საფუძველი, კერძოდ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოდან დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ თურქეთის მოაქალაქე ს. ი-ს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე შეზღუდვა „შეჩერება-შეტყობინების“ სტატუსით დაუნესდა შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2013 წლის 23 ივლისს 11:49 სთ-ზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების მოთხოვნის საფუძველზე №075170713002 სისხლის სამართლის საქმეზე (სამსახ.ბარათი №... 22.07.2013. ინიციატორი საგამოძიებო განყოფილების უფროსი რ. მ-ე, უფროსი გამომძიებელი მ. შ-ი, უფროსი გამომძიებელი ქ. ო-ე.)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს 2013 წლის 8 ავისტოს №1555995 წერილით ირკვევა, რომ №075170713002 სისხლის სამართლის საქმეზე გატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებებით დადგინდა: 2013 წლის 17 ივლისს მომხდარ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში ბრალდებულ მძღოლს, თურქეთის მოქალაქე ე. გ-ს მიმალვაში ეხმარებოდა ასევე თურქეთის მოქალაქე ს. ი-ი, რის გამოც საქარ-

თველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთისას ეს უკანასკნელი მიჩნეული იქნა საქართველოსათვის არასასურველ პირად და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 14.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა ქვეყანაში შემოსვლაზე.

ზემოხსენებული ფაქტების საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს მიერ გაირკვა, რომ 2013 წლის 24 ივლისსა და 2013 წლის 7 ნოემბერს თურქეთის მოქალაქე ს. ი-ს საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა ერთი და იმავე საფუძველით და აღნიშნული საფუძველი წინამდებარე საქმის განხილვის მომენტისათვისაც ძალაშია. სააპელაციო სასამართლოს აზრით, საქმის არსს არ ცვლის ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ ორ შემთხვევაში ს. ი-ს საქართველოში შემოსვლაზე უარი – ორი სხვადასხვა ადმინისტრაციული აქტით ეთქვა (2013 წლის 13 დეკემბრის სარჩელით სადავო – 2013 წლის 24 ივლისის აქტითა და 2014 წლის 13 მაისის სარჩელით სადავო – 2013 წლის 7 ნოემბრის აქტით), რადგან ფაქტია, რომ ორივე საქმეზე შესაფასებელია ის გარემოება, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელთ არსებული ინფორმაცია (შეზღუდვა „შეჩერება-მეტყობინების სტატუსით, რაც ს. ი-ს დაუწესდა შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2013 წლის 23 ივლისს 11:49 სთ-ზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების მოთხოვნის საფუძველზე №075170713002 სისხლის სამართლის საქმეზე (სამსახ.ბარათი №1436021 22.07.2013) ინიციატორი საგამოძიებო განყოფილების უფროსი რ. მ-ე, უფროსი გამომძიებელი მ. შ-ი, უფროსი გამომძიებელი ქ. ო-ე.) რამდენად წარმოადგენდა მოსარჩელისათვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძველს. ამდენად, ზემოთ მოხსენიებული ორი სარჩელი ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარეობს და სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისითაც ერთმანეთთან კავშირშია.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული საფუძველით საქმის წარმოების შეჩერების ვალდებულება პირდაპირ კავშირშია ისეთ საპროცესო ინსტიტუტთან, როგორიცაა მტკიცების ტვირთი და ემსახურება ფაქტების დამტკიცების ვალდებულებისაგან მხარეთა გათავისუფლების მიზანს. სამართალწარმოების მნიშვნელოვანი პრინციპის – პროცესის ეკონომიის უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობაა. სხვა სამართალწარმოებით საქმის განხილვისას სასამართლოს მიერ ფაქ-

ტობრივი გარემოებების დადგენა რიგ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის კონკრეტული საქმის განხილვას, რამდენადაც ფაქტები, რომლებიც უნდა დადგინდეს სხვა საქმის განხილვისას, ვერ იქნება გამორკვეული, შეფასებული და დადგენილი კონკრეტული საქმის წარმოებისას, ამავდროულად ამ ფაქტების დადგენამდე შეუძლებელი უნდა იყოს მოცემული საქმის განხილვა. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სანამ უზენაესი სასამართლო არ განიხილავს 2013 წლის 13 დეკემბრის სარჩელით აღძრულ საქმეს, მანამდე საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს 2013 წლის 13 მაისის სარჩელთან დაკავშირებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ს. ი-ის წარმომადგენელმა მ. ჩ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საქმის ხელახალი განხილვის მიზნით სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი წარმოდგენილ კერძო საჩივარში აცხადებს, რომ სადავო ადმინისტრაციულ აქტს არ აქვს კავშირი სხვა ადმინისტრაციულ საქმესთან, ვინაიდან განსახილველ საქმეში არსებულ ადმინისტრაციულ აქტს აქვს სხვა სამართლებრივი საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ს. ი-ის წარმომადგენლის მ. ჩ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად კერძო საჩივარი საქმესთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ

სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოები-სათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის შესაბამისად, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და პროცესუალურ სამართლებრივ შეფასებას, რომლის საფუძველიან კრიტიკას არ შეიცავს კერძო საჩივარი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის განჩინებით შეჩერდა საქმის განხილვა, რომელიც წარმოიშვა ს. ი-ის 2014 წლის 13 მაისის სარჩელისა გამო, მანამ სანამ უზენაესი სასამართლო არ იმსჯელებდა ს. ი-ის 2013 წლის 13 დეკემბრის სარჩელთან დაკავშირებულ დავაზე. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული ნორმის თანახმად სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს საქმის წარმოების შეჩერების საფუძველებს, რომლებიც დადგენილია 279-ე და 280-ე მუხლებში. 279-ე მუხლში ჩამოთვლილია ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის განხილვა, ხოლო 280-ე მუხლი საქმის განხილველ სასამართლოს აძლევს უფლებას შეაჩეროს საქმის წარმოება თავისი ინიციატივით ან მხარეთა განცხადებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შესაფასებელია, თუ რამდენად არსებობდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის შეჩერების ის საფუძველი, რომელიც დეფინირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტში, რაც სასამართლოსათვის საქმის წარმოების შეჩერების ვალდებულებას წარმოშობს.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ს. ი-ის 2013 წლის 13 დეკემბრის სარჩელთან დაკავშირებით წარმოებული საქმე გადაგზავნილია საქართველოს უზენაეს სასამართლოში კასაციის გზით და განხილვის პროცესშია. პალატას მიაჩნია, რომ აგრეთვე შესაფასებელია, თუ რამდენად არის ფაქტობრივად და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული აღნიშნული და ამჟამად განსახილველი საქმე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2014 წლის 13 მაისის

სარჩელით ს. ი-ის წარმომადგენელი მ. ჩ-ი ითხოვს საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს 2013 წლის 7 ნოემბრის აქტისა და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 14 აპრილის №20/120498 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას იმ მოტივით, რომ ს. ი-ს უსაფუძვლოდ ეთქვა უარი სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით საქართველოში შემოსვლაზე. 2013 წლის 7 ნოემბრის აქტში, ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლად, მითითებულია „საქართველოს საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული უარის თქმის სხვა საფუძველი“. ხოლო 2013 წლის 13 დეკემბრის სარჩელით ს. ი-ის წარმომადგენელი მ. ჩ-ი ითხოვდა საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს 2013 წლის 24 ივლისის აქტისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2013 წლის 14 ნოემბრის №20/12-3648 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას იმ მოტივით, რომ ს. ი-ს უსაფუძვლოდ ეთქვა უარი სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით საქართველოში შემოსვლაზე, რის საფუძვლადაც მიეთითა საქართველოს საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ ორ შემთხვევაში ს. ი-ს საქართველოში შემოსვლაზე უარი – ორი სხვადასხვა ადმინისტრაციული აქტით ეთქვა (2013 წლის 13 დეკემბრის სარჩელით სადავო – 2013 წლის 24 ივლისის აქტითა და 2014 წლის 13 მაისის სარჩელით სადავო – 2013 წლის 7 ნოემბრის აქტით), თუმცა ორივე შემთხვევაში ს. ი-ისთვის საქართველოს საზღვრის გადმოკვეთაზე უარის თქმას ერთი და იმავე საფუძველი აქვს. კერძოდ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელთ არსებული ინფორმაცია, რასაც სასამართლო გაეცნო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სახით. (შეზღუდვა „შეჩერება-შეტყობინების სტატუსით, რაც ს. ი-ს დაუნესდა შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2013 წლის 23 ივლისს 11:49 სთ-ზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო

განყოფილების მოთხოვნის საფუძველზე №075170713002 სის-
ხლის სამართლის საქმეზე (სამსახ. ბარათი №... 22.07.2013) ინი-
ციატორი საგამოძიებო განყოფილების უფროსი რ. მ-ე, უფროსი
გამომძიებელი მ. შ-ი, უფროსი გამომძიებელი ქ. ო-ე.)

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს რა წარმოქმნილ სი-
ტუაციას, მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვე-
ტილება საქმის შეჩერების თაობაზე კანონიერია და განპირო-
ბებულია იმით, რომ ს. ი-ის 2013 წლის 13 დეკემბრის სარჩელ-
თან დაკავშირებული დავა ამჟამად უზენაესი სასამართლოს გან-
ხილვაშია. შესაბამისად, უზენაესი სასამართლო იმსჯელებს თუ
რამდენად კანონიერად ეთქვა საზღვრის გადმოკვეთაზე უარი
ს. ი-ს 2013 წლის 24 ივლისის აქტით. როგორც არაერთხელ აღი-
ნიშნა, ხსენებულ აქტსა და 2014 წლის 13 მაისის სარჩელით გა-
საჩივრებულ (საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესა-
ხებ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი
სამმართველოს 2013 წლის 7 ნოემბრის აქტი და ადმინისტრა-
ციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, სა-
ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლი-
ციის დეპარტამენტის 2014 წლის 14 აპრილის №20/12-498 გა-
დაწყვეტილება) აქტებს ერთი და იმავე საფუძველი აქვთ. აქე-
დან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ასევე შეაფასებს
აღნიშნულ საფუძველს.

ზემოთქმული მსჯელობიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის
განმხილველი საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში სწო-
რედ ის სამართლებრივი და ფაქტობრივი პირობებია წამოჭრი-
ლი, რაც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე
მუხლის „დ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს
არ აქვს შესაძლებლობა განაგრძოს საქმის წარმოება ს. ი-ის 2014
წლის 13 მაისის სარჩელთან დაკავშირებით მანამ, სანამ უზენაე-
სი სასამართლო არ იმსჯელებს 2013 წლის 13 დეკემბრის სარჩე-
ლის გამო წარმოქმნილ დავაზე, გასაჩივრებული აქტებისა და ამ
აქტების საფუძვლების კანონიერებაზე. ზემოაღნიშნულ მუხლში
სწორედ საქმის წარმოების გაგრძელების შეუძლებლობაზეა
დათქმა, რაც განსახილველ შემთხვევაში აშკარად სახეზეა და
დღევანდელი მოცემულობით სააპელაციო სასამართლო მოკლე-
ბულია შესაძლებლობას განაგრძოს საქმის განხილვა უზენაესი
სასამართლოს მიერ იმ ფაქტის გარკვევამდე, (რაც უკავშირდე-
ბა ს. ი-ისათვის უარის თქმის საფუძველს) რაც საქმის გადასან-
ყვეტად მნიშვნელოვანია. საქმის წარმოების შეჩერება ასევე ემ-
სახურება პროცესის ეკონომიურობის პრინციპს. ამასთანავე,
უზენაესი სასამართლო მიერ საქმის განხილვის შემდეგ მხარე-

ები გათავისუფლდებიან მტკიცების ტვირთისგან, რადგან უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ უკვე შეფასებული იქნება ის საფუძველი, რითაც ორივე შემთხვევაში უარი ეთქვა ს. ი-ს საქართველოში შემოსვლაზე და შესაბამისად მხარეებს აღარ მოუწევთ ამტკიცონ ამ საფუძვლის სამართლებრივი თუ ფაქტობრივი მხარის შესაბამისობა კანონმდებლობასთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეჩერება უკანონოა იმ მოტივით, რომ 2013 წლის 13 დეკემბრისა და 2014 წლის 13 მაისის სარჩელებით გასაჩივრებულ აქტებს სხვადასხვა საფუძველი აქვთ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე სწორი განჩინება დაადგინა, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ შეამოწმა რა გასაჩივრებული განჩინებისა და კერძო საჩივრის ფაქტობრივ-პროცესუალური მხარე, მიაჩნია, რომ ს. ი-ის წარმომადგენლის მ. ჩ-ის კერძო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, რამდენადაც სახეზე არ არის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 419-420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ს. ი-ის წარმომადგენლის მ. ჩ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გამო საქმის შეჩერება

განჩინება

№ბს-16-15(კს-16)

7 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სააკველაციო საჩივრის განხილვის შეჩერების
კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 14 ნოემბერს ა. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ის 2010 წლიდან მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოში, ხოლო 2012 წლის აგვისტოდან ამავე სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ... განყოფილებაში ... თანამდებობაზე.

2014 წლის 19 სექტემბერს მოსარჩელეს აცნობეს, რომ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რის გამოც ა. მ-მა წერილობით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს და მოითხოვა გათავისუფლების შესახებ ბრძანების მისთვის გაცნობა. 2014 წლის 16 ოქტომბერს მოსარჩელეს გაეგზავნა გათავისუფლების შესახებ ბრძანება, რომელშიც მითითებული არ იყო გათავისუფლების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 19 სექტემბრის №1855517 ბრძანების ბათილად ცნობა, კადრების განკარგულებაში აყვანა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 ნოემბრის განჩინებით საქართვე-

ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ა. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 19 სექტემბრის №1855517 ბრძანება ა. მ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის ნაწილში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

ა. მ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა არაერთი შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღებისა და საკითხის მხარეთა მონაწილეობით განხილვის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებაზე დაზუსტებული და დამატებითი სააპელაციო საჩივარი წარადგინა ა. მ-მა და მოითხოვა: 1) გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება; 2) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 ნოემბრის განჩინების გაუქმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს აუცილებელი, სავალდებულო მოწვევის მესამე პირად ჩაბმის ნაწილში; 3) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინების გაუქმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოდან სრული საშტატო ნუსხის გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ; 4) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინების გაუქმება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 19 სექტემბრის №1855517 და 2014 წლის 12 ნოემბრის №2277177 ბრძანებების დედნების მოპასუხისათვის უკან დაბრუნების თაობაზე; 5) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის განჩინების გაუქმება დამატებითი გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის ნაწილში; 6) თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინების გაუქმება საქმის ზეპირი მოსმენით სხვა დროისთვის გადადების თაობაზე; 7) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 მარტის საოქმო განჩინების გაუქმება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადების თაობაზე; 8) საქმის სააპელაციო განხილვის ეტაპზე მონაწილემდეგ მხარისათვის სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება; 9) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 10 ივლისის განჩინების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც სრულად არ იქნა დაბრუნებული ის ხარჯი, რაც განეულ იქნა საქმის სასამართლოში წარმოებისას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტომ, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის საოქმო განჩინებით შეჩერდა სააპელაციო საჩივრების განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანამდე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. მ-ი დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის მე-5 პუნქტით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის განჩინების გაუქმებას დამატებითი გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის შესახებ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა. მ-ის წარმომადგენლის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი იყო განცხადებები (შუამდგომლობები) ამავე სასამართლოს მიერ 2015 წლის 7 აპრილს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ. აღნიშნულ განცხადებებთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს არ უმსჯელია და შესაბამისად, განჩინებები არ მიუღია.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 261-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტა-

ნოს დამატებითი გადაწყვეტილება. სასამართლომ სსსკ-ის მე-7 მუხლის ანალოგიის გამოყენებით მიუთითა ამავე კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრების განხილვა უნდა შეჩერებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა სსსკ-ის 261-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები და მხოლოდ ზედპირულად შემოიფარგლა მისი განსაზღვრით. ასევე, სასამართლოს განჩინებით დაუსაბუთებელია მისი მიღების საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებაში მკაფიოდ და ცალსახადაა მსჯელობა მოსარჩელის მიერ დასმულ სადავო საკითხთან დაკავშირებით. სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის განხილვისას გამოთხოვილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 19 სექტემბრის ბრძანება, რომლის პრეამბულაშიც აღნიშნულია, რომ ბრძანება გამოცემულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 49-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ იმსჯელა სსსკ-ის 137-ე მუხლთან დაკავშირებულ გარემოებებთან მიმართებაში და დაასაბუთა, რატომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია. რაც შეეხება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს, აღნიშნული არ წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნას. შესაბამისად, არ არსებობს სსსკ-ის 261-ე მუხლით გათვალისწინებული დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი საოქმო განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული საოქმო განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო შემთხვევებს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ განსახილველი საქმის წარმოება მიუთითებული მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეაჩერა, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. ხოლო ამავე კოდექსის 281-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება შეჩერდება 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინ-

ნებულ შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული ადმინისტრაციული საქმის განხილვა შეუძლებლად მიიჩნია იმ საფუძველით, რომ მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე აპელანტი, ა. მ-ი დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის მე-5 პუნქტით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის განჩინების გაუქმებას დამატებითი გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის შესახებ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ აპელანტის, ა. მ-ის წარმომადგენლის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი იყო განცხადებები ამავე სასამართლოს 2015 წლის 7 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ 2015 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა სსსკ-ის 137-ე მუხლთან დაკავშირებულ გარემოებებთან მიმართებაში და დაასაბუთა, თუ რატომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია, ხოლო დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა არ წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნას, შესაბამისად, არ არსებობს მისი გამოტანის სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში ა. მ-ის წარმომადგენელს არა ერთი განცხადება (შუამდგომლობა) ჰქონდა წარდგენილი დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანისა და საკითხის განხილვის მხარეთა მონაწილეობით ზეპირი მოსმენის სხდომაზე განსახილველად დანიშვნის თაობაზე. აღნიშნულ განცხადებებთან დაკავშირებით კი თბილისის საქალაქო სასამართლოს არა აქვს ნამსჯელი და შესაბამისად, არც განჩინება მიღებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლზე, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებები და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლომ, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადა-

საცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. მოცემულ შემთხვევაში, ა. მ-ის მიერ წარდგენილ განცხადებებზე დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის თაობაზე, საქალაქო სასამართლოს არ უმსჯელია და არ მიუღია რაიმე სახის სასამართლო აქტი, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრების განხილვა უნდა შეჩერებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ დამატებითი გადანყვეტილების გამოტანამდე. რაც შეეხება მეორე საკითხს, სააპელაციო სასამართლომ, ასევე, სწორად მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 აპრილის დასაბუთებულ გადანყვეტილებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლთან დაკავშირებით მსჯელობა, ვერ შეცვლის საქმეში ა. მ-ის წარმომადგენლის მიერ წარდგენილი განცხადებებით (დამატებითი გადანყვეტილების მიღების მოთხოვნის ნაწილში) მოთხოვნილ მდგომარეობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, 261-ე მუხლებით, 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის საოქმო განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. დამატებითი გადაწყვეტილება

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები

ბანჩინება

№ბს-350-346(2კ-კს-16)

23 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 17 ოქტომბერს ვ. ც-ამ, ბ. ვ-ამ და სხვებმა (სულ 17 ფიზიკური პირი) სასარჩელო განცხადებით მიმართეს მარტვილის მაგისტრატ სასამართლოს, მოპასუხის – მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს მარტვილის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობიდან ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ნ. წ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას და ზ. ბ-ას გათავისუფლების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 18 სექტემბრის №223, №224, №226, №227, №229, №230, №231, №232, №233, №234, №235, №236, №237, №238, №240, №241, №242 ბრძანებების ბათილად ცნობა, მოსარჩელების მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლის ... თანამდებობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიულ ერთეულებში აღდგენა და მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება.

2014 წლის 24 ოქტომბერს ა. ს-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ა. გ-ას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიულ ორგანოებთან ... განყოფილების უფროსის თანამდებობიდან ა. ს-ას გათავისუფლების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014

წლის 24 სექტემბრის №329 ბრძანების ბათილად ცნობა, ა. ს-ას მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის გამგებლის წარმომადგენლებთან ... განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენა და მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე განაცდური ხელფასის სახით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით, ა. ს-ას სარჩელი განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა სენაკის რაიონულ სასამართლოს, სადაც მოპასუხე მხარედ მხოლოდ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა მიეთითა.

მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 7 ნოემბრისა და 5 დეკემბრის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ რ. წ-ა, ვ. გ-ა, ჯ. წ-ა, დ. ხ-ა, რ. ფ-ა, ბ. ო-ა, ზ. ქ-ა, ვ. გ-ა, ო. ბ-ი, შ. წ-ა, კ. გ-ა, ჯ. თ-ა, ბ. წ-ა, რ. ც-ა, მ. გ-ა, ზ. ქ-ი, ბ. გ-ა, დ. ს-ა.

მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის და 19 დეკემბრის გადაწყვეტილებებით ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. წ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას, ზ. ბ-ას და ა. ს-ას სარჩელები არ დაკმაყოფილდა.

მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ც-ამ, ბ. ვ-ამ, ხ. წ-ამ და სხვებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ს-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 თებერვლის განჩინებით გაერთიანდა აღნიშნული ადმინისტრაციული საქმეები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 12 მარტის განჩინებით ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. წ-ას და სხვათა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის და 19 დეკემბრის გადაწყვეტილებები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 12 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ც-ამ, ბ. ვ-ამ, ხ. წ-ამ და სხვებმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. წ-ს, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას, ზ. ბ-ას, ა. ს-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 12 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 10 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ გ. გ-ი, ე. კ-ა, გ. კ-ა, ბ. ჟ-ა, ა. ჯ-ა, კ. ჯ-ა და ს. კ-ი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის საოქმო განჩინებით გადაიღო სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. წ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას, ზ. ბ-ას და ა. ს-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის და 19 დეკემბრის გადაწყვეტილებები და საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. წ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას, ზ. ბ-ას და ა. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 18 სექტემბრის №223, №224, №226, №227, №229, №230, №231, №232, №233, №234, №235, №236, №237, №238, №240, №241, №242 და 2014 წლის 24 სექტემბრის №329 ბრძანებები ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. წ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას, ზ. ბ-ას მარტვილის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან, ხოლო ა. ს-ას მარტვილის მუნიციპალიტე-

ზე; მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. ნ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას, ზ. ბ-ას და ა. ს-ას სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის სახით – სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის სრულად ანაზღაურება მათზე უკვე გაცემული კომპენსაციის გათვალისწინებით; მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. ნ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას, ზ. ბ-ას და ა. ს-ას სასარგებლოდ მათ მიერ საადვოკატო მომსახურების სახით თითოეულზე 100 ლარის ანაზღაურება (სულ 1800 ლარი); მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. ნ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას, ზ. ბ-ას და ა. ს-ას სასარგებლოდ მათ მიერ ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურება თითოეულზე 14 (თოთხმეტი) ლარი (მინდობილობის გაფორმების თანხა) და სხვა ხარჯების სახით 100 ლარი.

2016 წლის 30 მარტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა ვ. ც-ას და სხვათა წარმომადგენელმა ი. პ-მა, რომელმაც სასამართლო ხარჯების მოპასუხეზე დაკისრების შესახებ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა მოითხოვა, იმ საფუძველით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით სრულად არ იყო გადაწყვეტილი აპელანტების მიერ ყველა მოთხოვნილი სასამართლოსგარეშე ხარჯების საკითხი, ამასთან, არ იყო სრულად შეჯამებული ინსტანციურობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, არ იქნა გადაწყვეტილი მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის სასამართლო ხარჯების დაკისრების საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი ვერ გახდებოდა სასამართლო ხარჯებისაგან მისი გათავისუფლების საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის დამატებითი განჩინებით ვ. ც-ას და სხვათა წარმომადგენლის ი. პ-ის შუამდგომლობა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დამატებითი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოტანილი, თუ ამ საქმეზე გამოტანილი ძირითადი გადაწყვეტილება არ შეიცავს პასუხს მხარის ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც მართალია, იყო განხილვის საგანი, მაგრამ სასამართლოს გამორჩა მხედველობიდან მიეღო გადაწყვეტილება ამ კონკრეტული მოთხოვნის მიმართ, ანუ რამდენიმე მოთხოვნიდან სასამართლომ არ იმსჯელა და გადაწყვეტილება არ გამოიტანა ერთ-ერთის მიმართ, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არის გადაწყვეტილების ის ნაწილი, სადაც კონკრეტულად მოცემულია, თუ რა გადაწყვეტა სასამართლომ განსახილველ საქმესთან მიმართებით. სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს დასკვნას სასარჩელო/სააპელაციო/საკაცო მოთხოვნების დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე გადაწყვეტილების/განჩინების/გასაჩივრების ვადასა და წესზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით აპელანტების ვ. ც-ას და სხვათა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. ნ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას, ზ. ბ-ას და ა. ს-ას სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე; ბათილად იქნა ცნობილი მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 18 სექტემბრის №223, №224, №226, №227, №229, №230, №231, №232, №233, №234, №235, №236, №237, №238, №240, №241, №242 და 2014 წლის 24 სექტემბრის №329 ბრძანებები შესაბამისი თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ და ისინი აღდგენილ იქნენ ამავე თანამდებობებზე. ამავე გადაწყვეტილებით მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობას აპელანტების სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი ხელფასის, საადვოკატო მომსახურებისა და სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურება.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორს რეალურად ჰქონდა შესაძლებლობა გაეკეთებინა ანალიზი იმის შესახებ, სახეზე იყო თუ არა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი, მაშინ როდესაც საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი ეხება მხოლოდ პროცესუალურ შემთხვევას და არა კონკრეტული საქმის ვითარების სამართლებრივ შეფასებას, რომლის გაანალიზება და არგუმენტირებული გასაჩივრებაც (სააპელაციო/საკასაციო წესით) შესაძლებელია მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს მითითებას აპელანტების მიერ სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით დაყენებული ყველა მოთხოვნის შესახებ, ხოლო მოპასუხეზე დაკისრებული თანხების ოდენობასთან დაკავშირებული პრეტენზიები წარმოადგენს დასახელებული გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების საგანს, რის გამოც არ არსებობდა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ვ. ც-ამ, ბ. ვ-ამ, ხ. ნ-ამ და სხვებმა (სულ 18 ფიზიკური პირი), რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვეს.

კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით სრულად არ იქნა გადაწყვეტილი აპელანტების მიერ ყველა მოთხოვნილი სასამართლოსგარეშე ხარჯების საკითხი. ამასთან, სასამართლოსგარეშე ხარჯები არ არის სრულად შეჯამებული ინსტანციურობის გათვალისწინებით, მათი გადაწყვეტა კი საპროცესო კანონის მიხედვით, სწორედ სააპელაციო სასამართლოს ვალდებულებას განეკუთვნება. გარდა აღნიშნულისა, არ გადაწყვეტილა მარტივლის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის სასამართლო ხარჯების დაკისრების საკითხი. წარდგენილი შუამდგომლობა კი უარყოფილ იქნა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ სააპელაციო პალატის შემაჯამებელი გადაწყვეტილება შეიცავს სადავო საკითხებზე მსჯელობას, ხოლო თუ სად, რომელ პუნქტში აისახა ის, სააპელაციო სასამართლო არ უთითებს გასაჩივრებულ განჩინებაში. კერძო საჩივრის ავტორების მითითებით, კანონმდებლობით დაცულია პროცესის მოგების შემთხვევაში მხარის მიერ განეული ხარჯების დაბრუნების შესაძლებლობა.

ამასთან, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილე-

ბა საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ც-ამ, ბ. ვ-ამ, ხ. ნ-ამ და სხვებმა (სულ 18 ფიზიკური პირი), რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს. კასატორები ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის საოქმო განჩინების გაუქმებას ითხოვენ, რომლითაც გადაიდო სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ჯ. თ-ამ, ზ. ქ-მა, ჯ. ნ-ამ და სხვებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 23 ივნისის განჩინებით ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. ნ-ას და სხვათა, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ჯ. თ-ას, ზ. ქ-ის, ჯ. ნ-ას და სხვათა საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის საოქმო განჩინება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. ნ-ას და სხვათა კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა აპელანტების – ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. ნ-ას და სხვათა შუამდგომლობა დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის თაობაზე იმ მოტივით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავდა მითითებას აპელანტების მიერ სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით დაყენებული ყველა მოთხოვნის შესახებ, ხოლო მოპასუხეზე დაკისრებული თანხების ოდენობასთან დაკავშირებული პრეტენზიები წარმოადგენდა დასახელებული გადანყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების საგანს.

თავის მხრივ კერძო საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადანყვეტილებით სრულად არ იქნა გადანყვეტილი აპელანტების მიერ ყველა მოთხოვნილი სასამართლოსგარეშე ხარჯების საკითხი, ხოლო არ გადანყვეტილა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის სასამართლო ხარჯების დაკისრების საკითხი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადანყვეტილებით აპელანტების ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. ნ-ას და სხვათა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადანყვეტილება ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. ნ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას, ზ. ბ-ას და ა. ს-ას სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე; ბათილად იქნა ცნობილი მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 18 სექტემბრის №223, №224, №226, №227, №229, №230, №231, №232, №233, №234, №235, №236, №237, №238, №240, №241, №242 და 2014 წლის 24 სექტემბრის □329 ბრძანებები შესაბამისი თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ და მოსარჩელები აღდგენილ იქნენ ამავე თანამდებობებზე. ამავე გადანყვეტილებით მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობას აპელანტების სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი ხელფასის, საადვოკატო მომსახურებისა და სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის საფუძვლებზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადანყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინი-

ციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გა-
დანყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც
მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-გან-
მარტებანი, გადანყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს,
რომელმაც გადანყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გა-
დასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედე-
ბა, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ
გადაუნყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სა-
სამართლოს მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვე-
ვაში სახეზე არ არის დამატებითი გადანყვეტილების გამოტა-
ნის წინაპირობები, სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 24
მარტის გადანყვეტილებით იმსჯელა აპელანტების მიერ სადა-
ვოდ ქცეულ ყველა საკითხზე, გადანყვეტილების სამოტივაციო
ნაწილი შეიცავს დასაბუთებას პროცესის ხარჯების განაწილე-
ბის თაობაზე, ხოლო სარეზოლუციო ნაწილი – მითითებას აღ-
ნიშნული ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, სა-
სამართლოსგარეშე ხარჯების ოდენობასა და მარტვილის მუ-
ნიციპალიტეტის გამგეობისთვის სასამართლო ხარჯების დაკის-
რების საკითხთან დაკავშირებით კერძო საჩივრის ავტორების
პრეტენზიები კი სცილდება დამატებითი გადანყვეტილების გა-
მოტანის ფარგლებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარ-
ტის გადანყვეტილება პროცესის ხარჯების ნაწილში, ასევე, სა-
კასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ც-ამ, ბ. ვ-ამ, ხ. წ-ამ და სხვებმა
(სულ 18 ფიზიკური პირი), რომლებმაც გასაჩივრებული გადან-
ყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის
სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს. ხოლო საკასაციო სასა-
მართლომ 2016 წლის 23 მაისის განჩინებით დაუშვებლად მიიჩ-
ნია ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. წ-ას და სხვათა საკასაციო საჩივარი.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ც-
ას, ბ. ვ-ას, ხ. წ-ას და სხვათა კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და
არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებუ-
ლი განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-
2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის
419-ე, 420-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. წ-ას და სხვათა კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილება სასამართლო სარჩავის განაწილებასთან დაკავშირებით

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-297-295(კ-16)

7 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განცხადების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 15 დეკემბერს ვ. ა-ემ სარჩელით მიმართა რუსთავეის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო და საგამოცდო მომსახურების სამმართველოს 2014 წლის 20 ოქტომბრის MIA 8 14 ... ადმინისტრაციული აქტის, სსიპ საქართველოს ში-

ნაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 5 დეკემბრის MIA 1 14 ... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და „მერსედეს ბენც ...“ VIN: ...-ის ავტომანქანაზე სამომავლო ქონების გირავნობის რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 იანვრის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე მესამე პირებად ჩაებნენ სს „... ბანკი“ და შპს „დ..“.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ვ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ა-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო და საგამოცდო სამსახურების სამმართველოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – 2014 წლის 20 ოქტომბრის MMIA 8 14 ... წერილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – 2014 წლის 5 დეკემბრის MMIA 1 14 ... გადაწყვეტილება; მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დაევალა სამომავლო ქონების გირავნობის რეგისტრაციის გაუქმება მოსარჩელის – ვ. ა-ის კუთვნილ ავტომანქანაზე – „მერსედეს ბენც ...“ (საიდენტიფიკაციო მონაცემები: ...).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახუ-

რების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილების ასლი სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ჩაბარდა 2016 წლის 30 ნოემბერს.

2016 წლის 5 დეკემბერს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომლითაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. სახელმწიფო ბაჟი წარმოადგენს სასამართლო ხარჯებს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რო-

მელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას; ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილ №06779 საგადახდო მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, კასატორს – სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარზე 2016 წლის 30 მარტს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს – 300 ლარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულების გათვალისწინებით, ვ. ა-ეს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ საკასაციო საჩივარზე 2016 წლის 30 მარტს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 300 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. ვ. ა-ეს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ საკასაციო საჩივარზე 2016 წლის 30 მარტს სახელმწიფო ბუჟის სახით გადახდილი – 300 ლარის ანაზღაურება;

3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. გად ა ნ ყ ვ ი ტ ი ლ ა ბ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ბ ა

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ი ლ ა ბ ი ს ს ა რ ა ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ბ ი ს ს ა ზ უ შ კ ვ ე ლ ი

გ ა ნ წ ი ნ ე ბ ა

№ბს-203-199(კს-15)

22 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 6 მარტს ი. შ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს, რ. ჭ-ის, მ. ი-ის, მ. ს-ის, მ. კ-ისა და ს. ტ-ის მიმართ.

მოსარჩელემ მის სასარგებლოდ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმე-

რეთის სამხარეო სამმართველოსა და ს. ტ-ისთვის მატერიალური ზიანის სახით 1800 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრება და რ. ჭ-ის, მ. ი-ის, მ. ს-ისა და მ. კ-ისთვის მორალური ზიანის სახით 20 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

2013 წლის 25 მარტის განცხადებით მოსარჩელემ მოპასუხეებზე ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და ნაცვლად 20 000 ლარისა მის სასარგებლოდ სიმბოლურად 1999 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის განჩინებით ი. შ-ეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა ი. შ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოთხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის განჩინებით ი. შ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის განჩინება და საქმე ი. შ-ის სარჩელის წარმოებაში მიღების სტადიიდან იმავე სასამართლოს დაუბრუნდა.

2013 წლის 15 ოქტომბრის განცხადებით ი. შ-ემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეთა წრე და საქმეში მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოპასუხედ საქართველოს მთავარი პროკურატურა მიუთითა; ხოლო მოპასუხეებისთვის – საქართველოს მთავარი პროკურატურის, რ. ჭ-ის, მ. ი-ის, მ. ს-ისა და მ. კ-ისთვის მის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 22 000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხე შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს ნაცვლად სათანადო მოპასუხედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაერთო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 1 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ს. ტ-ს ი. შ-ის სასარგებლოდ 1800 აშშ დოლარის სოლიდარულად ანაზღაურება დაეკისრა; მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიან-

ნის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. შ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის 1800 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის 1800 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში ი. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ი. შ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ი. შ-ის სარჩელის უარყოფის ნაწილში – დარჩა უცვლელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. შ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

2014 წლის 3 ივლისის განცხადებით მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ს. ტ-ისთვის მის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით 1800 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრება და საქართველოს მთავარი პროკურატურის, რ. ჭ-ის, მ. ი-ის, მ. ს-ისა და მ. კ-ისთვის 2800 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 სექტემბრის განჩინებით ი. შ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.

ი. შ-ემ 2014 წლის 23 დეკემბერს განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის განმარტება მოითხოვა.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით, მართალია, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 1800 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში, მაგრამ 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოვალედ ცნობილი ს. ტ-ი, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად სოლიდარულად დაეკისრა – 1800 აშშ დოლარის ი. შ-ის სასარგებლოდ ანაზღაურება. განმცხადებლის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია, რადგან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ი. შ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას არ უნდა გამოენდია მის სასარგებლოდ – 900 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულებისაგან ს. ტ-ის გათავისუფლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით ი. შ-ის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების განმარტების პროცესუალური აუცილებლობა არსებობს მაშინ, როცა გადაწყვეტილების შინაარსი ბუნდოვანია, რითაც ფერხდება მისი აღსრულება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება იმ მიმართებით, რასაც განმცხადებელი ითხოვს – სასამართლომ სოლიდარულ მოვალედ მიუთითოს ს. ტ-ი და დააკისროს მას ი. შ-ის სასარგებლოდ 900 აშშ დოლარის გადახდა – ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით განსაზღვრულ გადაწყვეტილების განმარტების მიზანს, რადგან ს. ტ-ისათვის ი. შ-ის სასარგებლოდ თანხის დაკისრების საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით არ გადაწყვეტილა. ამდენად, არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ი. შ-ის განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. შ-ემ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და გადაწყვეტილების ხელახალი განმარტების მიზნით სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება ან გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული რა ბედი ეწია მოვალე ს. ტ-ისათვის მის სასარგებლოდ დაკისრებულ თანხას (900 აშშ დოლარი), რადგან სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სოლიდარულად დაკისრებული თანხის 1800 დოლარის დაკისრების ნაწილში, ხოლო ს. ტ-ისათვის დაკისრებული – 900 დოლარის გადახდევინება, როგორ უნდა განხორციელდეს ბუნდოვანია, რაც კერძო საჩივრის ავტორის აზრით წარმოადგენს გადაწყვეტილების განმარტების საფუძველს.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. შ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ აღნიშნული კოდექსით სხვა წესი არ არის დადგენილი, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. ამდენად, გადაწყვეტილების განმარტების საფუძველი არის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანობა, ხოლო განმარტების მიზანი – მისი აღსრულების უზრუნველყოფა. გადაწყვე-

ტილების განმარტება არის მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ს. ტ-ს სოლიდარულად დაეკისრათ ი. შ-ის სასარგებლოს 1800 აშშ დოლარის ანაზღაურება; მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 1800 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში ი. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ი. შ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ი. შ-ის სარჩელის უარყოფის ნაწილში – დარჩა უცვლელი. სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 27 იანვრის განჩინებაში მიუთითა, რომ 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება იმ მიმართებით, რასაც განმცხადებელი ითხოვს – სასამართლომ სოლიდარულ მოვალედ მიუთითოს ს. ტ-ი და დააკისროს მას ი. შ-ის სასარგებლოდ 900 აშშ დოლარის გადახდა – ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით განსაზღვრულ გადაწყვეტილების განმარტების მიზანს, რადგან ს. ტ-ისათვის ი. შ-ის სასარგებლოდ თანხის დაკისრების საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით არ გადაწყვეტილა, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა არ მოითხოვდა განმარტებას.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში იმსჯელა ს. ტ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად სოლიდარულად დაკისრებული მთლიანი თანხის – 1800 აშშ დოლარის დაკისრების კანონიერებაზე, მაგრამ აღნიშნულმა ასახვა ვერ ჰპოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილ-

ში. ამდენად, მხარისათვის ბუნდოვანი გახდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რაც გადაწყვეტილების განმარტების საფუძველს ქმნის.

გადაწყვეტილების განმარტების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად სასამართლო უთითებს, აგრეთვე იმას, რომ ს. ტ-ისათვის ი. შ-ის სასარგებლოდ თანხის დაკისრების საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით არ გადაწყვეტილა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის ეს მოსაზრება დაუსაბუთებელია და არ ემყარება საქმის მასალებს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 1800 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში ი. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ არის მითითებული ს. ტ-ის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნის შედეგი, რამაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება გამოიწვია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, კერძოდ, სასამართლოს განმარტების თაობაზე მიმართა მხარემ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია, ამასთან გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული, ასევე, არ არის გასული ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოებების გამო, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განემარტა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, რის გამოც ი. შ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და განცხადება ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. შ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 იანვრის განჩინება და განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განჩინების განმარტების წინაპირობები

განჩინება

№ბს-638-631(3კს-15)

10 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: განჩინების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 7 ნოემბერს მ. ბ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2014 წლის 6 ოქტომბრის №02/01-11/26774 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ასევე საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფი-

ლებაზე უარის თქმის შესახებ აქტების (გადაწყვეტილებების) ბათილად ცნობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის ქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ, მ. ბ-ას ოჯახისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული №5 დანართით დადგენილი სოციალური კრიტერიუმის გათვალისწინებით ქულის მინიჭებისას დაბალი შემოსავლის მაჩვენებლით ქულის მინიჭება, საბოლოოდ, ოჯახის შეფასების მაჩვენებლად დაბალი შემოსავლის მაჩვენებლის 1 ქულით, სოციალური სიღარიბის კრიტერიუმში 3 ქულით განსაზღვრა და ქალაქ ფოთში, ... დასახლებაში მდებარე ობიექტზე მ. ბ-ას ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დავალება. ამასთან, მოსარჩელემ იშუამდგომლა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად რო. ბ-ას, რ. ბ-ას, ლ. ბ-ას, ლ. ნის, თ. ბ-ას, ა. ბ-ასა და ე. ბ-ას ჩაბმის შესახებ.

მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად მოითხოვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 6 ოქტომბრის №02/01-11/26774 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქალაქ ფოთში, ... მდებარე ობიექტზე მ. ბ-ასა და მისი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დავალება, ასევე, მოსარჩელის მიერ განეული პროცესის ხარჯების – წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი ორი დოკუმენტის სანოტარო წესით გაფორმებისათვის 24 (12X2) ლარის, მგზავრობის ხარჯის – სულ 86 ლარის, საფოსტო მომსახურების ხარჯის – 6,4 (3,2X2) ლარის, ადვოკატის დახმარებისათვის 2000 ლარის ანაზღაურების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ რო. ბ-ა, რ. ბ-ა, ლ. ბ-ა, ლ. ნ-ე, თ. ბ-ა, ა. ბ-ა და ე. ბ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 6 ოქტომბრის №02/01-11/26774 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. ბ-ას ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მ. ბ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ განეული პროცესის ხარჯის ანაზღაურება 116,4 ლარის ოდენობით; ხოლო ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი პუნქტის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მ. ბ-ას სარჩელის სრულად დაკმაყოფილება; გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის გაუქმება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 6 ოქტომბრის 92/01-11/26774 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის გაუქმება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა ადვოკატის მომსახურების ხარ-

ჯის ანაზღაურებაზე და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 2000 ლარის სრულად ანაზღაურება. აპელანტმა ასევე მოითხოვა სააპელაციო სასამართლოში ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 2400 ლარის ანაზღაურების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრება მ. ბ-ას სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 8 ივნისის №894 ბრძანება, რომლის თანახმად, ქ. ფოთში, ... ქ. №7-ში მდებარე, რეაბილიტირებულ შენობაში და ..., ახალ დასახლებაში, ... და ... ქუჩებზე არსებულ კორპუსებში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბინებით უზრუნველყოფილ იქნენ დევნილთა ოჯახები თანდართული დანართის შესაბამისად. ბრძანებაზე დართული დანართის თანახმად, მ. ბ-ა ოჯახის წევრებთან ერთად – რო. ბ-ა, ლ. ბ-ა, თ. ბ-ა, რ. ბ-ა, ლ. ნ-ე, ე. ბ-ა, ა. ბ-ა, დაკმაყოფილებულ იქნენ საცხოვრებელი ფართით ქ. ფოთში, აღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელმა იშუამდგომლა დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; მოცემული საქმის წარმოება შეწყდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მ. ბ-ას სასარგებლოდ დაეკისრა პროცესის ხარჯების ანაზღაურება 116,4 ლარის ოდენობით; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მ. ბ-ას სა-

სარგებლოდ დაეკისრა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 1000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 6 ოქტომბრის №02/01-11/26774 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც მოხდებოდა მ. ბ-ასა და მისი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ქალაქ ფოთში, ...-ში მდებარე ობიექტზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე ცხადი იყო, რომ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მდგომარეობდა იმაში, რომ მოსარჩელეს სურდა სარჩელის დაკმაყოფილების გზით მოეპოვებინა საცხოვრებელი ფართი ქ. ფოთში, ... მდებარე შენობაში. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა მ. ბ-ასა და მისი ოჯახის ნევრების გრძელვადიანი ფართით უზრუნველყოფა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი, დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 8 ივნისის №894 ბრძანება, რომლის თანახმად მ. ბ-ა ოჯახის სხვა ნევრებთან ერთად დაკმაყოფილებულ იქნა საცხოვრებელი ფართით, ქმნიდა ფაქტობრივ საფუძველს იმისათვის, რომ მ. ბ-ა და მისი ოჯახი მიჩნეულ ყოფილიყვნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საცხოვრებელი უზრუნველყოფილ პირებად, რასაც პროცესუალური შედეგის სახით უკავშირდებოდა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ დავის საგნის არარსებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის აბსოლუტური საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პროცესის ხარჯები უნდა გადანაწილებულიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, რომლის მიხედვით, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ განეულ ხარჯებს მოპასუხე არ ანაზღაურებს, მაგრამ თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ განეული ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო განეული ყველა ხარჯის ანაზღაურებას.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული იყო შემდეგი ხარჯი: წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი ორი დოკუმენტის სანოტარო წესით გაფორმებისას 24 (12X2) ლარი, მგზავრობაზე – 86 ლარი, საფოსტო მომსახურებაზე – 6,4 (3,2X2) ლარი, ანუ ჯამში 116,4 ლარი. აღნიშნული თანხის ანაზღაურება სრულად უნდა დაკისრებოდა მოპასუხე მხარეს მოსარჩელე მ. ბ-ას სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს, ასევე, უნდა ანაზღაურებოდა ადვოკატის დახმარებისათვის, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ისე სააპელაციო სასამართლოში განეული ხარჯი, რადგან დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე ორივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სარგებლობდა ადვოკატის მომსახურებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, ადვოკატის მომსახურებისათვის მოსარჩელის მიერ განეული ხარჯის ასანაზღაურებლად, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებისათვის 500-500 ლარის (სულ 1000 ლარი) ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ბ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა კერძო საჩივრის ზეპირი მოსმენითა და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში განხილვის, ხოლო კერძო საჩივრის მხარეთა მონაწილეობის გარეშე განხილვის დადგენის შემთხვევაში, განხილვის თარიღზე მისი ავტორის ან/და მისი წარმომადგენლის ინფორმირებისა და კერძო საჩივრის საკასაციო სასამართლოში განხილვის გამო სამინისტროსათვის ადვოკატის

ხარჯის – 2400 ლარის დაკისრების თაობაზე.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალება, ხოლო სააპელაციო პალატამ მოპასუხის მხრიდან მხოლოდ ახალი აქტის გამოცემის საფუძვლით შეწყვიტა საქმის წარმოება და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აქტის ბათილად ცნობის ნაწილშიც გააუქმა. მოსარჩელე მხარეს კი, გააჩნდა ინტერესი აქტის ბათილად ცნობის მიმართ, რადგან მოსარჩელეს მოპასუხის უკანონო მოქმედებით მიაღდა ზიანი.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მასზე, რომ მოპასუხემ დავის მიმდინარეობის პროცესში გამოსცა აქტი მოსარჩელის ბინით უზრუნველყოფის შესახებ, დაუსაბუთებელი იყო, რადგან საქმეში არსებული მინისტრის ბრძანების ქსერო-ასლით და მასზე დართული დანართებით ეს არ დგინდებოდა. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელისა და მესამე პირების წინაშე მოპასუხეს ბრძანებით გათვალისწინებული რეალური მოქმედებები არ განუხორციელებია, დაუშვებელი იყო დავის გადაწყვეტა დავის საგნის არარსებობის პროცესუალური საფუძვლით. დანართით არ ვლინდებოდა ამ დანართის წარმომავლობა, რომელი დოკუმენტის დანართ ცხრილს წარმოადგენდა იგი. მინისტრის ბრძანების ასლისა და მისი დანართების ავთენტურობა სადავოდ გახადა აქვლანტმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მას მტკიცებულების ძალა მიანიჭა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, დავის საგნის არარსებობის საფუძვლით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მსჯელობა დაუსაბუთებელი იყო, ასევე, იმის გამო, რომ მხოლოდ მინისტრის ბრძანების გამოცემა საკმარისი არ იყო. თუ ამ ბრძანების მიზნების აღსრულება შეუძლებელი იქნებოდა, მიზნის მიუღწევადი, არააღსრულებადი აქტის გამოცემა ვერ ჩაითვლებოდა აქტის გამოცემად. მოპასუხეს სანივთო უფლების გადაცემა აქტის გამოცემით უნდა განუხორციელებინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოსარჩელის სახელზე უძრავი ქონების გადაცემით. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით კი, მოსარჩელე ვერ შეძლებდა სანივთო უფლების თვითონ მოპოვებას.

კერძო საჩივრის ავტორმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებლად მიიჩნია, ასევე, ადვოკატის მომსახურების ხარჯების ნაწილშიც. იმ პირობებში, როდესაც საქმეზე

განხორციელდა მიღწევადი მიზნის მქონე მოთხოვნების დაყენება, სრულიად უსამართლოა და საადვოკატო ბაზარზე არსებულ ფასებს არ შეესაბამება ის მოცულობა, რაც დაადგინა სააპელაციო სასამართლომ. სააპელაციო სასამართლომ არ გადანყვიტა სააპელაციო ინსტანციაში აპელანტის მიერ დაყენებული სხვა საპროცესო ხარჯების საკითხი და მასზე გადანყვიტებაც არ მიუღია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინება მ. ბ-ას სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 1000 ლარის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის გაუქმება და აპელანტისათვის ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განმარტებით, აპელანტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ვერანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატისათვის თანხის გადახდის ფაქტს და ამ თანხის ოდენობას. არცერთი ინსტანციის სასამართლოში არ ყოფილა წარდგენილი არანაირი მტკიცებულება, რომ ასეთის გადახდა სამომავლოდ მაინც უნდა მომხდარიყო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (საქმის განხილვის დროს მოქმედი რედაქცია) თუ მხარე გადახდისუუნაროა და საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, ამ საქმის განხილვაში ადვოკატის მონაწილეობა მიზანშეწონილია, სასამართლოს უფლება აქვს, აღნიშნული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹-ე მუხლით დადგენილ ფარგლებში დანიშნოს ადვოკატი სახელმწიფო ხარჯზე.

2015 წლის 8 სექტემბერს მ. ბ-ამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას 2015 წლის 22 ივლისის განჩინების განმარტებასთან დაკავშირებით. მ. ბ-ამ მოითხოვა სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად განმარტებულიყო, სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 ივლისის განჩინებით პირველი ინსტანციის

სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა მ. ბ-ასთან მიმართებაში, თუ ის გაუქმდა მხარის უფლებით აღჭურვილი აუცილებელი მოწვევის მესამე პირების მიმართაც (რომლებსაც არ გაუსაჩივრებიათ სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 სექტემბრის განჩინებით მ. ბ-ას შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ბ-ამ, რომელმაც აღნიშნული განჩინების სრულად გაუქმება და საქმის განმხილველი სააპელაციო პალატის შემადგენლობისათვის ამავე შუამდგომლობის განხილვის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა კერძო საჩივრის ზეპირი მოსმენისა და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში განხილვის, ხოლო კერძო საჩივრის მხარეთა მონაწილეობის გარეშე განხილვის დადგენის შემთხვევაში, განხილვის თარიღზე მისი ავტორის ან/და მისი წარმომადგენლის ინფორმირებისა და კერძო საჩივრის საკასაციო სასამართლოში განხილვის გამო სამინისტროსათვის ადვოკატის ხარჯის – 2400 ლარის დაკისრების თაობაზე.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ბ-ასთან ერთად გავრცელდა მესამე პირებზეც, შესაბამისად, ისინი სამინისტროს მიმართ აღიჭურვნენ მოთხოვნის უფლებით. აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა არც მოპასუხის და არც მესამე პირების მიერ. შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეიძინა კანონიერი ძალმოსილება მოპასუხისა და მოსარჩელის მხარეზე ჩაბმული მესამე პირების მიმართ. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით სრულად გაუქმდა საქმეზე მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ნაცვლად მხოლოდ მ. ბ-ას ნაწილში გაუქმებისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით მ. ბ-ასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კერძო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში და დად-

გინდა მათი ზეპირი მოსმენით განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე დადგინდა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ბ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 6 ოქტომბრის №02/01-11/26774 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. ბ-ას ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი პუნქტის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მ. ბ-ას სარჩელის სრულად დაკმაყოფილება; გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის გაუქმება

და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 6 ოქტომბრის 92/01-11/26774 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის გაუქმება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 2000 ლარის სრულად ანაზღაურება. აპელანტმა ასევე მოითხოვა სააპელაციო სასამართლოში ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 2400 ლარის ანაზღაურების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრება მ. ბ-ას სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელმა წარადგინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 8 იანვრის №894 ბრძანება დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ, რომლითაც დადგინდა ქ. ფოთში, ... ქ. №7-ში მდებარე რეაბილიტირებულ შენობაში და ..., ახალ დასახლებაში, ... და ... ქუჩებზე არსებულ კორპუსებში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბინებით დევნილთა ოჯახების უზრუნველყოფა თანდართული დანართის შესაბამისად. ამავე ბრძანებით დევნილთა საკითხების დეპარტამენტს დაევალა შესაბამისი ცვლილებების შეტანა მონაცემთა ბაზაში და დევნილთა ოჯახების განსახლების განხორციელება. წარდგენილი დანართის თანახმად, მ. ბ-ა ოჯახის წევრებთან ერთად დაკმაყოფილებულ იქნა ქ. ფოთში, ..., ... ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ფართით.

აღნიშნულის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემული საქმის წარმოება შეწყდა დავის საგნის არარსებობის მოტივით.

აპელანტმა – მ. ბ-ამ სააპელაციო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინების განმარტების თაობაზე, კერძოდ, მან მოითხოვა განჩინების სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად განმარტების გაკეთება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება გაუქმდა მ. ბ-ასთან მიმართებაში, ასევე, მესამე პირების მიმართაც, რომლებსაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინების განმარტების ფაქტობრივი წანამძღვრები, რამდენადაც განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ იყო ბუნდოვანი და შესაბამისად, განჩინების აღსრულებას ხელი არ შეეშლებოდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას განჩინების განმარტებაზე უარის თქმის შესახებ, რომ სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის აღსრულებას, გასაჩივრებულ განჩინებასთან მიმართებაში სახეზე არ არის. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება და საქმის წარმოება შეწყდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება დაიშვება მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ამასთან, გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად და იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. გადაწყვე-

ტილებს განმარტება მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა. გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში განიმარტება, როდესაც მისი შინაარსი არის ბუნდოვანი, გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივი. გაურკვეველობა უნდა ეხებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობაა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვნება. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტების მიცემაში პრიორიტეტულია არა მხარის სურვილი, მოისმინოს მიღებული გადაწყვეტილების დამატებითი არგუმენტები, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვნება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი და შესაბამისად, იგი არ საჭიროებს განმარტებას. მოცემულ შემთხვევაში ასევე დაუსაბუთებელია გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა.

ამდენად, მ. ბ.-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 სექტემბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ბ.-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადანყვეტილების განმარტების წინაპირობები

განჩინება

№ბს-832-824(კს-15)

18 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: გადანყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 3 თებერვალს ლ. ხ-ემ და ლ. პ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელებმა ლ. ხ-ისა და ლ. პ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 3 იანვრის №1/კ-8 და №1/კ-5 ბრძანებების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მოსამსახურეთა შერჩევის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული კომისიის სხდომის 2013 წლის 20 დეკემბრის №3 ოქმის ბათილად ცნობა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ხელახალი კონკურსის გამორცხადების დავალება და მოპასუხისთვის მატერიალური და მორალური ზიანის – თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ 2500-2500 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ხ-ისა და ლ. პ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. ხ-ემ და ლ. პ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით ლ.

ხ-ის და ლ. პ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ლ. ხ-ის და ლ. პ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 3 იანვრის №1/კ-8 და №1/კ-5 ბრძანებები ლ. ხ-ისა და ლ. პ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მოსამსახურეთა შერჩევის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული კომისიის სხდომის 2013 წლის 20 დეკემბრის №3 ოქმი ლ. ხ-ის და ლ. პ-ის ნაწილში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლ. ხ-ისა და ლ. პ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა წინამდებარე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის კანონით დადგენილ ერთ თვიან ვადაში; სარჩელის მოთხოვნა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ივლისის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუმეზღად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება.

2015 წლის 27 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის №3ბ/1413-14 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის

მე-4 და მე-5 პუნქტების განმარტება მოითხოვა.

განმცხადებლის მოსაზრებით, ბუნდოვანია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 3 იანვრის №1/კ-8 და №1/კ-5 ბრძანებები ლ. ხ-ისა და ლ. პ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. განმცხადებლის მითითებით, სადავო ბრძანებების გამოცემა არ უკავშირდება კონკურსის შედეგებს. აღნიშნული ბრძანებების გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ იმ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს და რომელზედაც დანიშნულია დროებითი მოვალეობის შემსრულებელი, პირი კონკურსის წესით უნდა დაინიშნოს 2014 წლის 1 ივლისამდე. ხოლო, კონკურსის წესით შესავსებ სხვა თანამდებობაზე, რომელზედაც დანიშნულია დროებითი მოვალეობის შემსრულებელი – 2014 წლის 1 იანვრამდე. ამდენად, მოსარჩელებს კონკურსში მონაწილეობა რომც არ მიეღოთ ან კონკურსი მათთვის წარმატებულად დასრულებულიყო, მათი გათავისუფლების ბრძანებები მაინც გამოიცემოდა იმავე საფუძვლებით. 2014 წლის 3 იანვრისათვის აღარ არსებობდა მოსარჩელების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად დატოვების სამართლებრივი საფუძველი.

განმცხადებელია ასევე, ბუნდოვნად მიიჩნევს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტს, რომლითაც სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მოსამსახურეთა შერჩევის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული კომისიის სხდომის 2013 წლის 20 დეკემბრის №3 ოქმი ლ. ხ-ის და ლ. პ-ის ნაწილში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლ. ხ-ისა და ლ. პ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა წინამდებარე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის კანონით დადგენილ ერთ თვიან ვადაში. განმცხადებლის მითითებით, ლ. ხ-ის და ლ.

პ-ის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას ხელახალი კონკურსის გამოცხადება წარმოადგენდა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით არ ჩანს სასამართლოს გადაწყვეტილება (პოზიცია) აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონკურსი ცხადდება, მხოლოდ, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით ბათილად იქნა ცნობილი კომისიის სხდომის 2013 წლის 20 დეკემბრის №3 ოქმი მხოლოდ ლ. ხ-ის და ლ. პ-ის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს 262-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების განმარტების პროცესუალური წინაპირობა, რადგან მითითებული ნორმა სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას განმარტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს სასამართლოს მიერ მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განმარტების წესსა და პირობებს და სასამართლოს ამგვარ უფლებამოსილებას ანიჭებს იმ პირობების არსებობისას, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები, შესაბამისად, გადაწყვეტილების განმარტება ემსახურება მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზანს. ამასთან, გადაწყვეტილების განმარტებისას არ უნდა იქნეს შეცვლილი კანონიერ ძალაში შესული და განმარტებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და განმარტების საგანს უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ გადაწყვეტილების შინაარსი, ამასთან განმარტების აუცილებლობა არსებობს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანობის შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი და შესაბამისად, იგი არ საჭიროებს დამატებით განმარტებას სასამართლოს მხრიდან, მისი დასაბუთება მოცემულია ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი სავსებით ცხადია. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტებამ შესაძლებელია შეცვალოს მისი შინაარსი, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დაუშვებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს განჩინება; გასაჩივრებული განჩინებიდან არ ჩანს თუ რის გამო არ დაკმაყოფილდა განცხადება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ბუნდოვანია გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს განმარტება – „გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტებამ შესაძლებელია შეცვალოს მისი შინაარსი, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დაუშვებელია“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 დეკემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი და იგი არ საჭიროებს დამატებით განმარტებას სასამართლოს მხრიდან, მისი დასაბუთება მოცემულია ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი სავსებით ცხადია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას სადავო საკითხის მიმართ და აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები, ხოლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი, იგი ცალსახად შეიცავს მითითებას ლ. ხ-ისა და ლ. პ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 3 იანვრის №1/კ-8 და №1/კ-5 ბრძანებების ბათილად ცნობის, ლ. ხ-ის და ლ. პ-ის ნაწილში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მოსამსახურეთა შერჩევის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებუ-

ლი კომისიის სხდომის 2013 წლის 20 დეკემბრის №3 ოქმის სა-
დავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად ცნობისა და საქარ-
თველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის ლ.
ხ-ისა და ლ. პ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების შესახებ.
გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან ნათლად გამომ-
დინარეობს სასამართლოს ნება, რაც დასაბუთებულია ამავე გა-
დაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სა-
რეზოლუციო ნაწილი არ შეიცავდა ბუნდოვან დებულებებს, ხო-
ლო ის გარემოება, თუ რა მექანიზმების გამოყენებით უნდა მოხ-
დეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება
და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მი-
ერ ლ. ხ-ისა და ლ. პ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მოხდება ეს შესაბა-
მისი პროცედურების დაცვით ახალი საშტატო ერთეულის დაშვე-
ბით, თუ ხელახალი კონკურსის გამოცხადებით, აღნიშნული ად-
მინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს განეკუთვნება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
მიერ ლ. ხ-ისა და ლ. პ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავში-
რებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასმული საკითხები
სცილდება გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე თავისი
არსით გადაწყვეტილების რევიზიას გულისხმობს, აკრიტიკებს
სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და
ითხოვს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეცვლას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად,
კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები
(განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე, თავისი უფლებამო-
სილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული
მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართვე-
ლოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებ-
რივი თუ კერძო სანარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგა-
ნიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და
ისინი უნდა შესრულდეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართვე-
ლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კერძო საჩი-
ვარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას თბილისის სა-

აპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობების არსებობის თაობაზე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს ბუნდოვანებას, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გადაწყვეტილების განმარტების შესახებ
განცხადების დასაშვებობის წინაპირობები**

განჩინება

№ბს-246-244(კს-16)

15 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.11.2004 წ. გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამ 15.02.2002წ.

სარჩელით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების პ. მ-ის, ი. მ-ისა და ე. გ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა, საბინაო კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად, სადავო ფართზე პ. და ი. მ-ების უფლებადაკარგულად ცნობა, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ კანონის მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად, მათი რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ასევე სადავო ბინიდან ე. გ-ის გამოსახლება მასთან მცხოვრებ პირებთან ერთად.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 02.05.2002წ. გადაწყვეტილებით თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, პ. და ი. მ-ები ცნობილი იქნენ თბილისში, ... №363-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის №29 ბინაზე უფლებადაკარგულად და მოიხსნენ აღნიშნული ბინის რეგისტრაციიდან, ბინიდან ე. გ-ის გამოსახლების შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით საქმის წარმოება შეწყდა აღნიშნულ საკითხზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ი. მ-ის წარმომადგენლის ტ. მ-ას მიერ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 18.12.2003წ. გადაწყვეტილებით, ი. მ-ის წარმომადგენლის ტ. მ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. მ-ის წარმომადგენელმა ტ. მ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 28.07.2004წ. განჩინებით ი. მ-ის წარმომადგენლის ტ. მ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.11.2004წ. გადაწყვეტილებით ი. მ-ის წარმომადგენლის ტ. მ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 02.05.2002წ. გადაწყვეტილება გაუქმდა გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში სააპელაციო პალატის მიერ მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის სარჩელი დაკმაყოფილდა: ა) თბილისში, ... №363/29-ში მდებარე საც-

ხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა, ბ) პ. და ი. მ-ები თბილისში, ... №363/29-ში, მდებარე ფართზე ცნობილი იქნენ უფლებადაკარგულად და ამ ფართზე გაუქმდა მათი რეგისტრაცია.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ი. მ-ის წარმომადგენელმა ტ. მ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 30.03.2005წ. განჩინებით ი. მ-ის წარმომადგენლის ტ. მ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

21.12.2015 წ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ტ. მ-ამ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.11.2004 წ. გადაწყვეტილების მესამე პუნქტის ბოლო წინადადების განმარტება. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის ო-ის რაიონის აღმასკომის 15.06.1977 წ. გაცემული ორდერის საფუძველზე პ. მ-მა დაიკავა თბილისში, ... №363/29-ში საცხოვრებელი ფართი, სადაც ცხოვრობდა მეუღლესთან – ტ. მ-ასთან და შვილთან – ი. მ-თან ერთად. ამასთანავე, 15.06.1977წ. ორდერი გაცემული იყო პ. მ-ის ოჯახზე, ორდერში მოხსენიებული იყო თვითონ ტ. მ-აც.

განმცხადებელი მიუთითებს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.11.2004 წ. კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ი. მ-ის წარმომადგენლის ტ. მ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 02.05.2002 წ. გადაწყვეტილება გაუქმდა გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის სარჩელი, შეწყვეტილ იქნა თბილისში, ... №363/29-ში საცხოვრებელ ბინაზე პ. მ-თან დადებული ქირავნობის ხელშეკრულება, პ. და ი. მ-ები თბილისში, ... №363/29-ში მდებარე ფართზე ცნობილი იქნენ უფლებადაკარგულად, დადგინდა ამ ფართზე მათი რეგისტრაციის გაუქმება და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით პ. და ი. მ-ები სადავო ფართზე ცნობილი იქნენ უფლებადაკარგულად, თუმცა ისნის რაიონის გამგეობის მიერ ტ. მ-ასაც უარი ეთქვა 15.06.1977წ. ორდერის საფუძველზე თბილისში, ... №363/29-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის პრივატიზებაზე იმ საფუძველით, რომ სასამართლოს კა-

ნონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შედეგად როგორც ძირითადად დამქირავებელმა – პ. მ-მა, ასევე მისმა ოჯახის წევრებმა – ი. მ-მა და ტ. მ-ამ დაკარგეს უფლება.

განმცხადებელი ითხოვს, სსკ-ის 262.1 მუხლის საფუძველზე თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.11.2004 წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადების განმარტებას. ტ. მ-ას მიაჩნია, რომ წინადადება: „პ. და ი. მ-ები თბილისში, ... №363/29-ში მდებარე ფართზე ცნობილ იქნენ უფლებადაკარგულად და ამ ფართობზე გაუქმდეს მათი რეგისტრაცია“ – ბუნდოვანია, გაურკვეველია ფართზე უფლებადაკარგულად ცნობილი იქნენ მხოლოდ პ. მ-ი და ი. მ-ი, თუ, ასევე, აღნიშნულ ფართზე უფლება დაკარგა ორდერში მოხსენიებულმა ძირითადი დამქირავებლის ოჯახის წევრმა – ტ. მ-ამაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.01.2016წ. განჩინებით ტ. მ-ას განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.11.2004 წ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა, 10.11.2004წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადება – „პ. და ი. მ-ები, თბილისში, ... №363/29-ში მდებარე ფართზე ცნობილ იქნენ უფლებადაკარგულად და ამ ფართობზე გაუქმდეს მათი რეგისტრაცია“, განიმარტა, როგორც: „თბილისში, ... №363/29-ში მდებარე ფართზე უფლებადაკარგულად ითვლებიან 15.06.1977წ. გაცემულ ორდერში მითითებული პ. მ-ის ოჯახის წევრებიც“.

სააპელაციო პალატამ სსკ-ის 262-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების განმარტების საპროცესო ინსტიტუტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ განსამარტი გადაწყვეტილება აღსრულებადია სასამართლო აღმასრულებლის მეშვეობით; განმარტებას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა გადაწყვეტილების აღსრულებისათვის (განმარტების მიზანი უნდა იყოს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა). პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ თბილისში, ... №363 მდებარე საცხოვრებელი სახლის №29 ბინა იყო სახელმწიფო ფონდის ბინა, რომლის დამქირავებლად ითვლებოდა პ. მ-ი. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის 10.05.1977 წ. №1281 გადაწყვეტილების საფუძველზე 15.06.1977 წ. გაცემული იქნა ორდერი და პ. მ-ის ოჯახმა დაიკავა აღნიშნული საცხოვრებელი სადგომი. 24.11.1993 წ. პ. მ-ი და მისი მეულ-

ლე ტ. მ-ა განქორწინდნენ, ხოლო 1994 წელს პ. და ი. მ-ები გავიდნენ საქართველოდან და რეგისტრირებული არიან ქ. სტავროპოლში ... ქუჩის №40/2 სახლის №3 ბინაში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავო ბინის ორდერი სასამართლოს მიერ მიჩნეული იქნა ადმინისტრაციულ გარიგებად და სზაკ-ის 65-ე მუხლის შესაბამისად, მის მიმართ გამოყენებული იქნა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები, კერძოდ, სკ-ის 558-ე მუხლი, რომლის თანახმად, გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა 3 თვის განმავლობაში. დავის არსებითად განხილვისას სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სადავო ბინის ქირა გადახდილი არ იყო 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, რაც ქმნიდა სადავო ბინაზე არსებული ქირავნობის ხელშეკრულების სკ-ის 558-ე მუხლით გათვალისწინებულ, მოშლის საფუძველს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას მოჰყვება თანამდევი სამართლებრივი შედეგი – სადავო ფართობზე უფლების დაკარგვა და რეგისტრაციის გაუქმება. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით თბილისში, ... №363/29-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე პ. მ-თან დადებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა, რაც გულისხმობს, რომ 15.06.1977 წ. გაცემული ორდერი, რომლის საფუძველზეც პ. მ-მა და მისი ოჯახის წევრებმა დაიკავეს სადავო საცხოვრებელი ბინა, ძალადაკარგულია. ამრიგად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.11.2004 წ. გადაწყვეტილების მიხედვით, 15.06.1977 წ. ორდერში მითითებული პირები, მათ შორის ტ. მ-ა, ითვლებიან უფლებდაკარგულად ... №363/29-ში მდებარე ფართზე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა ტ. მ-ას მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ სსკ-ის 262-ე მუხლი გადაწყვეტილების განმარტებას უშვებს მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით, ფაქტობრივად, შეიცვალა განსამარტი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი, რითაც დაირღვა კერძო საჩივრის ავტორის უფლებები და კანონიერი ინტერესი. ტ. მ-ა ითხოვს გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ტ. მ-ას კერძო საჩივრის გაცნობის

შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია, განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. ამდენად, გადაწყვეტილების განმარტების საფუძველი არის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანობა, ხოლო განმარტების მიზანი – მისი აღსრულების უზრუნველყოფა. გადაწყვეტილების განმარტება არის მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც მიმართულია მისი აღსრულების ხელშეწყობისკენ.

საქმეზე დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას 21.12.2015 წ. განცხადებით მიმართა ტ. მ-ამ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.11.2004 წ. გადაწყვეტილების მესამე პუნქტის ბოლო წინადადების განმარტება. სსკ-ის 262.1 მუხლის თანახმად განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სკ-ის 142.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი. განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ ტ. მ-ამ მოითხოვა საოლქო სასამართლოს 10.11.2004 წ. გადაწყვეტილების განმარტება. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 30.03.2005წ., როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ი. მ-ის წარმომადგენლის ტ. მ-ას საკასაციო საჩივარი და უცვლელი დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.11.2004

ნ. გადანყვეტილება.

სკ-ის 123.2 მუხლის თანახმად, ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს. განსახილველ შემთხვევაში განსამარტი გადანყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 30.03.2005წ., ტ. მ-ამ კი მისი განმარტება მოითხოვა 21.12.2015წ.. სააპელაციო სასამართლომ არსებითად შეაფასა წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობა და ისე დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა გადანყვეტილების განმარტების შესახებ, რომ არ უმსჯელია სსკ-ის 262.1 მუხლით გათვალისწინებული განცხადების დასაშვებობის წინაპირობებზე, არ შეუფასებია განმარტების შესახებ განცხადების წარდგენის ვადის დაცვის საკითხი. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა გადანყვეტილების განმარტების მიზანი – მოახდინოს გადანყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ტ. მ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე ტ. მ-ას განცხადების ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 25-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 401-ე, 412-ე, 420-ე მუხლებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2, მე-60 მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

ტ. მ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.01.2016 წ. განჩინება და ტ. მ-ას 27.12.2015წ. განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

განჩინება

№ბს-112-105(კს-13)

3 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ძ-მა, ჟ. ჯ-მა, მ. ა-მა და ნ. ა-მა 2012 წლის 30 ივლისს სასამართლო განცხადებით მიმართეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, რომლითაც დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის განაწილებული მიწების ფართზე მიღება-ჩაბარების აქტისა და საკუთრების მონშობების გაცემის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება მოითხოვეს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 11 სექტემბრის საოქმო განჩინებით რწმუნებული-გუბერნატორი დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში საქმეში ჩართულ იქნა მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის შესაბამისად.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ე. ძ-ის, ჟ. ჯ-ის, მ. ა-ისა და ნ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ე. ძ-მა, ჟ. ჯ-მა, მ. ა-მა და ნ. ა-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის განჩინებით ე. ძ-ს, ჟ. ჯ-ს, მ. ა-სა და ნ. ა-ს დაუდგინდათ ხარვეზი, ვინაიდან სააპელაციო საჩივარზე წარდგენილი არ იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. აპელანტებს მიეცათ ვადა განჩინების კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 03 (სამი) დღე განჩინებაში მითითებული ხარვეზის შესავსებად და დაევა-ლათ თითოეულ მათგანს წარედგინათ სასამართლოსთვის სახელ-მწიფო ბაჟის – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით გადახ-დის დამადასტურებელი ქვითარი დედნის სახით.

2012 წლის 18 დეკემბერს ე. ძ-მა, ჟ. ჯ-მა, მ. ა-მა და ნ. ა-მა საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ განცხადებით მიმარ-თეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვეს ხარვეზის შევსების ვადის გაგ-რძელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 19 დეკემ-ბრის განჩინებით აპელანტების ე. ძ-ის, ჟ. ჯ-ის, მ. ა-ისა და ნ. ა-ის წარმომადგენლის – მ. ლ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და აპელანტებს ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელდათ 7 (შვი-დი) დღით განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

აპელანტების წარმომადგენელმა მ. ლ-ემ 2012 წლის 27 დე-კემბერს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასა-მართლოს და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლე-ბა, გადახდის განაწილვალება ან წინასწარ გადახდისაგან გათა-ვისუფლება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის განჩინებით, აპელანტების ე. ძ-ის, ჟ. ჯ-ის, მ. ა-ისა და ნ. ა-ის წარმომადგენლის – მ. ლ-ის სააპე-ლაციო საჩივარი მცხეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-ტის 2012 წლის 12 დეკემბრის განჩინება აპელანტების წარმო-მადგენელს – მ. ლ-ეს ჩაბარდა 2012 წლის 15 დეკემბერს. აპე-ლანტების წარმომადგენელმა – მ. ლ-ემ 2012 წლის 18 დეკემ-ბერს ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე განცხა-დება წარადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 დეკემბრის განჩინებით, აპე-ლანტების ე. ძ-ის, ჟ. ჯ-ის, მ. ა-ისა და ნ. ა-ის წარმომადგენლის – მ. ლ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და აპელანტებს გაუგ-რძელდათ 2012 წლის 12 დეკემბრის განჩინებით განსაზღვრუ-

ლი ხარვეზის გამოსწორების ვადა 7 დღით განჩინების ასლის ჩაბარებიდან. აღნიშნული განჩინება აპელანტების წარმომადგენელს – მ. ლ-ეს ჩაბარდა 2012 წლის 20 დეკემბერს. 2012 წლის 27 დეკემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში აპელანტების წარმომადგენელმა მ. ლ-ემ შემოიტანა განცხადება, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, განანიღვადების ან წინასწარი გადახდევინებისაგან გათავისუფლების თაობაზე. განცხადებას თან არ ერთვოდა აპელანტების გადახდისუუნარობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სააპელაციო პალატამ დადგინებულად მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარზე მხარეს ევალება სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ამასთან, ყველა სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრინციპიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების, შემცირების ან გადავადების შესაძლებლობას მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ შესაძლებლობას ადგენს 47-ე და 48-ე მუხლებით: სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. ასევე, სასამართლოს მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტებმა ვერ დაასაბუთეს მათი შუამდგომლობის საფუძვლიანობა მოცემული დავის სოციალური კატეგორიის დავად განსაზღვრისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რის გამოც აპელანტების შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ძ-ის, მ. ა-ის, ნ. ა-ის და ს. ჯ-ის წარმომადგენელმა – მ. ლ-ემ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება

და ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორებმა აღნიშნეს, რომ მათ დააყენეს შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ, ამავე დროს, განცხადებით დაადასტურეს, რომ საკითხი განეკუთვნება სოციალურ დავათა კატეგორიას, რომელიც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. კერძო საჩივრის ავტორებმა, ასევე აღნიშნეს, რომ ისინი შუამდგომლობას აყენებდნენ სსსკ-ის 47-49 მუხლების საფუძველზეც, რაც, ასევე, არ იქნა დაკმაყოფილებული იმ მოტივით, რომ ვერ წარმოადგინეს მატერიალური მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. არცერთი სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი, თუ რომელი უწყება, დაწესებულება ორგანო ადგენს მოქალაქის მატერიალურ მდგომარეობას და გასცემს მასზე შესაბამის ცნობას. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლო თხოვს ისეთი მტკიცებულების წარმოდგენას, რაც ბუნებაში არ არსებობს და ვერასდროს იქნება მოპოვებული ასეთის არ არსებობის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 14 თებერვლის განჩინებით ე. ძ-ის, მ. ა-ის, ნ. ა-ისა და ს. ჯ-ის უფლებამონაცვლის ფ. ჯ-ის წარმომადგენლის მ. ლ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ, არ დაკმაყოფილდა და დაევაღათ ხარვეზის შესახებ მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის 50 ლარის გადახდის ქვითარი.

ე. ძ-ის, მ. ა-ის, ნ. ა-ისა და ს. ჯ-ის უფლებამონაცვლის ფ. ჯ-ის წარმომადგენელმა მ. ლ-ემ 2013 წლის 10 მარტს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება წარმოადგინა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელსაც დაურთო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 2013 წლის 11 მარტის ამონაწერი, რომლითაც დგინდება, რომ ე. ძ-ის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 43170.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 18 მარტის განჩინებით ე. ძ-ის მოთხოვნის ნაწილში კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 18 მარტის განჩინებით მ. ა-ის, ნ. ა-ისა და ს. ჯ-ის უფლებამონაცვლის ფ. ჯ-ის წარმომადგენლის მ.

ლ-ის შუამდგომლობა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ დაკმაყოფილდა და გაუგრძელდათ 2012 წლის 14 თებერვლის ხარვეზის შესახებ განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა. მ. ა-ს, ნ. ა-ს და ჟ. ჯ-ს დაევალოთ ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში ხარვეზის შევსება კერძოდ, საქართველოს უზენაეს სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით მ. ა-ის, ნ. ა-ისა და ს. ჯ-ის უფლებამონაცვლის ჟ. ჯ-ის მოთხოვნის ნაწილში კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 იანვრის განჩინებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ძ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 18 მარტის განჩინებით ე. ძ-ის მოთხოვნის ნაწილში კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო მ. ა-ის, ნ. ა-ისა და ს. ჯ-ის უფლებამონაცვლის ჟ. ჯ-ის მოთხოვნის ნაწილში 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით კერძო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, შესაბამისად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს კერძო საჩივარზე მხოლოდ ე. ძ-ის მოთხოვნის ნაწილში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრის ავტორებს – ე. ძ-ს, ჟ. ჯ-ს, მ. ა-სა და ნ. ა-ს მიეცათ ვადა განჩინების კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 3 დღე განჩინებაში მითითებული ხარვეზის შესავსებად და დაევალოთ თითოეულს სასამართლოსთვის წარედგინათ სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის ოდენობით გადახდის დამადასტურებელი ქვითარი დედნის სახით. საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ ე. ძ-ის, მ. ა-ის, ნ. ა-ისა და ს. ჯ-ის წარმომადგენლის მ. ლ-ის 2012 წლის 18 დეკემბრის განცხადების საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 დეკემბრის განჩინებით შუამდგომლობა დაკმა-

ყოფილდა და აპელანტებს გაუგრძელდათ 2012 წლის 12 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზის გამოსასწორებლად და-ნიშნული ვადა 7 დღით განჩინების ასლის ჩაბარებიდან, მხარეებს განემარტათ, რომ თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ იქნებოდა შევსებული სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი. სააპელაციო საჩივრის ავტორების წარმომადგენელმა მ. ლ-ემ 2012 წლის 27 დეკემბრის საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ განცხადებით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება მოითხოვა, რადგან განმცხადებლის მოსაზრებით სარჩელი აღძრული იყო სოციალურ დავაზე – საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შესახებ, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველია. სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის ავტორის მოსაზრება დავის სოციალურ საკითხთა კატეგორიისათვის მიკუთვნების შესახებ და განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ პოზიციას იზიარებს საკასაციო სასამართლოც შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე. კერძოდ, თუ სარჩელი დაკავშირებულია საპენსიო უფლებასთან, სოციალური სახის დახმარებასთან (სტიქიური უბედურების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მრავალშვილიანი დედის დახმარება, მარტოხელა დედის დახმარება), უფასო სამედიცინო დახმარებასთან. ეს ნორმა უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი პირებისათვის ადმინისტრაციულ საქმეებზე მართლმსაჯულების მაქსიმალურად ხელმისაწვდომობას და არ იძლევა აღნიშნული შეღავათის ისეთ დავაზე გავრცელების შესაძლებლობას, როგორცაა ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიწის ფართზე მიღება-ჩაბარების აქტისა და საკუთრების მოწმობის გაცემის დავალება.

საკასაციო სასამართლოში კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპზე მხარემ წარმოადგინა ე. ძ-ის ოჯახის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი 2013 წლის 11 მარტის ამონაწერი, რაც საკასაციო სასამართლოში გახდა კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების საფუძველი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატა უფლებამოსილია ხელმეორედ იმსჯელოს ე. ძ-ის მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივრის წარმოებაში

მიღების საკითხზე, რადგან სსიპ სოციალური მომსახურების სა-
აგენტოს მიერ 2013 წლის 11 მარტს გაცემული ამონაწერით დას-
ტურდება, რომ ე. ძ-ის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად
დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში – საიდენტი-
ფიკაციო №... და 2013 წლის 26 იანვარს შეესებულებული დეკლარა-
ციის საფუძველზე 2013 წლის 25 თებერვალს მინიჭებული აქვს
სარეიტინგო ქულა – 43170, რაც საკასაციო პალატის აზრით წარ-
მოადგენს ყველა ინსტანციის სასამართლოში ე. ძ-ის სახელმწი-
ფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქა-
ლაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებულია
იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის სა-
სარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფ-
ლდებიან, ხოლო აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვე-
პუნქტი ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამარ-
თლო ხარჯების გადახდისაგან იმ მხარეების გათავისუფლებას,
რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოცია-
ლურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღე-
ბენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუ-
მენტაციით. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის
№145 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური დახმარე-
ბის პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპები, რეინ-
ტეგრაციის შემწეობის ოდენობა, შვილობილად აყვანის (მინდო-
ბით აღზრდის) ანაზღაურების ოდენობა, სოციალური დახმარე-
ბის ოდენობის გაანგარიშების, ღონისძიებათა დაფინანსებისა და
ანგარიშ-სწორების, აგრეთვე საქართველოს ოკუპირებული ტე-
რიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილ-
თა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე
პირთა ყოველთვიური შემწეობის დაფინანსების წესის“ მე-7 მუხ-
ლის შესაბამისად საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქუ-
ლა არის 57001 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ერთი), ხოლო ე. ძ-ის
ოჯახის სარეიტინგო ქულა – 43170 წარმოადგენს სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვე-
პუნქტით გათვალისწინებული შეღავათის ე. ძ-ზე გავრცელების
საფუძველს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მართალია სააპე-
ლაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების დროს – 2013 წლის
3 იანვარს სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა კანონმდებ-
ლობით გათვალისწინებული საფუძველი ე. ძ-ის სახელმწიფო ბა-
ჟის გადახდისაგან გასათავისუფლებლად, მაგრამ 2013 წლის 26
იანვარს შეესებულებული დეკლარაციის საფუძველზე ე. ძ-ის ოჯახის
2013 წლის 25 თებერვალს სოციალურად დაუცველი ოჯახების

მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია ობიექტური ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა, რომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დროსაც – 2013 წლის 3 იანვარს ე. ძ-ს არ გააჩნდა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის საშუალება და აღნიშნულის დამადასტურებელი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცებულების წარმოდგენა შეძლო საკასაციო სასამართლოში კერძო საჩივრის დასაშვებობის შემონების ეტაპზე, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით აუმჯობესებს ე. ძ-ის, როგორც აპელანტის სამართლებრივ მდგომარეობას და უნდა იქნეს გამოყენებული მისი მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის განხილვის დროისათვის აღარ არსებობს ე. ძ-ის მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, რის გამოც ე. ძ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 იანვრის განჩინება უნდა გაუქმდეს ნაწილობრივ და საქმე ე. ძ-ის მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ე. ძ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ე. ძ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 იანვრის განჩინება;
3. საქმე ე. ძ-ის მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება;

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

განჩინება

№ბს-699-685(კს-14)

16 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 4 ოქტომბერს ქ. ზ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ 30634 აშშ დოლარის გადახდის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. ზ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ზ-მა, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ივნისის განჩინებით ქ. ზ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 369-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება ქ. ზ-ს ჩაბარდა 2014 წლის 10 თებერვალს, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა 2014 წლის 24 თებერვალს ამოიწურა. ქ. ზ-მა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2014 წლის 29 მაისს, კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დარღვევით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ზ-მა, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ივნისის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან თავისი საპროცესო უფლების რეალიზაცია მოახდინა კანონით დადგენილ ვადაში, კერძოდ 2014 წლის 14 თებერვალს წარადგინა სააპელაციო საჩივარი, მაგრამ საქალაქო სასამართლოში დროულად არ დარეგისტრირდა მისი საჩივარი.

2014 წლის 10 ნოემბერს ქ. ზ-მა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოდან ვიდეო თვალის 2014 წლის 14 თებერვლის მონაცემების ამოღება, რომლითაც დადასტურდება, რომ იგი ნამდვილად იმყოფებოდა 2014 წლის 14 თებერვალს საქალაქო სასამართლოში და შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

აღნიშნული განცხადება საქმეზე დასართავად სააპელაციო სასამართლოს მიერ გადმოიგზავნა საკასაციო სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ნოემბრის განჩინებით ქ. ზ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. ზ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ქ. ზ-ს პირადად ჩაბარდა 2014 წლის 10 თებერვალს, რასაც კერძო საჩივრის ავტორიც არ ხდის სადავოდ. შესაბამისად, სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა 2014 წლის 24 თებერვალს 24 საათზე ამოიწურა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო სააპელაციო საჩივარზე საქალაქო სასამართლოს მიერ დასმულ შტამპს, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი საქალაქო სასამართლოში დარეგისტრირებულია 2014 წლის 29 მაისს (მინიჭებული აქვს ნომერი 5-510300), გასაჩივრების ვადის დარღვევით. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ივნისის განჩინებით ქ. ზ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მან სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში 2014 წლის 14 თებერვალს შეიტანა, თუმცა გაურკვეველი მიზეზის გამო, საჩივარი დროულად არ დარეგისტრირდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლითა და მე-19 მუხლის პირველ ნაწილით მინიჭებული საპროცესო კომპეტენციის ფარგლებში უნდა გამოიკვლიოს მითითებული გარემოება, კერძოდ, საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვოს როგორც 2014 წლის 14 თებერვლის, ასევე 2014 წლის 29 მაისის სარეგისტრაციო ჟურნალები, გამოიკვლიოს რა პროცედურების დაცვით ხდება სააპელაციო საჩივრების რეგისტრაცია. ასევე უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა ვიდეო ჩანაწერები ან მათი გადამონმების შესაძლებლობა, რაზეც შუამდგომლობდა ქ. ზ-ი 2014 წლის 10 ნოემბერს წარმოდგენილი განცხადებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს საქმისწარმოების დადგენილი წესების დაცვით როდის დარეგისტრირდა ქ. ზ-ის სააპელაციო საჩივარი და არსებობს თუ არა რეგისტრაციის თარიღში ეჭვის შეტანის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, რამდენადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და მტკიცებუ-

ლებათა მოპოვების საპროცესო კომპეტენცია საკასაციო სასამართლოს არა აქვს მინიჭებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ქ. ზ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ივნისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

განჩინება

№ბს-746-732(კს-14)

20 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა;

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 1 აპრილს შპს „...“ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 26 ივნისის №28896 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით

ბის ბათილად ცნობისა და სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის მოსარჩელის მითითებით პირად საალრიცხვო ბარათზე დაფიქსირებული სადავო ზედმეტობის – 99 822 ლარის დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშზე გადატანის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 26 ივნისის №28896 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება და დაევალა სსიპ შემოსავლების სამსახურს მოსარჩელის მითითებით პირად საალრიცხვო ბარათზე დაფიქსირებული სადავო ზედმეტობის – 99822 ლარის გადატანა დამატებული ღირებულების გადასახადში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველი სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადის დარღვევის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმ მოტივით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩაბარდა 2014 წლის 29 ივლისს. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება ჰქონდა 2014 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით, რასაც სადავოდ არც სააპელაციო სასამართლო ხდის. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი ჩააბარა საქართველოს ფოსტას 2014 წლის 12 აგვისტოს და არა 13 აგვისტოს, როგორც

სააპელაციო სასამართლო უთითებს განუხილველად დატოვების განჩინებაში. აღნიშნულის დასადასტურებლად კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ფოსტაში ჩაბარებული გზავნილების რეესტრი №2233507 და აღნიშნულ რეესტრში მითითებული კორესპონდენციის საქალაქო სასამართლოში ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება აპელანტს ჩაბარდა 2014 წლის 29 ივლისს, სააპელაციო საჩივარი სასამართლოში წარდგენილ იქნა 2014 წლის 13 აგვისტოს, რაც დასტურდება სააპელაციო საჩივარზე დასმული შტამპით; კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის დენა დაიწყო 2014 წლის 30 ივლისს და ამოიწურა 2014 წლის 12 აგვისტოს. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას გამოიყენა მხოლოდ სსსკ-ის 369-ე მუხლი, რაც არ იყო საკმარისი აპელაციის დასაშვებობის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოკვლევისათვის და შესაბამისი სასამართლო დასკვნის ჩამოყალიბებისთვის, მაშინ, როცა მითითებული ნორმის გამოყენებისას სასამართლომ უნდა უზრუნველყოფს აპელაციის დასაშვებობის ყველა შესაძლო გარემოების გამორიცხვა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით დადგენილი ოფიციალობის პრინციპის საფუძველზე, მით უფრო იმ პირობებში,

როცა სააპელაციო საჩივარს ერთვოდა კონვერტი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია, არსებობდა თუ არა გარემოება, რომელიც დაადასტურებდა მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანისთვის დადგენილი ვადის დაცვას, რითაც დააბრკოლა ეფექტიანი სამართალწარმოების განხორციელება, ვინაიდან, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული სასამართლოს ინიციატივის გამოყენების შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის განხილვა არ შეფერხდებოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება არის ყველასთვის გარანტირებული ფუნდამენტური პროცედურული უფლება, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას, არამედ – შეუფერხებელ და ეფექტიან სამართალწარმოებას.

საკასაციო სასამართლო აფასებს რა კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ 2014 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ფოსტაში ჩაბარებული გზავნილების რეესტრს №2233507 და აღნიშნულ რეესტრში მითითებული კორესპონდენციის საქალაქო სასამართლოში ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულებების მიხედვით, მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი შეტანილია კანონით დადგენილ ვადაში – 2014 წლის 12 აგვისტოს. მხარის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლევა საკმარის საფუძველს, იმისათვის, რომ სააპელაციო სასამართლომ ხელახლა შეამოწმოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი არ ყოფილა აღნიშნული მტკიცებულებები, რომლის გამოკვლევა-შეფასება სხვა პროცესუალურ შედეგს გამოიწვევდა.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ აპელანტის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედება, შესრულებულია ვადაში, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი საქართველოს ფოსტას ჩაბარდა სააპელაციო საჩივრის წარდგენისთვის კანონით დადგენილი ვადის უკანასკნელი დღის 24 საათამდე – 2014 წლის 12 აგვისტოს (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 12 აგვისტოს №2233507 რეესტრში აღნიშნული კორესპონდენცია ნომრით 040013573995 იდენტიფიცირებულია სააპელაციო საჩივარზე დართულ კონვერტზე მითითებულ ნომერთან).

სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქართველოს

ფინანსთა სამინისტროს მიერ სააპელაციო საჩივარი წარდგენილია თუ არა სსსკ-ის 368-ე მუხლით დადგენილი აპელაციის დასაშვებობის სხვა წინაპირობების შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 61-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა და
სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების
თაობაზე მოთხოვნის საფუძვლიანობა**

განჩინება

№ბს-119-117(კს-15)

4 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 20 ივნისს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტა-

მენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...“ მიმართ.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ მიუთითა, რომ განსახილველ საქმეში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი და არა მათი სტრუქტურული ერთეული – აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო.

მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების სახით მოპასუხისთვის 105468.70 ლარის ოდენობით თანხის დაკისრება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდა; შპს „...“ მოსარჩელის სასარგებლოდ 105468.70 ლარის გადახდა დაეკისრა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. ამასთან, აპელანტმა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე იშუამდგომლა იმ მოტივით, რომ შპს „...“ ქონება დაყადაღებული იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს „...“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი არ იყო რაიმე მტკიცებულება, რომელიც მხარის გადახდისუუნარობას დაადასტურებდა და შექმნიდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ სააპელაციო საჩივარს ხელს აწერდა არაუფლებამოსილი პირი, რადგან სააპელაციო საჩივარს არ ერთვოდა მისი შემტანი პირის – ი. კ-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტი. შესაბამისად, შპს „...“ ხარვეზის აღმოსაფხვრელად 5 დღის ვადაში სასამართლოში სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის ან შპს „...“ დირექტორის მიერ ხელმოწერილი სააპელაციო საჩივრის და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის წარდგენა დაევალა; ამასთან, აპელანტს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სასა-

მართლო გამოიტანდა განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

აღნიშნული განჩინების შემცველი გზავნილი 2014 წლის 17 ნოემბერს საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა აპელანტის – შპს „...“ დირექტორს ზ. მ-ს და კანონით დადგენილი წესით 2014 წლის 18 ნოემბერს ჩაჰბარდა მას პირადად, რაც დასტურდება გზავნილის ჩაბარების შესახებ საფოსტო შეტყობინების ბარათზე აღნიშნული პირის ხელმოწერით.

2014 წლის 19 ნოემბერს შპს „...“ წარმომადგენელმა – მ. ყ-მა ხარვეზის გამოსწორების მიზნით განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება ან ხარვეზის შევსებისთვის დამატებითი 14 დღიანი ვადის განსაზღვრა მოითხოვა იმ მოტივით, რომ შპს „...“ მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდა სახელმწიფო ბაჟის გადახდას.

2014 წლის 8 დეკემბერს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ასევე შპს „...“-ის“ წარმომადგენელმა – ი. კ-ემ, რომელმაც ხარვეზის გამოსასწორებლად საპროცესო ვადის 5 დღით გაგრძელება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ 2014 წლის 14 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელდა 5 დღით ამ განჩინების ასლის კანონით დადგენილი წესით ჩაბარებიდან; აპელანტს განემარტა, რომ თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებდა ხარვეზს, კერძოდ, არ წარადგენდა სათანადო წესით დამოწმებულ მინდობილობას ან შპს „...“ დირექტორის მიერ ხელმოწერილ სააპელაციო საჩივარს და ასევე სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანს, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

აღნიშნული განჩინების შემცველი გზავნილი 2014 წლის 9 დეკემბერს საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა აპელანტის – შპს „...“ დირექტორს ზ. მ-ს და კანონით დადგენილი წესით 2014 წლის 10 დეკემბერს ჩაჰბარდა აპარატის უფროსს – ი. გ-ეს, რაც დასტურდება გზავნილის ჩაბარების შესახებ საფოსტო შეტყობინების ბარათზე აღნიშნული პირის ხელმოწერით.

2014 წლის 17 დეკემბერს შპს „...“ დირექტორმა ზ. მ-მა ხარვეზის შევსების მიზნით სააპელაციო სასამართლოს მ. ყ-ისა და ი. კ-ის სახელზე გაცემული მინდობილობა წარუდგინა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სა- მოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწი- ლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბა- მისად, თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თა- ნახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარ- ნყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშ- ნული ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხარვეზის გამოს- ნორების ვადა ამოიწურა 2014 წლის 15 დეკემბერს, 24:00 საათ- ზე. 2014 წლის 17 დეკემბერს კი ქუთაისის სააპელაციო სასა- მართლოში ვადის დარღვევით შევიდა შპს „...“ დირექტორის – ზ. მ-ის მიერ ხარვეზის შევსების მიზნით წარდგენილი განცხა- დება თანდართული მინდობილობით; რაც შეეხება სახელმწი- ფო ბაჟს, ამ ნაწილში მხარეს სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი არ გამოუხსნორებია. ამდენად, სააპელაციო სასამარ- თლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ სააპელაციო საჩივარი უნდა დარ- ჩინილიყო განუხილველად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ- მეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივ- რით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და კერძო საჩივრის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ორგანიზაცია მძი- მე მატერიალურ მდგომარეობაშია ვინაიდან დაყადლებულია შპს „...“ საბანკო ანგარიშები, რის გამოც დირექტორი მოკლებუ- ლია შესაძლებლობას განკარგოს კომპანიის სახსრები. ხოლო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პარ- ტნიორი არ აგებს პასუხს კომპანიის ვალდებულებებზე. ამას- თან, კერძო საჩივრის ავტორი საქართველოს სამოქალაქო საპ- როცესო კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით უკა- ნონოდ მიიჩნევს მინდობილობის გამო სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 4 მაისის განჩინებით შპს „...“ კერ- ძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და კერძო საჩივრის გან- ხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე, 2015 წლის 4 ივ- ნისს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს „...“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი არ იყო რაიმე მტკიცებულება, რომელიც მხარის გადახდისუუნარობას დაადასტურებდა და შექმნიდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ სააპელაციო საჩივარს ხელს აწერდა არაუფლებამოსილი პირი, რადგან სააპელაციო საჩივარს არ ერთვოდა მისი შემტანი პირის – ი. კ.-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტი. შესაბამისად, შპს „...“ ხარვეზის აღმოსაფხვრელად 5 დღის ვადაში სასამართლოში სათანადო წესით დამონებული მინდობილობის ან შპს „...“ დირექტორის მიერ ხელმოწერილი სააპელაციო საჩივრის და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის წარდგენა დაევალა; ამასთან, აპელანტს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

აღნიშნული განჩინების შემცველი გზავნილი 2014 წლის 17 ნოემბერს საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა აპელანტის – შპს „...“ დირექტორს ზ. მ.-ს და კანონით დადგენილი წესით 2014 წლის 18 ნოემბერს ჩაჰბარდა მას პირადად, რაც დასტურდება გზავნილის ჩაბარების შესახებ საფოსტო შეტყობინების ბარათზე აღნიშნული პირის ხელმოწერით.

2014 წლის 19 ნოემბერს შპს „...“ წარმომადგენელმა – მ. ყ-მა

ხარვეზის გამოსწორების მიზნით განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება ან ხარვეზის შევსებისთვის დამატებითი 14 დღიანი ვადის განსაზღვრა მოითხოვა იმ მოტივით, რომ შპს „...“ მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდა სახელმწიფო ბაჟის გადახდას.

2014 წლის 8 დეკემბერს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ასევე შპს „...“ წარმომადგენელმა – ი. კ-ემ, რომელმაც ხარვეზის გამოსასწორებლად საპროცესო ვადის 5 დღით გაგრძელება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ 2014 წლის 14 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელდა 5 დღით ამ განჩინების ასლის კანონით დადგენილი წესით ჩაბარებიდან; აპელანტს განემარტა, რომ თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებდა ხარვეზს, კერძოდ, არ წარადგენდა სათანადო წესით დამოწმებულ მინდობილობას ან შპს „...“ დირექტორის მიერ ხელმოწერილ სააპელაციო საჩივარს და ასევე სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანს, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინების შემცველი გზავნილი 2014 წლის 9 დეკემბერს საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა აპელან-

ტის – შპს „...“ დირექტორს ზ. მ-ს და კანონით დადგენილი წესით 2014 წლის 10 დეკემბერს ჩაჰბარდა აპარატის უფროსს – ი. გ-ეს, რაც დასტურდება გზავნილის ჩაბარების შესახებ საფოსტო შეტყობინების ბარათზე აღნიშნული პირის ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „...“ დირექტორმა ზ. მ-მა ხარვეზის შევსების მიზნით სააპელაციო სასამართლოს მ. ყ-ისა და ი. კ-ის სახელზე გაცემული მინდობილობა 2014 წლის 17 დეკემბერს წარუდგინა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

გამომდინარე იქიდან, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინების ასლი შპს „...“ 2014 წლის 10 დეკემბერს ჩაჰბარდა, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის ათვლა 2014 წლის 11 დეკემბრიდან უნდა დაწყებულიყო და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ხარვეზის შევსების 5 დღიანი ვადა 2014 წლის 15 დეკემბერს 24:00 საათზე იწურებოდა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ შპს „...“ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინებით დადგენილი 5 დღიანი ვადის დარღვევით – 2014 წლის 17 დეკემბერს მიმართა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აპელანტს, რომელსაც კანონით დადგენილი წესით ჩაჰბარდა განჩინება, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ გამოუსწორებია ხარვეზი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესსა და პირობებს განსაზღვრავს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. საპროცესო ხარვეზის

საკითხი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9-მე-11 მუხლებით არის მოწესრიგებული. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, საპროცესო ხარჯების საკითხის გადანაწილების გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, შპს „...“ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე შუამდგომლობდა, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „...“ მიერ არ არის წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ორგანიზაციის გადახდისუუნარობის ფაქტს და სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე მისი მოთხოვნის საფუძვლიანობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლობის გამო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას მინდობილობის გამო სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის უკანონობასთან დაკავშირებით და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შპს „...-ს“ მოსაზრების გაზიარების პირობებშიც კი შპს „...“ სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინებით დადგენილი 5 დღიანი ვადის დარღვევით – 2014 წლის 17 დეკემბერს მიმართა და მას სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო სასამართლოში არ წარუდგენია სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. შპს „...“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კანონით დასასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადების შეუსრულებლობის შედეგები

განჩინება

№ბს-756-748(კს-15)

17 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. გ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსებისა და ატესტაციის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მესამე პირების – ს. ნ-ის, ჯ. რ-ისა და შ. გ-ის მიმართ.

მოსარჩელემ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დავალება მოითხოვა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის

გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საატესტაციო-საკონკურსო კომისიის 2015 წლის 10 თებერვლის №7 სხდომის ოქმის (საოქმო გადაწყვეტილების) შედეგები იმ ნაწილში, რომლითაც ს. ნ-ის, ჯ. რ-ისა და შ. გ-ის მიმართ გაიცა რეკომენდაცია თანამდებობებზე დასაწინიშნად, ხოლო თ. გ-ს უარი ეთქვა რეკომენდაციის გაცემაზე; მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსებისა და ატესტაციების პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის 2015 წლის 19 თებერვლის №2 სხდომის ოქმი (საოქმო გადაწყვეტილება); მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 13 თებერვლის №42 ბრძანება ს. ნ-ის დანიშვნის შესახებ; მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 13 თებერვლის №43 ბრძანება ჯ. რ-ის დანიშვნის შესახებ; მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 მარტის №2 ბრძანება თ. გ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 მარტის №3 ბრძანება შ. გ-ის დანიშვნის თაობაზე. მოპასუხე მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საატესტაციო-საკონკურსო კომისიისა და ეკვლა გადაწყვეტილების მიღება მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების უფროსისა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე გასაუბრების ეტაპის ხელახლა ჩატარების თაობაზე და ამის შედეგად ახალი გადაწყვეტილების მიღება.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსებისა და ატესტაციის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველმა საპრეტენზიო კომისიამ და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინებით მესტიის

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსებისა და ატესტაციის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივარი, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება მოპასუხეების წარმომადგენელს ლ. გ.-ს ჩაბარდა 2015 წლის 8 ივლისს. მხარეს სააპელაციო გასაჩივრების ვადის ათვლა დაეწყო 2015 წლის 9 ივლისიდან და ამოწურა 2015 წლის 22 ივლისს, სააპელაციო საჩივარი კი ფოსტის მეშვეობით წარდგენილ იქნა 2015 წლის 24 ივლისს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ გაშვებული იყო სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის კანონით დადგენილი ვადა, რომლის გაგრძელება (აღდგენა) კანონის თანახმად არ დაიშვება, რის გამოც მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსებისა და ატესტაციის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივარი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსებისა და ატესტაციის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველმა საპრეტენზიო კომისიამ და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება მოითხოვეს.

კერძო საჩივრის ავტორებმა აღნიშნეს, რომ ქუთაისის საა-

პელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულმა საქმეთა პალატამ არასწორად მიიჩნია აპელანტების წარმომადგენლის მიერ სააპელაციო საჩივრის ფოსტისათვის ჩაბარების თარიღად 2015 წლის 24 ივლისი, რადგან აპელანტების წარმომადგენლის მიერ სააპელაციო საჩივარი (საქმე №020310015753881 (3/38-15)) ... მესტიის რაიონის ქვეგანყოფილებას ჩაბარდა 2015 წლის 21 ივლისს (იხ. დანართი №1, №2).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 დეკემბრის განჩინებით მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსებისა და ატესტაციის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსებისა და ატესტაციის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამი-

სად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საატესტაციო-საკონკურსო კომისიის 2015 წლის 10 თებერვლის №7 სხდომის ოქმის (საოქმო გადაწყვეტილების) შედეგები იმ ნაწილში, რომლითაც ს. ნ-ის, ჯ. რ-ისა და შ. გ-ის მიმართ გაიცა რეკომენდაცია თანამდებობებზე დასანიშნად, ხოლო თ. გ-ს უარი ეთქვა რეკომენდაციის გაცემაზე; მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსებისა და ატესტაციების პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის 2015 წლის 19 თებერვლის №2 სხდომის ოქმი (საოქმო გადაწყვეტილება); მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 13 თებერვლის №42 ბრძანება ს. ნ-ის დანიშვნის შესახებ; მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 13 თებერვლის №43 ბრძანება ჯ. რ-ის დანიშვნის შესახებ; მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 მარტის №2 ბრძანება თ. გ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 მარტის №3 ბრძანება შ. გ-ის დანიშვნის თაობაზე. მოპასუხე მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საატესტაციო-საკონკურსო კომისიას დაევალა გადაწყვეტილების მიღება მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების უფროსისა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე გასაუბრების ეტაპის ხელახლა ჩატარების თაობაზე და ამის შედეგად ახალი გადაწყვეტილების მიღება. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეების წარმომადგენელს – ლ. გ-ს ჩაჰბარდა 2015 წლის 8 ივლისს პირადად, რაც სადავო არ გამხდარა. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა 2015 წლის 22 ივლისს 24 საათზე ამოიწურა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შე-

მონმებისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო სააპელაციო საჩივარზე დართულ საფოსტო კონვერტზე დასმულ ბეჭედს, საიდანაც ირკვევა, რომ გზავნილი ფოსტაში ჩაბარებულია 2015 წლის 24 ივლისს გასაჩივრების ვადის დარღვევით. შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინებით მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსებისა და ატესტაციის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კერძო საჩივარი დარჩა განუხილველი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძო საჩივრის ავტორების წარმომადგენლის მითითებით, სააპელაციო საჩივარი ... მესტიის რაიონის ქვეგანყოფილებას ჩაჰბარდა 2015 წლის 21 ივლისს, რაც დასტურდება კერძო საჩივარზე დართული მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის გზავნილების რეესტრითა და ... 2015 წლის 29 სექტემბრის ცნობით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლად დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას, ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ ვის მიერ არის განსაზღვრული საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა (სასამართლოსა თუ კანონისმიერი), განასხვავებენ კანონის და სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ვადები ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის როგორც სასამართლოსათვის, ასევე მხარეთათვის, ასევე საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს კანონისმიერ ვადაში მოქმედების შეუსრულებლობის შედეგებს, კერძოდ, თუ მხარემ კანონისმიერ ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას. ამასთან, გან-

სხვაგვებით სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო ვადისა, რომელიც შესაძლებელია გააგრძელოს სასამართლომ მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, კანონისმიერი ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ დაიშვება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო მოქმედების შესრულებას კანონისმიერ განსაზღვრულ დროში არსებითი მნიშვნელობა გააჩნია პირთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგებისათვის, კერძოდ, კანონისმიერ განსაზღვრულ დროში მოქმედების შესრულება განაპირობებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 21 ივლისის გზავნილების რეესტრსა და შპს „...“ მესტიის სერვის ცენტრის მენეჯერის 2015 წლის 29 სექტემბრის ცნობაზე, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივარი საქმეზე №020310015753881 (3/38-15) მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის კანცელარიის მეშვეობით ჩაპბარდა კურიერს 2015 წლის 21 ივლისს, რაც დადასტურებულია მესტიის გამგეობის კანცელარიის ბეჭდით, კურიერის ხელმოწერითა და ბეჭდით, ხოლო საქმეში არსებულ საფოსტო კონვერტზე დასმული საქართველოს მესტიის ქვეგანყოფილების (3200) ბეჭდიდან ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩაპბარდა 2015 წლის 24 ივლისს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლევა საკმარის საფუძველს, იმისათვის, რომ სააპელაციო სასამართლომ ხელახლა შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი, ვინაიდან, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი არ ყოფილა აღნიშნული მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლომ აპელაციის დასაშვებობის სტადიიდან უნდა გამოიკვლიოს მითითებული ფაქტობრივი გარემოება და ობიექტურად დაადგინოს დაცულია თუ არა აპელანტის მიერ კანონით დადგენილი საპროცესო ვადა.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით და საფოსტო განყოფილებიდან გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია და გამოიკვლიოს ნამდვილად 2015 წლის 21 ივლისს მოხდა თუ არა ... მესტიის ქვეგანყოფილებაში (3200) სააპელაციო საჩივრის წარდგენა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო სა-

ჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებულ განჩინების გაუქმებისათვის, ამასთან, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს საქმეზე ახალი განჩინება, რადგან სსსკ-ის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსებისა და ატესტაციის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების ეტაპიდან საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსებისა და ატესტაციის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა

განჩინება

№ბს-830-822(კს-15)

17 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 19 დეკემბერს საქართველოს მონადირეთა და მე-
თევზეთა ასოციაცია – „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული საა-
გენტოს აბაშის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე საჯარო
რეესტრის ეროვნული სააგენტოს აბაშის სარეგისტრაციო
სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების
ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის წარდგენილი განცხადე-
ბისა და თანდართული დოკუმენტების (სასამართლოს კანონი-
ერ ძალაში შესული გადაწყვეტილების) საფუძველზე „...“ საკუთ-
რებაში არსებული მინის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგის-
ტრაციის განხორციელების დავალება მოითხოვა. დაზუსტებუ-
ლი სარჩელით მოსარჩელემ ასევე ადმინისტრაციული საჩივრის
დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეეს-
ტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 14 ნოემბრის №211051
გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2013 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საქარ-
თველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია – „...“ სარჩე-
ლი მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
აბაშის სარეგისტრაციო სამსახურისა და სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ინ-
დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამო-
ცემის თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფ-

ლებამოსილ სასამართლოს – სენაკის რაიონულ სასამართლოს.

სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაციის – „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია – „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 სექტემბრის განჩინებით საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია – „...“ სააპელაციო საჩივარი, სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ გაეგზავნა და ჩაპბარდა 2015 წლის 22 ივნისს – ორგანიზაციის წარმომადგენელს ე. კ-ეს. მხარეს სააპელაციო გასაჩივრების ვადის ათვლა დაეწყო 2015 წლის 22 ივნისიდან და ამოწურა 2015 წლის 6 ივლისს, სააპელაციო საჩივარი კი ... წარდგენილ იქნა მხოლოდ 2015 წლის 13 ივლისს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ გაშვებული იყო სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის კანონით დადგენილი ვადა, რომლის გაგრძელება (აღდგენა) კანონის თანახმად არ დაიშვება, რის გამოც საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ სააპელაციო საჩივარი სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარი სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაზე შეტანილ იქნა კანონით დადგენილ ვადაში, ე. კ-ე გზავნილის ჩაბარებაზე არაუფლებამოსილი პირი იყო.

კერძო საჩივრის ავტორი დამატებით განმარტავს, რომ სსკ-ის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ფოსტის ან კურიე-

რის მეშვეობით ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში დაცული არ არის და სასამართლოს გზავნილი ჩაჰბარდა ვინმე ე. კ-ეს, რომელიც არც კანცელარიის, არც ორგანიზაციის თანამშრომელი და არც უფლებამოსილი პირი არ არის. ასეთი წარმომადგენელი ორგანიზაციას არასდროს ჰყოლია, რაც დასტურდება საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ 2016 წლის 19 თებერვლის №9 ცნობით.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო საჩივრით გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა დაცულია, რის გამოც, კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განჩინებით საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში; ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან

აღდგენა დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70–78-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, თუ როდის ჩაითვლება უწყება ჩაბარებულად მხარეებისა და მათი წარმომადგენლებისათვის, კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. ამასთან, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგა-

ნიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების შემცველი გზავნილი საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ და 2015 წლის 22 ივნისის ჩაჰბარდა ორგანიზაციის წარმომადგენელს ე. კ-ეს, რასაც იგი ჩაბარების დასტურზე ხელმოწერით ადასტურებს. ჩაბარების დასტურის კომენტარში კი, სადაც, როგორც წესი ხელმოწერის შესახებ ინფორმაცია და ადრესატთან მისი დამოკიდებულება მიეთითება, ჩანაწერია გაკეთებული – „ორგანიზაცია ... მოლარემ ე. კ-ე“.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ გახადა კერძო საჩივრის ავტორმა, რომლის მტკიცებით გზავნილის მიმღები პირი – ე. კ-ე არ წარმოადგენდა გზავნილის ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ წარმომადგენლის – ე. კ-ისათვის სასამართლოს გზავნილის გაგზავნა და ჩაბარება მოხდა საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ მიერ მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, ..., ბინა 11. ამასთან, საქმის მასალებით დგინდება, რომ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ 2014 წლის 17 მარტს გაგზავნილი 2014 წლის 18 იანვრის განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ..., ბინა 11, ასევე ჩაიბარა ე. კ-ემ. აქვე საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია – „...“ ალტერნატიულ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, პირველი შესახვევი №31, ბინა 11 გაგზავნილი გზავნილიც ასევე ჩაჰბარდა ე. კ-ეს, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ ე. კ-ემ გზავნილი ჩაიბარა როგორც საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ ორგანიზაციის მოლარემ, გზავნილის ჩაბარებაზე მისი არაუფლება-

მოსილების ფაქტი კი საქმეზე არ დადასტურებულა. აქვე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კერძო საჩივარზე დართული საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ 2016 წლის 19 თებერვლის №9 ცნობა (რომლის შესაბამისად, კორესპონდენციის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია კანცელარიის ხელმძღვანელი – რ. ვა და არა ე. კ-ე, რომელიც კანცელარიის თანამშრომელი არასდროს ყოფილა) ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან, თავის მხრივ, ე. კ-ე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებული იყო დაუყოვნებლივ გადაეცა გზავნილი ადრესატისათვის.

შესაბამისად, საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების შემცველი გზავნილი ჩაჰბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვით, მის მიერ მითითებულ მისამართზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ამდენად, იქიდან გამომდინარე, რომ სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების ასლი საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ მოლარეს – ე. კ-ეს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ მიერ მითითებულ მისამართზე 2015 წლის 22 ივნისს ჩაჰბარდა, სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადის ათვლა 2015 წლის 23 ივნისიდან უნდა დაწყებულიყო და შესაბამისად, სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაზე საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლება

2015 წლის 6 ივლისის (ორშაბათის) ჩათვლით ენიჭებოდა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2015 წლის 13 ივლისს კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი, რომელიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „...“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სავივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

განჩინება

№ბს-820-812(კს-15)

7 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 8 აპრილს ი. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა სამხედრო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის №... სამხედრო ნაწილის მეთაურის მოადგილედ. 1999 წლის 16 თებერვალს იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან სასამართლოს მიერ მსჯავრდებულად ცნობის გამო.

მოსარჩელე 1999 წლის 9 ოქტომბერს გათავისუფლდა პატიმრობიდან და როგორც თადარიგში დათხოვნილმა ვიცე-პოლკოვნიკმა, მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალს და მოითხოვა პენსიის დანიშვნა. საკითხის შესწავლის შემდეგ, შინაგანი ჯარების დასკვნისა და წარდგინების საფუძველზე მოსარჩელეს 2000 წლის 15 ივნისს დაენიშნა პენსია. 2010 წლის 1 ივნისს ი. მ-ეს საჯარო სამსახურში მუშაობის დანყების გამო პენსია შეუჩერდა (შეუწყდა). 2015 წლის 15 იანვარს მოსარჩელე გათავისუფლდა სამსახურიდან, რის გამოც თხოვნით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს კომპენსაციის (პენსიის) განახლების თაობაზე.

2015 წლის 27 იანვარს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრმა №04-15-01/220 წერილით ი. მ-ეს კომპენსაციის აღდგენასა და დანიშვნაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ იგი სამსახურიდან გათავისუფლდა „შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავ-

ლის წესის შესახებ“ დებულების 70-ე მუხლით, რის გამოც მისთვის კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი არ არსებობდა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 მარტის №04/21370 გადაწყვეტილებით ი. მ-ეს ასევე უარი ეთქვა კომპენსაციის დანიშვნაზე იმავე საფუძველით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 27 იანვრის №04-15-01/220 მიმართვისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 მარტის №04/21370 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და კუთვნილი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა (განახლება) მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით ი. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 27 იანვრის №04-15-01/220 მიმართვა/გადაწყვეტილება და ი. მ-ის ადმინისტრაციული საჩივრის, დამატებითი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 მარტის №04/21370 გადაწყვეტილება; ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს კანონით დადგენილ ვადაში ი. მ-ისათვის შეწყვეტილი კომპენსაციის ხელახლა დანიშვნის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად იმ მოტივით, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-78-

ე მუხლების შესაბამისად.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს ჩაჰბარდა 2015 წლის 16 სექტემბერს. შესაბამისად, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2015 წლის 17 სექტემბრიდან და ამოიწურა ამავე წლის 30 სექტემბერს. სააპელაციო საჩივარი კი ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ იქნა 2015 წლის 5 ოქტომბერს, რითაც მხარემ გაუშვა სააპელაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა, რომლის გაგრძელება (აღდგენა) არ დაიშვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და იმავე სასამართლოსათვის საქმის არსებითად განსახილველად გადაცემა მოითხოვეს.

კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების ასლები ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრში წადგენილ იქნა არა 2015 წლის 16 სექტემბერს, არამედ ამავე წლის 19 სექტემბერს. ამდენად, მითითებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2015 წლის 20 სექტემბრიდან და ამოიწურა ამავე წლის 4 ოქტომბერს. ვინაიდან, 2015 წლის 4 ოქტომბერი იყო უქმე დღე, სააპელაციო საჩივარი სასამართლოს წარედგინა მომდევნო სამუშაო დღეს, კერძოდ, 2015 წლის 5 ოქტომბერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს სსსკ-ის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა არ გაუშვია და სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა კანონით დადგენილ ვადაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ საქმეში დაცულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრისათვის ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღის დამდგენი ურთიერთსა-

წინააღმდეგო მტკიცებულებები. კერძოდ, საქმის 145-146-ე გვერდებზე არსებულ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების გაგზავნის შესახებ მიმართვაზე დასმულ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შტამზე თანამშრომლის ხელმოწერის ქვეშ მითითებულია თარიღი 2015 წლის 16 სექტემბერი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის კერძო საჩივარზე დართულ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების გაგზავნის შესახებ მიმართვების ასლებზე დასმული შტამპის თანახმად, მიმართვებს მინიჭებული აქვთ №12431 და №12432, ხოლო მიმართვების მიღების თარიღის გრაფაში მითითებულია 2015 წლის 19 სექტემბერი.

საკასაციო პალატა ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებზე მითითებით განმარტავს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის სააპელაციო საჩივრის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლთან შესაბამისობის შესამოწმებლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების შესაბამისად უნდა დაადგინოს ზემოაღნიშნულ ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებს შორის რომელი მტკიცებულება ადასტურებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრისათვის ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების ჩაბარების რეალურ თარიღს. ზემოაღნიშნული გარემოების დადგენის საფუძველზე სასამართლოს ექნება შესაძლებლობა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხზე მიიღოს არსებითად სწორი გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა ზემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინება და საქმე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის საა-

პელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინება და საქმე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების
საკითხის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება**

განჩინება

№ბს-145-144(კს-16)

11 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 27 აგვისტოს შპს „ე. კ-ომ“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ შპს „ე. კ-ოსათვის“ საშემოსავლო გადასახადის ძირითადი თანხის – 182 171, 15 ლარის, საურავის – 121 257,7 ლარის, სოციალური დაზღვევის გადასახადის ძირითადი თანხის – 15 611, 89 ლარისა და საურავის – 21 164, 73 ლარის (ჯამში 340 205,47 ლარის) დამატებითი დარიცხვის ნაწილში სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 25 ოქტომბრის №11 საგადასახადო მოთხოვნის, შპს „ე. კ-ოს“ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 13 დეკემბრის №65448 ბრძანებისა და შპს „ე. კ-ოს“ №7423/2/14 საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ე. კ-ოს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ე. კ-ომ“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

აპელანტმა – შპს „ე. კ-ომ“ სააპელაციო საჩივრით იშუამდგომლა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება ან შემცირება იმ მოტივით, რომ წელიწადზე მეტია შპს-ს შეწყვეტილი აქვს ყოველგვარი საქმიანობა, საბანკო ანგარიშზე არ აქვს ფულადი თანხა, ასევე არ გააჩნია რაიმე უძრავი ან მოძრავი ქონება. აპელანტმა მძიმე ფინანსური მდგომარეობის დასადასტურებლად წარადგინა ცნობა საჯარო რეესტრიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან და სს „... ბანკიდან“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინებით შპს „ე. კ-ოს“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების ან შემცირების შესახებ დაუსაბუთებლობის გამო არ დაკმაყოფილდა და აპელანტს განესაზღვრა 14-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 დეკემბრის განჩინებით შპს „ე. კ-ოს“

სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებაზე, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ე. კ-ომ“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსთვის შპს „ე. კ-ოს“ სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების დავალება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე, სახელმწიფო ბაჟის გადავადების ან შემცირების თაობაზე იმ მოტივით, რომ შპს „ე. კ-ო“ არის მძიმე ქონებრივ მდგომარეობაში, შეწყვეტილი აქვს ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა, საბანკო ანგარიშებზე არ ერიცხება თანხები და არ გააჩნია არავითარი უძრავი და მოძრავი ქონება, რის დასადასტურებლადაც წარადგინეს საბანკო ამონაწერები, ცნობები საჯარო რეესტრიდან და შსს მომსახურების სააგენტოდან.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, მიუხედავად წარდგენილი დასაბუთებისა და მტკიცებულებებისა, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა ისე, რომ არ უმსჯელია თუ რა დამატებითი დოკუმენტაცია იყო წარსადგენი კომპანიის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დასადასტურებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მარტის განჩინებით შპს „ე. კ-ოს“ კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „ე. კ-ოს“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქმის მასალების მიხედვით, შპს „ე. კ-ომ“ სააპელაციო საჩივრის წარდგენისას იშუამდგომლა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება ან შემცირება მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, რის დასადასტურებლადაც წარადგინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 27 ოქტომბრის №260016 წერილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №49/12/3-01055023 ცნობა და სს „... ბანკის“ 2015 წლის 28 ოქტომბრის №752 ცნობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინებით შპს „ე. კ-ოს“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების ან შემცირების შესახებ დაუსაბუთებლობის გამო არ დაკმაყოფილდა და აპელანტს განესაზღვრა 14-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ ქმნიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების ან შემცირების შესაძლებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 დეკემბრის განჩინებით შპს „ე. კ-ოს“ სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

სასამართლოს მიერ აღნიშნული ნორმის სწორად გამოყენება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მხარის არსებით პროცესუალურ უფლებასთან – უზრუნველყოფილ იქნეს ქონებრივ შესაძლებლობას მოკლებული მხარის უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია გათვალისწინოს მხარის ფინანსური მდგომარეობა და სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეუმციროს ან მისი გადახდა სხვა დროისათვის გადაუვადოს მხარეს, რომელიც სათანადო მტკიცებულებებით დამაჯერებლად დაასაბუთებს თავის მძიმე ეკონომი-

კურ მდგომარეობას, რისი გათვალისწინებითაც მას ობიექტურად არ შეუძლია აღნიშნული ხარჯების დაფარვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას საკუთარი შეხედულებით, წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა-შეფასების საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ მათთვის უცნობია, თუ რა დამატებითი მტკიცებულებები უნდა წარედგინათ შპს-ს მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებლად, სასამართლოს მხედველობაში რომ მიეღო მათი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს, წარადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ე. კ-ოს“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 დეკემბრის განჩინება და საქმე შპს „ე. კ-ოს“ სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ე. კ-ოს“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-

რივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 დეკემბრის განჩინება და საქმე შპს „ე. კ-ოს“ სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონება

განჩინება

№ბს-74-73(კს-17)

21 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ფ-მა 2016 წლის 4 იანვარს სარჩელი აღძრა ბოლნისის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისა და მესამე პირის ს. კ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ნოტარიუსი ი. ა-ის მიერ 2001 წლის 29 მარტს №1პ-05 დამონმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ფ-ის სარჩელი მოპასუხის – მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მესამე პირის – ს. კ-ის მიმართ, პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ფ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინებით აპელანტ

– დ. ფ-ს განესაზღვრა ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღე, სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზის შესავსებად და დაევალა სახელმწიფო ბაჟის, 150 (ას ორმოცდაათი) ლარის გადახდის (დედნის სახით) დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოსთვის წარდგენა; განემარტა მხარეს, რომ თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ იქნებოდა შევსებული, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 დეკემბრის განჩინებით დ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი ბოლნისის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად, ხარვეზის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის გამო.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტს, დ. ფ-ს, ხარვეზის შესახებ განჩინება გაეგზავნა მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე: დმანისი, სოფელი ... და ჩაბარდა მისი ოჯახის წევრს, მამას – ჰ. ფ-ს, 2016 წლის 7 დეკემბერს. იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტს, დ. ფ-ს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინება ჩაბარდა 2016 წლის 7 დეკემბერს, მხარისათვის ვადის ათვლა 2016 წლის 8 დეკემბერს დაიწყო და 2016 წლის 14 დეკემბრის 24 საათზე ამოიწურა. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი განჩინებით დადგენილ ვადაში აპელანტის მიერ სასამართლოში წარდგენილი არ იქნა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტ დ. ფ-ის მიერ არ იქნა შევსებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. ფ-მა წარმომადგენელმა ნ. ა-მა.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ დ. ფ-ის სახელით, როგორც წარმომადგენელი სათანადო აქტის საფუძველზე მონაწილეობდა საქმის განხილვაში, შესაბამისად, სარჩელი და სააპელაციო საჩივარიც მის მიერ იქნა შეტანილი. სააპელაციო პალატას ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება არ გადაუგზავნა მოსარჩელის წარმომადგენელს ნ. ა-ს და გადაუგზავნა მხოლოდ მოსარჩელე დ. ფ-ს, რომელიც იმ პერიოდისათვის საცხოვრებელ ადგილზე არ იმყოფებოდა, რის გამოც განჩინება ჩაბარდა ამ უკანასკნელის მოხუც მამას. მოსარჩელის მამამ – ჰ. ფ-მა

ვერ გააცნობიერა დოკუმენტის შინაარსი და რამდენიმე დღის დაგვიანებით აცნობა ამის შესახებ დ. ფ-ს. მოსარჩელემ დადგენილ ვადაში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, მაგრამ იმის გამო, რომ 14 დეკემბერს სამუშაო საათები ამონურული იყო ველარ შეძლო სახელმწიფო ბაჟის ქვითრის სასამართლოში დროულად წარდგენა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ფ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების დაცვით, სასამართლომ ობიექტური შეფასება მისცა საქმის მასალებს, რის გამოც არ არსებობს განჩინების გაუქმების საფუძველი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის დაცვით მოხდა ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების გაგზავნა და შესაბამისად, ხარვეზის ვადაში გამოუსწორებლობის საფუძველით გასაჩივრებული განჩინების გამოტანა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილია სასამართლო შეტყობინების და დაბარების წესი, რომელიც ასევე გამოიყენება სასამართლო აქტის მხარისათვის ჩაბარებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინება დ. ფ-ს გაეგზავნა მოსარჩელის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მითითებულ ძირითად მისამართზე – დმანისი, სოფელი საქმეში და-

ცული წერილობითი კორესპონდენციის ჩაბარების შესახებ უკუგზავნილით დგინდება, რომ ხარვეზის შესახებ განჩინება 2016 წლის 7 დეკემბერს ჩაბარდა ადრესატის ოჯახის წევრს (მამას) – ჰ. ფ-ს. აღნიშნულს ადასტურებს უკუგზავნილზე ჰ. ფ-ის პირადი ნორმის მითითება და მისი ხელმოწერა, რომლის ნამდვილობას მხარეც ადასტურებს წარმოდგენილი კერძო საჩივრით. კერძო საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება არ გაეგზავნა წარმომადგენელს და გაეგზავნა მხოლოდ მოსარჩელეს, რომელიც იმ დროს საცხოვრებელ ადგილზე არ იმყოფებოდა და განჩინება ჩაბარდა მის მოხუც მამას, რომელმაც დოკუმენტის შინაარსის გაუცნობიერებლობის გამო რამდენიმე დღის დაგვიანებით აცნობა ამის შესახებ დ. ფ-ს, რის გამოც აპელანტმა ერთი დღის დაგვიანებით შეავსო ხარვეზი და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ერთი დღის დაგვიანებით სასამართლოში წარდგენას არ უნდა მოჰყოლოდა ასეთი მძიმე შედეგი – სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გაგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცვას თანამიმდევრობა. 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. აღნიშნული კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაცხებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან

დამოკიდებულება. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. საგულისხმოა, რომ საქმეში არ არსებობს მხარეთა მოთხოვნა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესისგან ჩაბარების განსხვავებული წესის თაობაზე, რის გამოც სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო სააჩივრის ავტორის პრეტენზიას სააპელაციო საჩივარში ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების მხოლოდ აპელანტი მხარისათვის გაგზავნასთან დაკავშირებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლებულია კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება. განსახილველ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინებით დ. ფ-ს დაუდგინდა ხარვეზი და ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 7-დღიანი ვადა განჩინების ასლის მისთვის ჩაბარებიდან. საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ ხარვეზის შესახებ განჩინება დ. ფ-ის ქმედუნარიან ოჯახის წევრს ჩაბარდა 2016 წლის 7 დეკემბერს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ითვლება განჩინების ჩაბარებად დ. ფ-ისათვის, თუმცა მას ხარვეზის შევსებისათვის დადგენილ საპროცესო ვადაში არ მიუძღრთავს სააპელაციო სასამართლოსათვის. ამასთან, კერძო საჩივარში მითითებული გარეობები არ იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხარვეზის დადგენილ საპროცესო ვადაში შეუვსებლობის გამო, სააპელაციო პალატას გააჩნდა დ. ფ-ის სააპე-

ლაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დ. ფ-ის წარმომადგენლის ნ. ა-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 დეკემბრის განჩინება დ. ფ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე, 372-ე, 399-ე, 414-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ფ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

განჩინება

№ბს-169-167(კს-17)

19 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ჩინჩალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 13 ნოემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სა-

აგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...“-ის“ მიმართ.

მოსარჩელემ შპს „...“-სთვის“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 4 402.45 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ნოემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი მოპასუხე – შპს „...“-ის“ მიმართ, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2016 წლის 23 მაისის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი; აპელანტს დაევალა ხარვეზის შევსების მიზნით ამ განჩინების კანონით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარედგინა: 1. სააპელაციო საჩივრის საფოსტო განყოფილებაში წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. სააპელაციო საჩივრის ელექტრონული ვერსია CD დისკზე ან სხვა ტექნიკურ საშუალებაზე ჩანერილი.

2016 წლის 9 ივნისს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა სააპელაციო საჩივრის ელექტრონული ვერსია CD დისკზე და გასაგზავნი დოკუმენტაციის 2016 წლის 25 მარტისა და 2016 წლის 26 მარტის რეესტრის ასლები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ივნისის განჩინებით სსიპ სო-

ციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა 10 დღე გაუგრძელდა 7 დღით ამ განჩინების ასლის კანონით დადგენილი წესით ჩაბარებიდან; აპელანტს დაევალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარედგინა №010000544662 საფოსტო გზავნილის საქართველოს ფოსტისათვის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

2016 წლის 30 ივნისს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა გასაგზავნი დოკუმენტაციის 2016 წლის 25 მარტისა და 2016 წლის 26 მარტის რეესტრის ასლები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ივლისის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად; ამასთან, ამავე განჩინებით საქართველოს ფოსტიდან გამოთხოვილ იქნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ №010000544662 საფოსტო გზავნილის საფოსტო განყოფილებისათვის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი დაუშვებლობის მოტივით; უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კანცელარიას ჩაბარდა 2016 წლის 14 მარტს, ხოლო ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი ფოთის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი იქნა 2016 წლის 30 მარტს. სააპელაციო საჩივარზე თანდართულ კონვერტზე დასმული ბეჭდით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი ფოთის საფოსტო განყოფილებაში შევიდა 2016 წლის 30 მარტს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის ხარვეზის შესახებ განჩინებით აპელანტს დაევალა სააპელაციო საჩივრის საფოსტო

განყოფილებაში წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. 2016 წლის 9 ივნისს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა გასაგზავნი დოკუმენტაციის 2016 წლის 25 მარტისა და 2016 წლის 26 მარტის რეესტრის ასლები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივნისის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელდა 7 დღით და დაევალა წარმოედგინა №010000544662 საფოსტო გზავნილის საქართველოს ფოსტისათვის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა, რომ აპელანტის მიერ საქართველოს ფოსტისათვის გადასაცემი კორესპონდენციების 2016 წლის 26 მარტის რეესტრის მე-6 ნომრად მითითებულ ფოთის საქალაქო სასამართლოში გასაგზავნ გზავნილს ფოსტის გზავნილის ნომრად მინიჭებული ჰქონდა №010000547050. იგივე ნომრის გზავნილის შესახებ ინფორმაციას შეიცავდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი მეორე მტკიცებულება(, მაშინ როდესაც მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარზე დართული საფოსტო კონვერტით დადგენილი იყო, რომ აღნიშნულ გზავნილს საქართველოს ფოსტის მიერ მინიჭებული აქვს ნომერი 010000544662.

2016 წლის 18 ივლისის მიმართვის საფუძველზე შპს „საქართველოს ფოსტიდან“ გამოთხოვილი იქნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივრის (საფოსტო გზავნილის ნომერია 010000544662) საფოსტო განყოფილებაში წარდგენის დამადასტურებელი მტკიცებულება. 2016 წლის 29 ივლისს შპს „საქართველოს ფოსტამ“ მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ მას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ №010000544662 საფოსტო გზავნილი გასაგზავნად გადაეცა 2016 წლის 28 მარტს. მომართვაზე დართული იყო 2016 წლის 28 მარტის გასაგზავნი დოკუმენტების რეესტრის ასლი, რომელშიც მე-9 ნომრად მითითებული იყო ფოთის საქალაქო სასამართლოში გასაგზავნი დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია, თუმცა დოკუმენტის ნომრის შესახებ ინფორმაცია მასში აღნიშნული არ იყო და ასევე არ დგინდებოდა, რომ №010000544662 საფოსტო გზავნილი შპს „საქართველოს ფოსტას“ გასაგზავნად გადაეცა 2016 წლის 28 მარტს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 23 სექტემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაავალა 2016 წლის 6 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე წარედგინა

№010000544662 საფოსტო გზავნილის შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება. 2016 წლის 4 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და წარადგინა 2016 წლის 25 მარტისა და 2016 წლის 26 მარტის გასაგზავნი დოკუმენტების რეესტრი, რომლებიც არ შეიცავდნენ ინფორმაციას №010000544662 საფოსტო გზავნილის შესახებ.

2016 წლის 23 სექტემბერს ფოთის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია იმის შესახებ თუ №010000547050 საფოსტო კოდით რა დოკუმენტი იქნა წარდგენილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ფოთის საქალაქო სასამართლოში 2016 წლის 28 მარტს შპს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 6 ოქტომბრის მომართვით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი ფოთის საქალაქო სასამართლოში შესულა 2016 წლის 30 მარტს და არა 2016 წლის 28 მარტს, ხოლო №010000547050 საფოსტო კოდით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ფოთის საქალაქო სასამართლოში შპს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით წარდგენილი იქნა განცხადება ბ. ჟ-ს საქმეზე სასამართლო სხდომის გადადების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩაბარდა 2016 წლის 14 მარტს, შესაბამისად, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2016 წლის 15 მარტიდან და ამოიწურა 2016 წლის 28 მარტს, სააპელაციო საჩივარი კი ფოთის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი იქნა 2016 წლის 30 მარტს, რითაც მხარემ გაუშვა სააპელაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა, რომლის გაგრძელება (აღდგენა) კანონის თანახ-

მად არ დაიშვება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, მიუხედავად არაერთი მიმართვისა, ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებითაც დადგენილი იქნებოდა შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში გადაცემის ფაქტი. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრებული იყო კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო ამავე კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო საჩივარი საქართველოს ფოსტას ჩაბარდა 2016 წლის 28 მარტს, რასაც ადასტურებს გასაგზავნი დოკუმენტების რეესტრი და ასევე აღნიშნული რეესტრის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ასლიც; ხოლო შპს „საქართველოს ფოსტამ“ სააპელაციო საჩივარი, საფოსტო გზავნილის ნომრით №010000544662, ჩაბარებიდან მეორე დღეს ანუ 29 მარტს გააგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის

შემოწმების შედეგად მიიჩნევს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში; ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების განხივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების შესაბამისად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კანცელარიას ჩაბარდა 2016 წლის 14 მარტს; ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა 2017 წლის 28 მარტს 24:00 საათზე ეწურებოდა, რასაც არც კერძო საჩივრის ავტორი უარყოფს და მიუთითებს, რომ სააპელაციო საჩივარი შპს „საქართველოს ფოსტას“ ჩაბარდა 2016 წლის 28 მარტს, ხოლო შპს „საქართველოს ფოსტამ“ სააპელაციო საჩივარი, საფოსტო გზავნილის ნომრით №010000544662, ჩაბარებიდან მეორე დღეს ანუ 29 მარტს გააგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოში. ასევე დადგენილია, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი ფოთის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ იქნა 2016 წლის

30 მარტს. სააპელაციო საჩივარზე თანდართულ კონვერტზე დასმული ბეჭდით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი ფოთის საფოსტო განყოფილებაში შევიდა 2016 წლის 30 მარტს. ამასთან, კონვერტზე დასმული იყო საფოსტო კოდი – №010000544662.

სააპელაციო სასამართლომ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა იმ მოტივით, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ გაუშვა სააპელაციო წესით გადანყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სააპელაციო სასამართლოში წარადგინა გასაგზავნი დოკუმენტაციის 2016 წლის 25 მარტისა და 2016 წლის 26 მარტის რეესტრის ასლები, თუმცა აღნიშნულ რეესტრში ფოთის საქალაქო სასამართლოში გაგზავნილი გზავნილი დაფიქსირებული იყო №010000547050 საფოსტო კოდით. ამასთან, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 6 ოქტომბრის მომართვით დგინდება, რომ №010000547050 საფოსტო კოდით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ფოთის საქალაქო სასამართლოში შპს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით წარდგენილ იქნა განცხადება სხვა საქმეზე.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხს შპს „ქ. ფოთის გაერთიანებულ სამშობიარო სახლთან“ არსებულ დავაზე, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის გადანყვეტილებაზე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ და არა სააპელაციო სასამართლოსთვის, სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში ჩაბარების ფაქტი წარმოადგენს, ვინაიდან, საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰპარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში ჩაბარების ფაქტს, ხოლო საქმის მასალებში წარმოდგენილი ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 6 ოქტომბრის მომართვა, რომლის თანახმად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი ფოთის საქალაქო

სასამართლოში შესულია 2016 წლის 30 მარტს და არა 2016 წლის 28 მარტს, მოცემულ შემთხვევაში გავლენას ვერ იქონიებს სადავო საკითხის შეფასებისას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ შპს „საქართველოს ფოსტიდან“ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია №010000544662 საფოსტო გზავნილის ფოსტისთვის გადაცემის თარიღის შესახებ. შპს „საქართველოს ფოსტის“ 2016 წლის 28 ივლისის მიმართებით სააპელაციო სასამართლოს ეცნობა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ №010000544662 საფოსტო გზავნილის (ადრესატი: ფოთის საქალაქო სასამართლო; მისამართი: დ. აღმაშენებლის ქ. №3, ქ. ფოთი, 4400) შპს „საქართველოს ფოსტაში“ ჩაბარების თარიღს წარმოადგენს – 2016 წლის 28 მარტი. აღნიშნულის დასადასტურებლად მიმართვაზე თანდართულია 2016 წლის 28 მარტის გასაგზავნი დოკუმენტების №04-559 რეესტრის ასლი, რომელშიც მე-9 ნომრად მითითებული იყო ფოთის საქალაქო სასამართლოში გასაგზავნი დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია. მართალია, დოკუმენტის ნომრის შესახებ ინფორმაცია მასში აღნიშნული არ იყო, თუმცა რეესტრში ფიქსირდება – მოპასუხე შპს №010000544662 საფოსტო კოდით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გზავნილი ფოთის საქალაქო სასამართლოში დაფიქსირებულია უკვე კერძო საჩივარზე თანდართული შპს „საქართველოს ფოსტის“ 2016 წლის 29 მარტის რეესტრში.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც საფოსტო განყოფილება ადასტურებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ №010000544662 საფოსტო გზავნილის (ადრესატი: ფოთის საქალაქო სასამართლო; მისამართი: დ. აღმაშენებლის ქ. №3, ქ. ფოთი, 4400) შპს „საქართველოს ფოსტაში“ 2016 წლის 28 მარტს ჩაბარების ფაქტს, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქმეზე ვერ იქნა წარდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებითაც დადგენილი იქნებოდა შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში გადაცემის ფაქტი.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, შესაძლებელი იყო თუ არა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გასაგზავნი დოკუმენტების რეესტრში გზავნილი დაფიქსირებული ყოფილიყო №010000544662 საფოსტო კოდით (რომელიც მინიჭებული აქვს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარდგენილ სააპელაციო საჩივარს), იმ პირობებში, როდესაც გზავ-

ნილს საფოსტო კოდს ანიჭებს საფოსტო განყოფილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მოცემული საქმე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის განჩინება და მოცემული საქმე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიბაელი

1. საპროცესო ხარჯები

სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება სოციალურ დავებზე	3
ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების დაკისრების კანონიერება	7
სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლება	15
ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება	22
სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრება უფლებამონაცვლე პირისათვის	27
სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლები	38
ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება	44

2. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელების საფუძვლები	51
უფლების დროებითი დაცვის ორგვარი შესაძლებლობა	59

3. საქმის წარმოების შეჩერება

საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების წინაპირობები	65
საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო შემთხვევები	86
საქმის წარმოების შეჩერების კანონიერება	93
საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინების გაუქმების საფუძვლები	103
საქმის წარმოების შეჩერების მოთხოვნის კანონიერება	109
საქმის წარმოების შეჩერების საკითხი	115
დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის გამო საქმის შეჩერება	124

4. დამატებითი გადანყვეტილება

დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის წინაპირობები	131
დამატებითი გადანყვეტილება სასამართლო ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით	141

5. გადანყვეტილების განმარტება

გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების საფუძველი	145
--	-----

განჩინების განმარტების წინაპირობები	152
გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობები	165
გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადების დასაშვებობის წინაპირობები	172

6. სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება	179; 187; 190
სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე მოთხოვნის საფუძვლიანობა	194
კანონით და სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადების შეუსრულებლობის შედეგები	202
სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა	210
სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება	217
სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება	222
სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება	227; 232

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 299 72 23
www.supremecourt.ge